



GCS D

საერთოვლო სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნატო უსაფრთხოების ახალ გარემოში



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

ნაშო უსაფრთხოების ასალ გარემოში

პუბლიკაცია შედგენილია პროექტის - "უკეთ გავიხნოთ ნაშო - ფაზა II" ფარგლებში. პროექტს, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ხანტრი (ნცსდ), ნაშოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების მხალაქებით ასორციელებს.

პუბლიკაციაში გამომთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ნაშოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების ან ნცსდ-ის პოზიცია.

ნცსდ-ის წერილოებითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არტერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიგეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

სარჩევი

შავი ზღვის უსაფრთხოების რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი არქიტექტურა
ქსე უსეპუა

NATO-ს ღია კარის პოლიტიკა
დავით ღონღუა

ახალი გზები უკრაინაში და მისი გავლენა საქართველოს ნატოში
ინტეგრაციაზე
გიორგი ანთაძე

ბელტისიპირა ქვეყნების შეიარაღების მოდერნიზაცია ყირიმის ოკუპაციიდან
დღემდე
ცაგო კვაბლაძე

NATO-ს შექავეების პოლიტიკის ტრანსფორმაცია
ნინო ლეჟავა

ენერგოუსაფრთხოება და უკრაინაში მიმდინარე ომი: NATO-ს გამოწვევები და
საპასუხო ზომები რუსეთის ჰიბრიდული ომის კონტექსტში
ელენე გურუშიძე

ღია კოსმოსი და საქართველოს უსაფრთხოება - NATO-ს როლი და მნიშვნელობა
მარიამ ქახიძე

აღმოსავლეთ ევროპა, როგორც NATO-ს გაგვიანი ძალა: ახალი გეოპოლიტიკური
მოთაბეგე?
დავით ბერიძე

3

22

41

57

73

85

101

124





საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
 GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

შავი ზღვის უსაფრთხოების რუსეთ-უკრაინის ომის შედეგობი არქიტექტურა

ავტორი: კახა ესებუა



This project is supported by
 NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

შავი ზღვა და შავი ზღვის რეგიონი არასდროს ყოფილა მჭიდრო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ოაზისი. საუკუნეების მანძილზე შავი ზღვის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი რუსულ და ოსმალურ იმპერიებს შორის დაპირისპირება იყო და ეს დაპირისპირება ხშირად ცხელ ფაზაში გადადიოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყო მცდელობა, რეგიონში სხვადასხვა თანამშრომლობის პლატფორმები ჩამოყალიბებულიყო, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო ერთდროულად ინკლუზიური და ქმედითი. 2008 წლის ომმა რეგიონის მყიფე უსაფრთხოების არქიტექტურა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, 2014 წელს ყირიმის ანექსიამ ეს არქიტექტურა პრაქტიკულად მოშალა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან კი შავი ზღვა სამხედრო დაპირისპირების თეატრად იქცა.

მასშტაბურმა დაპირისპირებამ ზღვაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რეგიონის მშვიდობიან კალაპოტში განვითარების და ეკონომიკური წინსვლის პერსპექტივა. ეს პერსპექტივა დიდწილად დამოკიდებულია რუსეთ-უკრაინის ომის დასასრულზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ ეტაპზე უკრაინის ომის დასრულების პერსპექტივები მკაფიოდ არ იკვეთება, რთულია გადაჭრით ვიმსჯელოთ შავი ზღვის მომავალ უსაფრთხოების არქიტექტურაზე. ამის გათვალისწინებით, ნაშრომი დაეფუძნება სამომავლო სცენარების და ძირითადი, უკვე გამოკვეთილი ტენდენციების აღწერას, რომელიც გვაძლევს მომავლის გარკვეულ ჩარჩოებს.

ნაშრომის პირველ ნაწილში აღვწერთ შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირების ისტორიას, შემდეგ ვისაუბრებთ უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის იმ ასპექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენს რეგიონის სამომავლო უსაფრთხოების არქიტექტურაზე, შემდეგ ჩამოვყალიბებთ ომის დასრულების სხვადასხვა სცენარს, საბოლოოდ კი შევაჯამებთ და ვეცდებით მოვხაზოთ რეგიონის სამომავლო უსაფრთხოების არქიტექტურის ძირითადი შტრიხები.

შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის ეტაპობრივი ფორმირება

ისტორია მონტროს კონვენციიდან - საბჭოთა კავშირის დაშლამდე

შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურას დიდწილად განსაზღვრავს მისი ჩაკეტილობა. ეს “თვისება” შავმა ზღვამ 1936 წელს, ე.წ. მონტროს კონვენციის ხელმოწერის შედეგად შეიძინა. კონვენცია აწესებს თურქეთის სუვერენიტეტს სრუტეებზე, ზღუდავს როგორც გარე სახელმწიფოების, ასევე შავი ზღვის აუზის

ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო მცურავ საშუალებებს და აწესებს სპეციალურ რეჟიმს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლაზე. უფრო კონკრეტულად:

მეორე მსოფლიო ომისას თურქეთმა მოახერხა და შეინარჩუნა მონტროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, გერმანიის მიერ შავი ზღვის სანაპიროს ოკუპაციის პირობებშიც კი. მოგვიანებით, ომის დასრულების შემდეგ, სტალინმა იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე მოითხოვა მონტროს კონვენციის გადახედვა, რადგან მისი მტკიცებით ის არ პასუხობდა ახალ რეალობას. ახალი რეალობა კი შემდეგნაირი იყო - მოსკოვი აკონტროლებდა შავი ზღვის აუზის ყველა სახელმწიფოს, თურქეთის გარდა. გარდა ამისა, სტალინმა მოითხოვა საბჭოთა საზღვაო ბაზის შექმნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში, რადგან ანკარა ვერ შეძლებდა სრუტეების დამოუკიდებლად დაცვას. თურქეთმა არ გაიზიარა სტალინის მოთხოვნები, საპასუხოდ კი მოსკოვმა თურქეთს წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები ჩრდილოეთ პროვინციებთან (ტაო-კლარჯეთი) დაკავშირებით, რაც მათი საქართველოსთან ისტორიული მიკუთვნებით იყო განპირობებული.¹ საბოლოოდ, ყველაფერი 1952 წელს თურქეთის ნატოში განწევრიანებით დასრულდა. შესაბამისად, შავ ზღვაზე არსებული უსაფრთხოების არქიტექტურა შენარჩუნდა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

პოსტ-საბჭოთა პერიოდი და შტელი შავ ზღვაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის დაახლოებით 80% რუსეთის საზღვაო ძალების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.² ამავდროულად, რუსეთმა დაკარგა კონტროლი ბულგარეთის, რუმინეთის უკრაინისა და საქართველოს სანაპიროების დიდ ნაწილზე (თუ არ ჩავთვლით სევასტოპოლში დარჩენილ რუსულ შავი ზღვის ფლოტსა და ოკუპირებულ აფხაზეთს). 2001 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა შავ ზღვაზე თანამშრომლობის ფორმატი BLACKSEAFOR, 2004 წელს კი მოხდა ოპერაცია Black Sea Harmony-ის ინიცირება. ის წარმოადგენდა ნატოს ოპერაცია Active Endeavor-ის გაგრძელებას, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში 11 სექტემბრის ტერაქტის საპასუხოდ დაიწყო, თუმცა აღნიშნულ ოპერაციებს არც რაიმე ხელშესახები მიზანი ჰქონიათ და შესაბამისად, არც რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაზე.³ მთლიანობაში, ნატო და აშშ შავ ზღვას პრიორიტეტულ მიმართულებად არ განიხილავდნენ და ამ გეოგრაფიულ არეალში მათ ინტერესებს ძირითადად თურქეთი წარმოადგენდა. მას შემდეგაც კი, რაც 2004 წელს ბულგარეთი და რუმინეთი ნატოში განწევრიანდნენ, არ გამოკვეთილა ორგანიზაციის მკაფიო სტრატეგია ამ რეგიონში. რუსული შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაცია არ ხდებოდა და მისი მოძველებული ხომალდები ნატოს მხრიდან საფრთხედ სავარაუდოდ არ

¹ BEHLÜL ÖZKAN, "The 1945 Turkish-Soviet Crisis," *Russia in Global Affairs*, 2020, <https://eng.globalaffairs.ru/articles/1945-turkish-soviet-crisis/>

² 1995 წლამდე რუსეთი და უკრაინა ვერ აღწევდნენ შეთანხმებას საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის საკითხზე. საბოლოოდ, ფლოტი 2 თანაბარ ნაწილად გაიყო, თუმცა უკრაინული ნაწილის მნიშვნელოვანი სეგმენტი რუსეთმა მაშინვე შეიძინა კიევისგან Tyler Felgenhauer, "Ukraine, Russia, and the Black Sea Fleet Accords," February 1, 1999, <https://doi.org/10.21236/ada360381>.

³ Luke Coffey and Can Kasapoğlu, "A New Black Sea Strategy for a New Black Sea Reality," *Hudson*, October 9, 2023, <https://www.hudson.org/foreign-policy/new-black-sea-strategy-new-black-sea-reality>.

ალიქებოდნენ, შესაბამისად, არ იდგა აუცილებლობა ამ გეოგრაფიულ არეალში რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადასადგმელად.

2008 წელი, როგორც ამ არქიტექტურის ტესტი და ცვლილებების დასაწყისი

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ შეარყია ის ძალთა ბალანსი, რომელიც მხარეების უსიტყვო შეთანხმების შედეგად თითქმის 20 წელი მეტ-ნაკლებად ნარჩუნდებოდა. რუსეთი ღიად თავს დაესხა სუვერენულ სახელმწიფოს და საზღვაო ძალები გამოიყენა მისი პორტების ბლოკირებისა და საზღვაო შესაძლებლობების განადგურებისთვის. ამავე დროს, თავი იჩინა მონტროს კონვენციასთან დაკავშირებულმა საკითხებმა, როცა ოპერაცია Assured Delivery-ის ფარგლებში აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდების შემოსვლა თურქეთმა შეაფერხა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საბრძოლო ხომალდებს არ წარმოადგენდნენ და მათი წყალწყვა 10 ათას ტონაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.⁴ აგრესიის შედეგად, რუსეთმა გაზარდა გავლენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და მის სანაპიროზე. სწორედ ამ თარიღიდან იწყება ათვლა ახალი ძალთა ბალანსის ფორმირებისთვის მზადებისა, რომელიც რუსეთმა 2014 წელს განახორციელა და 2022 წლამდე ეტაპობრივად მისთვის უფრო ხელსაყრელ სახეს აძლევდა. 2008 წელს დაიწყო რუსეთის შეიარაღებული ძალების, მათ შორის შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაცია, რამაც მისი შესაძლებლობები კარდინალურად შეცვალა.⁵

2014 წლის ყირიმის ანექსია და მისი გავლენა არქიტექტურაზე

2014 წელს, უკრაინაში მომხდარი რევოლუციისა და ქვეყნიდან რუსეთის მოკავშირე პრეზიდენტ იანუკოვიჩის გაქცევის შემდეგ, რუსეთმა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო ძალის გამოყენებით ოკუპაცია, შემდგომ კი ანექსია მოახდინა. უკრაინის ხელისუფლებამ, რომელსაც მემკვიდრეობით პრაქტიკულად დაშლილი და არაბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები ერგო, ამას ხელი ვერ შეუშალა. დიდი ალბათობით, კრემლის გათვლა დასწრებაზე მოქმედება იყო, რადგან მოძლიერებულ ახალ უკრაინულ ხელისუფლებას შესაძლოა რუსული სამხედრო ბაზა სევასტოპოლიდან გაეძევებინა (ამაზე ცალკეული უკრაინელი პოლიტიკოსები წლების მანძილზე ღიად საუბრობდნენ). ანექსიის შედეგად უკრაინამ არა მხოლოდ დაკარგა მისი საუკეთესო სამხედრო-საზღვაო პორტი, არამედ

⁴ "Operation Assured Delivery Ends: 21st Theater Sustainment Command Returns from Successful Georgian Humanitarian Mission," Kaiserslautern American, September 19, 2008, <https://www.kaiserslauternamerican.com/operation-assured-delivery-ends-21st-theater-sustainment-command-returns-from-successful-georgian-humanitarian-mission/>.

⁵ Joseph Kyle, "Russia's 'New Look' Military Reforms and Their Impact on Russian Foreign Policy — THE INTERNATIONAL AFFAIRS REVIEW," THE INTERNATIONAL AFFAIRS REVIEW, February 21, 2018, <https://www.iar-owu.org/blog/2018/02/22/russias-new-look-military-reforms-and-their-impact-on-russian-foreign-policy#:~:text=These%20reforms%20represented%20a%20complete,a%20smaller%20%20more%20professional%20military>.

საზღვაო შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც რუსეთის ფლოტმა ჩაიგდო ხელში.⁶

ამ დროისთვის, შავ ზღვას რუსეთისთვის კიდევ უფრო გაზრდილი მნიშვნელობა გააჩნდა. 2013 წელს რუსეთმა შექმნა ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის მუდმივი საზღვაო დაჯგუფება, რომელიც ძირითადად შავი ზღვის ფლოტის შესაძლებლობებისგან შედგებოდა და შავ ზღვას ამ ოპერაციის, შესაბამისად კი ბაშარ ასადის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ სირიაში საკუთარი საზღვაო საყრდენი პუნქტის (ტარტუსი) და სირიის რეჟიმის დასაცავად რუსეთმა შეძლო საზღვაო, ჰაერსაწინააღმდეგო, ხომალდსაწინააღმდეგო და სხვა შესაძლებლობების განთავსება და ინტეგრირება სირიის სანაპიროსთან და დასავლური კოალიციის მხრიდან სირიაზე საავიაციო დარტყმების გეგმის ჩაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.⁷ ეს იყო რუსეთის მხრიდან A2/AD კონცეფციის პირველი რეალური გამოყენება. სწორედ ეს მიდგომა დაედო საფუძვლად რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის მილიტარიზაციას, რამაც რუსეთის შესაძლებლობები შავ ზღვაზე მნიშვნელოვნად გაზარდა.

A2/AD ოპერაციების კონცეფცია მიზნად ისახავს ოპერაციის რაიონში მოწინააღმდეგის შეღწევის აღკვეთას და მანევრის შეზღუდვას. ყირიმის ანექსიის შემდეგ, რომელიც მსოფლიოს არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა, მოსკოვისთვის დღის წესრიგში დადგა მისი დაცვის აუცილებლობა. ამისთვის საჭირო იყო შავ ზღვაში გარე ძალების შესაძლო შეღწევისა და შეღწევის შემთხვევაში, მათი მოქმედებების აღკვეთა. ამ მიზნით, ანექსიის შემდეგ სწრაფადვე რუსეთმა განაღვა ნახევარკუნძულზე თავისი საუკეთესო ჰაერსაწინააღმდეგო, ხომალდსაწინააღმდეგო და საავიაციო შესაძლებლობები, მოახდინა მათი ინტეგრირება. გაგრძელდა შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაცია და შედეგად, შავი ზღვა დიდწილად დაიფარა რუსული საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ბაზირების სარაკეტო სისტემებისგან შემდგარი ბუშტით, რომელში მოქმედებაც ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის საკმაოდ რთული იქნებოდა.⁸

⁶ Michael Kofman et al., *Lessons from Russia's Operations in Crimea and Eastern Ukraine* (Rand Corporation, 2017).

⁷ Kofman et al., *Lessons from Russia's Operations in Crimea and Eastern Ukraine*.

⁸ Andrii Ryzhenko, "Crimea's Role as Russian Bastion for the Ongoing War in Ukraine - Jamestown," Jamestown, April 6, 2022, <https://jamestown.org/program/crimeas-role-as-russian-bastion-for-the-ongoing-war-in-ukraine/>.

რუსეთ-უკრაინის ომი, როგორც ამ არქიტექტურაზე უდიდესი გავლენის მქონე ფაქტორი

რუსეთ-უკრაინის ომის საზღვაო განზომილება

ჯერ კიდევ 2014 წელს, რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ მოქმედების დაწყების სამხედრო ამძრავი სამხედრო-საზღვაო განზომილება იყო. ყირიმის ნახევარკუნძული წარმოადგენს მნიშვნელოვან მეორე გეოგრაფიულ არეალს, ბოსფორისა და დარდანელის სრუტის შემდეგ, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის კონტროლისთვის. შავ ზღვაზე ძლიერი სამხედრო ყოფნა რუსეთისთვის კრიტიკულია - ის წარმოადგენს თბილ ზღვებში რუსული საზღვაო ძალის პროექციების პრაქტიკულად ერთადერთ შესაძლებლობას, ეს კი პოლიტიკურად სხვა დიდ მოთამაშებთან კონკურენციის შანსის შენარჩუნებას ნიშნავს.⁹

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად გააძლიერა რუსეთის პოზიციები შავ ზღვაზე, თუმცა ეს საკმარისი არ იყო, უკრაინას რჩებოდა გასასვლელი შავ და აზოვის ზღვებზე და ამ პორტებს ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ხომალდები რეგულარულად სტუმრობდნენ. პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა ნატოს აქტივობას ყირიმის „ზურგში“. ყირიმი წარმოადგენდა რუსეთისთვის ყველაზე სენსიტიურ გეოგრაფიულ არეალს - მას რუსეთის ნაწილად არავინ თვლიდა და თუ რუსეთის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე თავდასხმას დასავლეთი არც ნაახალისებდა და არც მხარს დაუჭერდა, ყირიმი ამგვარი „იმუნიტეტით“ არ სარგებლობდა და შესაბამისად ნებისმიერ მოძრაობა მის გარშემო მოსკოვში გაორმაგებულ რეაქციას იწვევდა. ამის დასტურია 2018 წელს მომხდარი ქერჩის სრუტის ინციდენტი, როდესაც რუსულმა მხარემ ხელში ჩაიგდო 3 უკრაინული მცურავი საშუალება და მათი ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ მარიუპოლის პორტისკენ გადაადგილებას.¹⁰

2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი აგრესიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს უკრაინის ზღვიდან სრულად მოწყვეტა წარმოადგენდა.

საზღვაო ოპერაციები ომის საწყის ეტაპზე

ზღვაზე უკრაინისა და რუსეთის შესაძლებლობებში აშკარა და დიდი ასიმეტრია არსებობდა. უკრაინულ ფლოტს რუსულისთვის წინააღმდეგობის გაწევის შანსი არ გააჩნდა. ომის დაწყების პირველივე საათებში რუსული შავი ზღვის ფლოტის

⁹ Ryzhenko, "Crimea's Role as Russian Bastion for the Ongoing War in Ukraine - Jamestown."

¹⁰ "The Kerch Strait Incident," IISS, n.d., <https://www.iiss.org/publications/strategic-comments/2018/the-kerch-strait-incident>.

ხომალდები უკრაინის სანაპიროსთან რეიდზე დადგნენ და მოახდინეს უკრაინული ფლოტის ბლოკირება. აღნიშნული რუსულმა მხარემ პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე განახორციელა. მოხდა ოდესის სანაპიროდან 35 კმ-ში მდებარე კუნძული ზმეინის ხელში ჩაგდებაც.¹¹

ომის დაწყებიდან მალევე, უკრაინის მოთხოვნით თურქეთმა ბოსფორისა და დარდანელის სრუტე სამხედრო გემებისთვის ჩაკეტა.

3 მარტამდე უკრაინის საზღვაო ძალების მცურავი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ფლაგმანი Гетьман Сагайдачний. ეს ხომალდი მიკოლაევთან საკუთარმა ეკიპაჟმა ჩაძირა. ამის მიზეზი ხომალდის რუსების ხელში აღმოჩენის საფრთხე იყო. ხომალდი რემონტზე იდგა და საბრძოლო მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, თუმცა დიდი ალბათობით, მისი გამართულობის შემთხვევაშიც კი სურათი დიდად განსხვავებული არ იქნებოდა. დაახლოებით იგივე დროს ოდესასთან ახლოს მოხდა საპატრულო ხომალდი Спів'янець-ის განადგურება, საავიაციო რაკეტით. იმის შედეგად, რომ რუსულმა ძალებმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან ხერსონის ოლქში შემოღწევა შედარებით მარტივად შეძლეს, მოხდა მელიტოპოლისა და ბერდიანსკის ოკუპაცია და ეს ძალები მარიუპოლის თავდაცვის რაიონის ზურგში მოექცნენ. ამ მოულოდნელმა განვითარებამ კარდინალურად არია უკრაინის როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო დაჯგუფების თავდაცვის გეგმები. შედეგად, მარტის პირველ ნახევარში უკრაინამ დაკარგა წვდომა აზოვის ზღვაზე. ბერდიანსკის ოკუპაციის შედეგად რუსებს 8 უკრაინული მცურავი საშუალება ჩაუვარდათ ხელში.¹² შედეგად, უკრაინის სამხედრო საზღვაო ფლოტმა, იმ სახით, რა სახითაც ის ომამდე იყო ცნობილი, არსებობა შეწყვიტა.

რუსეთის მცდელობა მოეჭრა უკრაინა ზღვიდან, დნესტრისპირეთამდე

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული რუსული სამხედრო კამპანია რამდენიმე ძირითადი ოპერაციისგან შედგებოდა, რომლებიც პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დავყოთ - კიევის მიმართულება, ჩრდილოეთის მიმართულება, აღმოსავლეთის მიმართულება და სამხრეთის მიმართულება. სწორედ სამხრეთის მიმართულება, რომელზეც შეიძლება ითქვას ერთადერთი მიმართულება აღმოჩნდა, რომელშიც რუსულმა ძალებმა ხელშესახებ წარმატებებს მიაღწიეს, ისახავდა

¹¹ Ltz Van Lokeren, "Russian Naval Deployments during the Ukraine War," Russian Fleet Analysis (blog), March 17, 2022, <https://russianfleetanalysis.blogspot.com/2022/02/russian-naval-deployments-during.html>.

¹² Oryx, "List Of Naval Losses During The Russian Invasion Of Ukraine," Oryx, n.d., <https://www.oryxspioenkop.com/2022/03/list-of-naval-losses-during-2022.html>.

მიზნად უკრაინის ზღვიდან მოწყვეტას და დნესტრისპირეთამდე სახმელეთო დერეფნის მოწყობას.¹³

სამხრეთ მიმართულების წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო ის, რომ რუსულ არმიაში საუკეთესო, სამხრეთ სამხედრო ოლქის ძალები სწორედ ამ მიმართულებაზე მოქმედებდნენ, ოპერაცია დიდი ალბათობით წლების მანძილზე მუშავდებოდა და თუ გავრცელებულ ინფორმაციას ვენდობით, რუსეთმა უკრაინულ უსაფრთხოების სამსახურში ჩანერგილი აგენტურის დახმარებით ყირიმიდან ხერსონის ოლქში ორიდან ერთი გადმოსასვლელის - ჩონგარის ხიდის უკრაინის მხრიდან აფეთქების პრევენცია შეძლო. ამ მიმართულებაზე ოპერაციები საკმაოდ სწრაფად განვითარდა და მარტში უკრაინამ დაკარგა წვდომა აზოვის ზღვაზე. რუსულმა არმიამ ასევე შეძლო დნეპრის ფორსირება, პლაცდარმის შექმნა მარჯვენა სანაპიროზე და დაიკავა ქალაქი ხერსონი. ამ პერიოდში აქტუალური იყო ზღვიდან რუსული დესანტის ოდესაში გადმოსხმის საკითხი. უკრაინულმა ძალებმა შეძლეს შეტევაზე წასული რუსული არმიის ნიკოლაევთან შეჩერება და მას უკან დახევა აიძულეს.¹⁴

მოსკვას ჩაძირვა და უკრაინული A2/AD

აპრილში უკრაინამ რუსეთს ზღვაზე პირველი ძლიერი დარტყმა მიაყენა - სახმელეთო ბაზირების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გამოყენებით განადგურებულ იქნა რუსული შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, სარაკეტო კრეისერი *Москва*, რომელიც მთელი დაჯგუფების ჰაერიდან დაფარვას და სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფას ახდენდა. ამ დანაკარგმა, რომლის ჩანაცვლებაც რუსეთმა დღემდე ვერ შეძლო (დიდწილად იმის გამო, რომ თურქეთი მონტროს კონვენციის საფუძველზე არ აძლევს რუსეთს საშუალებას დამატებითი ხომალდები შემოიყვანოს შავ ზღვაში), დიდი დალი დაასვა მთელს შემდეგ კამპანიას ზღვაზე და ასევე სამხრეთში რუსეთის ოპერაციებს.¹⁵ რუსულ საზღვაო ძალებს მოუწიათ უკრაინის მიერ კონტროლირებადი სანაპიროდან დაახლოებით 200 კმ-ით მოშორება, დღის წესრიგიდან მოიხსნა ოდესაში დესანტირების თემა. რუსეთი ძალიან ცდილობდა შეენარჩუნებინა კუნძული ზმეინი, რომელიც შავი ზღვის

¹³ დნესტრისპირეთში, რომელიც მოლდოვის სევერენელი ტერიტორიაა, თემცა ცენტრს არ ექვემდებარება, რუსული სამხედრო კონტინგენტი განლაგებული. რუსული სამხედრო ძალები ამ გეოგრაფიულ არეალში საბჭოთა პერიოდში მე-14 გვარდიული არმიის სახით იყო წარმოდგენილი, 1956 წლიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა სამხედრო კონტინგენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეგიონში სეპარატისტული მოძრაობის ჩამოყალიბებაში და არალიბერული კვანი-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნაში. 1992 წელს, კონფლიქტის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ შეიქმნა გაერთიანებული საკონტროლო კომისია (მოლდოვა, დნესტრისპირეთი, რუსეთი), რომელსაც დაევალა რეგიონში მშვიდობის დაცვა. რუსეთის მხრიდან ამ მანდატის აღსასრულებლად რამდენიმე ასეული რუსი სამხედრო იყო მიმავრებული ნახსენები მე-14 არმიიდან. 1995 წელს, არმიის სტრუქტურის რეფორმა განხორციელდა და რუსული ძალების ოპერატიული დაჯგუფება ეწოდა. ის მნიშვნელოვნად შემცირდა ზომი და ბოლო პერიოდში მაქსიმუმ 2000 სამხედროს შეადგენდა. 1999 წელს რუსეთმა ეეთოს სამიტზე აიღო ვალდებულება გაეყვანა საკუთარი ძალები მოლდოვიდან და საქართველოდან. მოლდოვასთან მიმართებაში ეს ვალდებულება არ შესრულებულა, რის ოფიციალურ მიზეზადაც დ/პ კობასნოეში განლაგებული შეიარაღების და საბრძოლო მასალების შენახვის ბაზის გაყვანის პრობლემები სახელდება. მოლდოვა მის ტერიტორიაზე რუსული ძალების ყოფნას ეკანონოდ მიიჩნევს. ამჟამად, ეს ძალები რუსეთიდან სრულად იზოლირებულები არიან, არ გააჩნიათ როტაციისა და მომარაგების შესაძლებლობა. სახმელეთო დერეფნის შექმნა ამ პრობლემას მოხსნიდა და მოლდოვაზე რუსულ გავლენას განეზომილად გაზრდიდა.

¹⁴ Anna Nemtsova, "A Disastrous Strategic Failure Has Ukrainians Discussing Politics Again," Washington Post, August 18, 2023, <https://www.washingtonpost.com/opinions/2023/08/16/ukraine-war-politics-democracy-chohhar-bridge/>.

¹⁵ Joshua Askew, "What Impact Will the Sinking of the Moskva Have on the Ukraine War?," Euronews, December 23, 2022, <https://www.euronews.com/my-europe/2022/04/15/what-impact-will-the-sinking-of-the-moskva-have-on-the-ukraine-war>.

ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ოდესიდან დაახლოებით 120 კმ-ში მდებარეობს და მასთან ერთად ილუზორული იმედი იმისა, რომ მაინც შეძლებდა ოდესაში დესანტის გადასხმას და უკრაინის ზღვისგან მოწყვეტას. ზმეინიზე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების და რადარების განთავსებით რუსული მეთაურობა სავარაუდოდ ცდილობდა კუნძულისთვის სტატიკური კრეისერ Москва-ს როლი დაეკისრებინა, თუმცა ყველა იქ განთავსებული სისტემა უკრაინულმა არტილერიამ გაანადგურა, Bayraktar TB-2-ის ტიპის დამრტყმელი დრონებით კი განადგურდა რამდენიმე მცურავი საშუალება, რომელიც კუნძულზე ამ სისტემების გადატანას და მის ლოგისტიკას უზრუნველყოფდა. შედეგად, მოსკოვმა კუნძული დატოვა, უკრაინელებმა კი იქ უკრაინული დროშა დააბრუნეს.¹⁶

უკრაინის მიერ დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე სრული კონტროლის აღდგენა

მიუხედავად უკრაინის შავი ზღვიდან მოწყვეტის ამოცანის შესასრულებლად საჭირო წინაპირობების უმეტესობის არარსებობისა, კრემლი ამ კუთხით მაინც ავლენდა სწრაფვას. ამ საკითხს ბოლო წერტილი შემოდგომაზე დაესვა, როდესაც უკრაინულმა ძალებმა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე რუსეთის ძალების ძირითად ძალებთან კავშირი შეზღუდეს და კომუნიკაციების გარეშე დარჩენილი დაჯგუფება იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი ხერსონი და მთელი პლაცდარმი.¹⁷

ამ უკანდახევის შედეგად, საბოლოოდ მოიხსნა ოდესისა და ნიკოლაევის ოკუპაციის და უკრაინის ზღვიდან მოწყვეტის საფრთხე, დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზა დარჩა სრულ ბლოკადაში და მოსკოვს მოუწია მთლიანობაში ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება - მის მიერ საკუთარ ტერიტორიად აღიარებული გეოგრაფიული არეალის, მათ შორის ომის დაწყებიდან დაკავებული ყველაზე მსხვილი ქალაქის და ერთადერთი საოლქო ცენტრის დატოვება.

მარცვლელის შეთანხმება და თურქეთის როლი

შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს საზღვაო ვაჭრობას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო ღია აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და მოახდინა მისი პორტების ბლოკირება, უკრაინული მარცვლელისა და საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი ექსპორტზე ვერ გავიდა. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შეიქმნა შავი ზღვის მარცვლელის ინიციატივა, რომელიც 2022 წელის ივნისში თურქეთისა და გაეროს შუამავლობით გაფორმდა. დოკუმენტის ხელმოწერით, რუსეთმა უკრაინის შავ ზღვაში არსებული პორტებიდან

¹⁶ ROMAN ROMANIUK, "Battle for Zmiinyi (Snake) Island. Reconstructing the Heroic Tale of Ukraine Losing and Reclaiming the Critical Island," Ukrainska Pravda, November 7, 2022, <https://www.pravda.com.ua/eng/articles/2022/11/7/7375232/>.

¹⁷ Andriy Zagorodnyuk, "Battle of Kherson: Russian Retreat Confirms Putin Is Losing the War," Atlantic Council, November 10, 2022, <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/battle-of-kherson-russian-retreat-confirms-putin-is-losing-the-war/>.

მარცვლეულის უსაფრთხო ექსპორტის უზრუნველყოფის ვალდებულება აიღო.¹⁸ თუმცა, 2023 წლის 17 ივლისს შეთანხმების მოქმედების ვადა ამოიწურა, რუსეთმა კი ამ ვადის და შესაბამისად, შეთანხმების გაგრძელებაზე უარი განაცხადა.¹⁹ შეთანხმების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზი მოსკოვის მიერ ხშირად გაჟღერებული პრეტენზიაა, რომ ინიციატივის მოქმედების ფარგლებში რუსეთის არცერთი პირობა არ შესრულებულა.²⁰

უკრაინა მარცვლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 45 მლნ ტონაზე მეტი მარცვლეულისა და საკვები პროდუქტის (მაგ: მზესუმზირის ზეთი, ხორბალი, ქერი, სიმინდი) ექსპორტს ახორციელებდა.²¹ თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინიდან აღნიშნული საქონლის ექსპორტის 80-85% საზღვაო გზით ხორციელდებოდა, 2022 წელს რუსეთის მიერ შავ ზღვაში უკრაინული პორტების რამდენიმეთვიანი ბლოკადის პირობებში, ექსპორტის მოცულობა შემცირდა. შედეგად, თუ 2021 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში უკრაინამ დაახლოებით 4.5 მლნ ტონა მარცვლეულის ექსპორტი განახორციელა, მაშინ 2022 წლის იმავე პერიოდში მონაცემები განახევრდა და დაახლოებით 2 მლნ ტონა შეადგინა.²²

ექსპორტის მოცულობის შემცირებამ აღნიშნულ საქონელზე ფასების ზრდა გამოიწვია. მაგალითად, 2022 წელს მცენარეული ზეთის ფასი, 2021 წელს არსებულ მონაცემთან შედარებით, 58%-ით იყო მომატებული.²³ გლობალური სასურსათო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, 2022 წლის ივლისის თვეში ძალაში შევიდა „შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმება“, რომლის შედეგად 30 მლნ ტონაზე მეტი მარცვლეულის ექსპორტი უკვე განხორციელდა.²⁴

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოტივაციას/სტიმულს, ხელი მოეწერა აღნიშნულ შეთანხმებაზე, წარმოადგენდა მოსკოვსა და გაერო-ს შორის გაფორმებული 3 წლიანი ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც გაერო რუსეთის საკვები პროდუქტებისა და სასუქის ექსპორტის ხელშეწყობისა და სანქციებისგან მათი დაცვის ვალდებულებას იღებს.²⁵ მიუხედავად ამისა, რუსეთმა შეთანხმების ხელმოწერიდან მალევე მოახდინა მისი შეჩერება. გასული წლის 29 ოქტომბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ მოსკოვი შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმების მოქმედებას აჩერებდა, რადგან მისი პოზიციის მიხედვით უკრაინა ამ სავაჭრო დერეფანს რუსეთის შავი ზღვის ფლოტზე უპილოტო მცურავი საშუალებებით შეტევითვის იყენებდა. თუმცა, 2 ნოემბერს ცნობილი

¹⁸ "One Year of the Black Sea Initiative: Key Facts and Figures," UN News, July 12, 2023, <https://news.un.org/en/story/2023/07/1138532>.

¹⁹ "The Kremlin announced the "effective termination" of the grain deal— Meduza," Meduza, July 17, 2023,

<https://meduza.io/news/2023/07/17/kreml-ob-vavil-o-fakticheskom-prekraschenii-zemovoy-sdelki>.

²⁰ Putin, V. "Nothing was done for Russia as part of the grain deal", Ria Novosti, July 13, 2023. РИА Новости. <https://ria.ru/20230713/putin-1884066085.html>.

²¹ "The Black Sea Grain Initiative: What It Is, and Why It's Important for the World," UN News, September 29, 2022,

<https://news.un.org/en/story/2022/09/1126811#:~:text=The%20Black%20Sea%20Grain%20Initiative%2C%20brokered%20by%20the%20United%20Nations,the%20rest%20of%20the%20world>.

²² "How the Russian Invasion of Ukraine Has Further Aggravated the Global Food Crisis," European Council, October 16, 2023,

<https://www.consilium.europa.eu/en/infographics/how-the-russian-invasion-of-ukraine-has-further-aggravated-the-global-food-crisis/>.

²³ "How the Russian Invasion of Ukraine Has Further Aggravated the Global Food Crisis."

²⁴ BBC News, "How Is Ukraine Exporting Its Grain Now the Black Sea Deal Is Over?," BBC News, September 26, 2023,

<https://www.bbc.com/news/world-61759692>.

²⁵ "UN Stresses 'Full Commitment' to Ukraine Grain Deal as Russia Offers 60-Day Extension," UN News, March 13, 2023,

<https://news.un.org/en/story/2023/03/1134542>.

გახდა, რომ მოსკოვი კვლავ გააგრძელებდა შეთანხმებაში მონაწილეობას.²⁶ აღსანიშნავია, რომ კრემლის ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა პუტინსა და ერდოღანს შორის სატელეფონო საუბარი. ერდოღანის თანახმად, სწორედ მასსა და პუტინს შორის არსებული ახლო კავშირის საფუძველზე/შედეგად მოხდა რუსეთის პრეზიდენტის დაყოლიება და შეთანხმების მოქმედების გაგრძელება.²⁷ იქიდან გამომდინარე, რომ კრემლისთვის, საერთაშორისო იზოლაციის პირობებში, თურქეთთან არსებული სავაჭრო კავშირი და მისი საერთაშორისო მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, სავარაუდოა, რომ თურქეთის ლიდერმა სწორედ ეს ფაქტორი გამოიყენა პუტინის დასარწმუნებლად.²⁸

თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ არსებულ დასავლურ სანქციებს დღემდე არ შეერთებია. უფრო მეტიც, ომის დაწყების შემდეგ თურქეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უფრო გაძლიერდა. კერძოდ, თუ 2021 წელს ანკარასა და მოსკოვს შორის სავაჭრო ბრუნვა \$34.73 მლრდ იყო, 2022 წელს მან \$68.19 მლრდ შეადგინა.²⁹ გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი თავისი იარაღის, აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის დამზადებისთვის აუცილებელი კომპონენტების შესყიდვას სწორედ თურქეთში არსებული კომპანიების მეშვეობით ახერხებს.³⁰

შეთანხმების ვადის ამონურვის შედეგად, რუსეთმა გააუღერა მუქარა, რომ უკრაინისკენ მიმავალი ყველა ხომალდი იქნებოდა მიჩნეული, როგორც სამხედრო დანიშნულების ტვირთი და მათ წინააღმდეგ ამ დაშვების საფუძველზე იმოქმედებდნენ.³¹

მაღევე დაიწყო დარტყმები უკრაინის საჰაერო ინფრასტრუქტურასა და მარცვლეულის სანყოფემაზე ოდესასა და იზმაილში. მოხდა ინციდენტი შავ ზღვაზე, როცა რუსულმა მხარემ ერთ-ერთი სამოქალაქო სატვირთო ხომალდი შეაფერხა და გაჩხრიკა.³²

უკრაინამ საპასუხოდ გაააქტიურა საზღვაო დრონებით რუსული ხომალდების წინააღმდეგ მოქმედება. აგვისტოს დასაწყისში კრიტიკული დაზიანება მიიღო დიდმა სადესანტო ხომალდმა Оленегорский горняк.³³ რამდენიმე დღეში, უკრაინულმა საზღვაო დრონმა ცარიელი რუსული საზღვაო ტანკერი დააზიანა,³⁴ რითაც მიანიშნა

²⁶ Morozova, Anastasia. "Russia will resume participation in the grain deal agreement." Vedomosti, November 2, 2022.

<https://www.vedomosti.ru/politics/articles/2022/11/02/948561-vozobnovit-uchastie-po-koridoru>

²⁷ Max Seddon, Ayla Jean Yackley, and Roman Olearchyk, "One Hand Washes the Other": Grain Deal Shines Light on Erdoğan's Ties to Putin," Financial Times, November 4, 2022, <https://www.ft.com/content/45620671-23fc-4cef-a7b1-a6f9131d0539>.

²⁸ Evropeiskaja Pravda. "Who Forced the Russian Federation to Return to the 'Grain Agreement'? What was promised to Putin? Analysis of the Agreement," n.d. November 2, 2022,

https://www.youtube.com/watch?v=8XsUwrAHbec&ab_channel=%D0%84%D0%B2%D1%80%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B9%D1%81%D1%8C%D0%BA%D0%B0%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%B4%D0%B0

²⁹ Levent Kenez, "Ukraine War Anniversary: Turkish-Russian Trade Skyrocketed despite Sanctions - Nordic Monitor," Nordic Monitor (blog), February 27, 2023, <https://nordicmonitor.com/2023/02/ukraine-war-anniversary-turkish-russian-trade-skyrocketed-despite-sanctions/>.

³⁰ "The Supply Chain That Keeps Tech Flowing to Russia," Reuters, December 13, 2022, <https://www.reuters.com/investigates/special-report/ukraine-crisis-russia-tech-middlemen/>.

³¹ "Meduza. "Ministry of Defense of the Russian Federation: all ships traveling through the Black Sea to the ports of Ukraine will be considered as carriers of military cargo," July 19, 2023. <https://meduza.io/news/2023/07/19/minoborony-rf-vse-suda-sleduyuschie-po-chernomu-moryu-v-porty-ukrainy-budut-rassmatrivatsya-kak-perevozhchiki-voennyh-gruzov>.

³² "Nastaiashee Vremia, "The first ship to leave Odessa after the completion of the 'grain deal' took advantage of the temporary corridor and arrived at the port of Istanbul." August 18, 2023. <https://www.currenttime.tv/a/rossiya-ukraina-turtsiya/3253579.html>.

³³ James Waterhouse and Kathryn Armstrong, "Russian Ship Hit in Novorossiysk, Black Sea Drone Attack, Ukraine Sources Say," BBC News, August 4, 2023, <https://www.bbc.com/news/world-europe-66402046>.

³⁴ Tim Lister, Victoria Butenko, and Kostan Nechyporenko, "Ukraine Hits Russian Oil Tanker with Sea Drone Hours after Attacking Naval Base," CNN, August 5, 2023, <https://edition.cnn.com/2023/08/05/europe/ukraine-sea-drone-attacks-intl/index.html>.

მოსკოვს, რომ შეეძლო საპასუხოდ რუსული ნავთობის ექსპორტის პარალიზება ნოვოროსიისკის პორტიდან.

მიუხედავად ამგვარი დაძაბულობისა, უკრაინის პორტები უკვე რამდენიმე ხომალდმა დატოვა,³⁵ რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოსკოვმა ამ ეტაპზე ვერ მოახერხა უკრაინული მარცვლეულის (და კვების პროდუქტების) საზღვაო გზებით ექსპორტის სრულად დაბლოკვა.

რუსეთ-უკრაინის ომის სცენარები, რომლებიც გავლენას მოახდენენ შავი ზღვის უსაფრთხოების სამომავლო არქიტექტურაზე

ამ მომენტისთვის, ნათელი არ არის, თუ რა შედეგით დასრულდება ომი უკრაინაში. სწორედ ეს არის მთავარი ცვლადი, რომელიც განსაზღვრავს შავი ზღვის მომავალი უსაფრთხოების არქიტექტურას. ამ დიდ ცვლადს „ქვე-ცვლადები“ გააჩნია, რომლებიც საკვანძო როლს თამაშობენ მომავლის იმ ასპექტების პროგნოზირებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად მოახდენენ გავლენას შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაზე. სწორედ მათი გამოყენებით და მათზე აქცენტირებით უნდა მოხდეს მომავლის სცენარების ფორმულირება, რომლებსაც დაეფუძნება ჩვენი ანალიტიკური მოდელი.

ძირითადი ცვლადი არის კონფლიქტში უკრაინის გამარჯვება ან დამარცხება. თუმცა, ჩვენ არ გამოგვადგება ამ ცვლადისადმი ბინარული მიდგომა, რადგან უკრაინის სრულ გამარჯვებას (ტერიტორიების სრული გათავისუფლება) და რუსეთის სრულ გამარჯვებას (კიევის დაკავება, ქვეყნის სრულად დამორჩილება) შორის თეორიულად შესაძლებელია არაერთი რეალისტური ვარიანტის ფორმულირება, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის განტოლების საბოლოო შედეგს.

ომის საბოლოო შედეგის განსაზღვრისთვის უმნიშვნელოვანესი ქვე-ცვლადი (შემდგომში „ცვლადი“) საზღვაო აკვადორიის, მათ შორის ყირიმის ნახევარკუნძულის კონტროლია. ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში რუსეთთან მომიჯნავე გეოგრაფიული არეალის კონტროლი სერიოზულ გავლენას ვერ იქონიებს შავ ზღვაზე არსებულ ძალთა ბალანსზე და რუსეთისა და უკრაინის პოზიციონირებაზე რეგიონულ ქრილში. რუსეთი დღეს აკონტროლებს უკრაინის საზღვაო სანაპიროს მარიუპოლიდან დნეპრამდე და ყირიმის ნახევარკუნძულს. ეს უზრუნველყოფს სახმელეთო კავშირს ყირიმთან, რაც რუსეთისთვის ნახევარკუნძულის ტერიტორიის უსაფრთხოებას ზრდის. ნახსენები გეოგრაფიული არეალის სამომავლო კონტროლის კუთხით შესაძლოა განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი სამხედრო სცენარი:

³⁵ Reuters, "Second Ship since Grain Deal Expiry Leaves Ukraine's Odesa -Lawmaker," Yahoo Finance, August 26, 2023, <https://finance.yahoo.com/news/second-ship-since-grain-deal-132311391.html>.

- რუსეთი ახდენს დნეპრის ფორსირებას და სრულად წყვეტს უკრაინას ზღვიდან, შედეგად ამყარებს სახმელეთო დერეფანს დნესტრისპირეთამდე (1);
- რუსეთი ინარჩუნებს არსებულ თავდაცვის ხაზს (2);
- უკრაინა ახერხებს სახმელეთო დერეფნის ნაწილობრივ განწყვეტას, იკავებს ტოკმაკს (ან რაიმე საკვანძო ქალაქს, რომელიც ამჟამინდელი შეხების ხაზიდან დაახლოებით 20-30 კმ სიღრმეში მდებარეობს) და სახმელეთო დერეფანს ძალიან მონყვლადს ხდის (3);
- უკრაინა წყვეტს სახმელეთო დერეფანს, იკავებს მელიტოპოლს ან ბერდიანსკს, თუმცა რუსეთი ინარჩუნებს კონტროლს მარიუპოლზე, ხერსონის ოლქის მნიშვნელოვან ნაწილზე და ყირიმზე (4);
- უკრაინა ათავისუფლებს მთელს სანაპიროს, თუმცა პოლიტიკური (მაგალითად, ბირთვული მუქარა) მიზეზებით ვერ აგრძელებს შეტევას ყირიმზე (5);
- უკრაინა იკავებს მთელს სანაპიროს ყირიმის ჩათვლით და აძევებს/ანადგურებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტს (6).

რეალისტურობიდან გამომდინარე, შესაძლოა სიის კორექტირება და გარკვეულწილად შეკვეცა. ამ ეტაპზე, ფრონტზე არსებული ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, რთულად წარმოსადგენია რუსეთმა მოახერხოს იმ ზომის და კომპოზიციის ძალების თავმოყრა, რომ შეძლოს დნეპრის ფორსირება და მასშტაბური შეტევა განახორციელოს ხერსონზე, ნიკოლაევსა და ოდესაზე, მით უფრო, რომ ზღვიდან დესანტირების შესაძლებლობა რუსეთს პრაქტიკულად არ გააჩნია, სადესანტო ხომალდების დანაკარგების და უკრაინის მიერ ოდესის გარშემო შექმნილი A2/AD ზონის გათვალისწინებით.

ასევე შედარებით ნაკლებ რეალისტურია სცენარი, რომლის მიხედვითაც უკრაინა შეძლებს განწყვიტოს სახმელეთო დერეფანი, თუმცა მოსკოვმა შეინარჩუნოს კონტროლი ხერსონის ოლქის დიდ ნაწილსა და დონეცკის ოლქის ზღვისპირა ნაწილზე. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სამხრეთში არსებული თავდაცვითი საინჟინრო ნაგებობების დისპოზიცია და გეოგრაფია, დიდი ალბათობით, რამდენიმე ეშელონიანი თავდაცვითი სისტემის გარღვევა დიდწილად მის სრულ ჩამოშლას და ძალების ყირიმისა და მარიუპოლისკენ „განოვას“ გამოიწვევს.

შესაბამისად, სცენარი 1 და 4 შეგვიძლია ნაკლებ რეალისტურობის გამო ჩვენი განტოლებიდან ამოვიღოთ.

სამხედრო სცენარები, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებაზეც. სცენარი 2-ის შემთხვევაში, უკრაინა პრაქტიკულად დაკარგავს შანსს გახდეს დიდი მოთამაშე შავ ზღვაზე და ეს სერიოზულად აისახება მის ეკონომიკურ პერსპექტივებზეც. პრაქტიკულად იგივე შედეგი დადგება სცენარი 3-ის რეალიზების შემთხვევაშიც, თუმცა ეს სცენარი მაინც უფრო შუალედურ სცენარად შეიძლება განვიხილოთ, რადგან ამგვარი სტატუს-კვო ორივე მხარეს დაუტოვებს ვითარების გაუმჯობესების იმედს და აუცილებლობას, შესაბამისად, დიდი ალბათობით ამგვარი შეთანხმება ხანგრძლივად ვერ გაძლებს. ქვემოთ განვიხილავთ დარჩენილ სცენარებს და მათ იმპლიკაციებს

უკრაინას რჩება ის საზღვაო ზოლი, რასაც ამჟამად აკონტროლებს

ეს სცენარი რეგიონში რუსეთის გავლენის შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის ყველაზე ხელსაყრელი სცენარია რეალისტურ სცენარებს შორის. უკრაინა დაკარგავს მისი სანაპიროს დიდ ნაწილს, გასასვლელს აზოვის ზღვაზე (რაც მას რუსეთის შიდა ზღვად გადააქცევს) და ყირიმს პირდაპირი საფრთხე პრაქტიკულად აღარ დაემუქრება. უკრაინისთვის რთული იქნება დარჩენილი პორტებით საკუთარი პროდუქციის ექსპორტი, რომელიც თავის მხრივ შემცირდება ოკუპირებულ სამხრეთში განლაგებული მოსავლიანი მიწების დაკარგვით. ეს უარყოფითად აისახება შავ ზღვაზე ნატოს ყოფნასა და გავლენაზე, ასევე საქართველოზე, რადგან რუსული შავი ზღვის ფლოტი კიდევ უფრო დომინანტი გახდება შავ ზღვაზე. მთელი ეს სიტუაცია ასევე უარყოფითად აისახება შავი ზღვის სავაჭრო მარშრუტების პოტენციალზე და შეაფერხებს ამ გეოგრაფიულ არეალში ეკონომიკურ აქტივობასა და მასშტაბურ სამომავლო პროექტებს.

უკრაინა ათავისუფლებს ყველა საზღვაო პორტს, თუმცა რუსეთის ხელში რჩება ყირიმი

ამ სცენარის განხორციელების შემთხვევაში, უკრაინა აღადგენს 2022 წლის დასაწყისის სტატუს-კვოს იმ განსხვავებით, რომ ყირიმის დროებით რუსეთის კონტროლქვეშ დარჩენის მიუხედავად, ნახევარკუნძული ბევრად უფრო მოწყვლადი იქნება, ვიდრე ფართომასშტაბიან ომამდე. შესაბამისად, სევასტოპოლი ნაკლებ გამოსადეგი იქნება, როგორც შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა - მოსკოვს უკვე აღარ ექნება უკრაინაზე ფართომასშტაბიანი აგრესიის ხელახლა განხორციელების თავისუფლება უკრაინის შეიარაღებული ძალების გაზრდილი შესაძლებლობების ფონზე (რაც 2022 წლამდე აფერხებდა უკრაინის მხრიდან ყირიმის წინააღმდეგ მოქმედებას) და უკრაინას ექნება ყირიმის მთელი ტერიტორიის ეფექტური საცეცხლე კონტროლის შესაძლებლობა. უკრაინის მიერ საზღვაო სანაპიროს დიდი ნაწილის დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის სამხედრო მიზნებისთვის რუსეთის მხრიდან აზოვის ზღვის გამოყენებას და გაზრდის ნატოს/აშშ-ის გავლენას აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალზე უკრაინაში მისი მზარდი პოლიტიკური და შესაძლოა სამხედრო ყოფნიდან გამომდინარე.

უკრაინა სრულად ათავისუფლებს საკუთარ სანაპიროს, რუსეთი რჩება მნიშვნელოვან მოთამაშედ შავ ზღვაზე

იმ შემთხვევაში, თუ უკრაინამ შეძლო სამხრეთში საკუთარი ტერიტორიების სრულად გაათავისუფლება, რუსეთის როლი შავ ზღვაზე უკიდურესად შეიზღუდება. რუსულ შავი ზღვის ფლოტს მოუწევს ნოვოროსიისკში გადანაცვლება, რაც საგრძნობლად შეზღუდავს შავ ზღვაზე და შესაბამისად, ხმელთაშუა ზღვის

აღმოსავლეთით ძალის პროექტირების შესაძლებლობებს. ეს მთლიანობაში შეზღუდავს რუსულ გავლენას რეგიონში და უკრაინის გაზრდილი სამხედრო შესაძლებლობების პირობებში, პოლიტიკურად მოსკოვი ამ გეოგრაფიულ არეალში გავლენას მნიშვნელოვნად დაკარგავს. ამას ხელს შეუწყობს თურქეთის მზარდი შესაძლებლობებიც, რაც მთლიანობაში შექმნის რეგიონში ნატოს როლის ზრდის წინაპირობებს (თუნდაც შავ ზღვაზე თურქეთისა და ნატოს სხვა წევრების ხედვებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებისა).

უკრაინა სრულად ათავისუფლებს საკუთარ სანაპიროს, ანადგურებს შავი ზღვის ფლოტს, რუსეთში იწყება დეზინტეგრაციული პროცესები

ეს სცენარი პრაქტიკულად წინა სცენარის ექსტრემალური ვერსიაა, როცა უკრაინა ანადგურებს სამხრეთში რუსეთის არმიას, ფრონტი სრულად ირღვევა, უკრაინა სწრაფად ახერხებს ყირიმის ნახევარკუნძულზე შეღწევას, ანადგურებს/ხელში იგდებს შავი ზღვის ფლოტს და აღადგენს სრულ კონტროლს სამხრეთის ტერიტორიებზე. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ტექტონიკური ცვლილებები რუსულ პოლიტიკურ ელიტაში, დაიწყოს შიდა დაპირისპირება, ყველა შესაძლო თანმდევი ეფექტით. ასეთ შემთხვევაში, სულ მცირე მოკლევადიან და შესაძლოა საშუალოვადიან პერსპექტივაში რუსეთის როლი შავ ზღვაზე მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურას რადიკალურად შეცვლის. შავი ზღვის ფლოტის გარეშე რუსული გავლენა რეგიონში უკიდურესად დაკნინდება, ნატოს გავლენა კი მნიშვნელოვნად მოიმატებს. დიდი ალბათობით, თურქეთი შეეცდება ამით ისარგებლოს და მისთვის მისაღები არქიტექტურის საფუძვლის ჩაყრა დაიწყოს. ის დაფუძნებული იქნება მონტროს კონვენციაზე და მაქსიმალურად ხელს შეუშლის ზღვაზე როგორც რუსეთის, ასევე სხვა არასანაპირო ქვეყნების (მათ შორის აშშ-ის) როლის გაძლიერებას.

შავი ზღვის უსაფრთხოების რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი არქიტექტურის კონტურები

ამ ეტაპზე, რთულია ცალსახად პროგნოზირება იმისა, თუ როგორ დასრულდება ომი უკრაინაში, შესაბამისად, რთულია მტკიცებით ფორმაში იმაზე საუბარიც, თუ როგორი იქნება შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურა, თუნდაც მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაშიც კი. თუმცა, შესაძლოა ვცადოთ ჩამოვყალიბოთ ის ძირითადი ჩარჩო, რომელიც უკვე გამოიკვეთა შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურასთან მიმართებაში და რელევანტურია პრაქტიკულად ყველა ზემოთ აღწერილი სცენარის შემთხვევაში.

პირველ რიგში, ესაა გაზრდილი პოლარიზაცია. მცირეა იმის ალბათობა, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, რომ შავი ზღვა თანამშრომლობის სივრცე იქნება. პირიქით, ომში უკრაინის წარმატების შემთხვევაშიც დიდია ალბათობა, რომ რუსეთი არ შეეგუოს მარცხს და რევანშისთვის დაიწყოს მზადება. ამ ფონზე, რუსეთი მოწინააღმდეგეებად მიიჩნევს ნატოს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებსაც, რომლებიც შავ ზღვაზე მდებარეობენ. მარცხი „აღყის მენტალობას“ გააძლიერებს მოსკოვში.

დაძაბულობის შენარჩუნება შავ ზღვაში ხელს შეუშლის რეგიონული და საერთაშორისო ინიციატივების განხორციელებას. რთული ეკონომიკური ვითარება თურქეთში და რუსეთში და ომის შემდგომი უკრაინა, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა ასევე მძიმე იქნება, რეგიონის ეკონომიკური მომავლის არც ისე ოპტიმისტურ სურათს იძლევა.

გამყარდება თურქეთის, როგორც შავი ზღვის კარიბჭის როლი და ავტორიტეტი. ანკარა ახერხებს მონტროს კონვენციის იმგვარად გამოყენებას, რომ კონფლიქტის არც ერთი მონაწილე მხარე ფორმალურ პრეტენზიას ანკარას მიმართ არ გამოთქვამს, შესაბამისად თურქეთის მნიშვნელობა და წონა იზრდება როგორც რეგიონის, ასევე მის გარეთ არსებული მოთამაშეებისთვის, მათ შორის ნატოსთვის, როგორც ორგანიზაციისათვის.

რუსეთის, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ადეკვატური მონაწილის, პოლიტიკური ასევე ეკონომიკური პარტნიორის იმიჯი მნიშვნელოვნად შეილახება, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ბულგარეთისა და რუმინეთის მხრიდან ნატოს მეტი შესაძლებლობების მის ტერიტორიაზე განთავსების მოთხოვნას, რუსეთის შესაკავებლად. ეს თავისთავად დადებითად არ იმოქმედებს მოსკოვის მოქმედების თავისუფლებაზე რეგიონში.

ნატოსთვის, სავარაუდოდ, რეგიონი მეტ აქტუალობას შეიძენს. ის ეცდება დაარწმუნოს მისი წევრები, რომ რუსეთის მხრიდან მტრული მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში ორგანიზაცია მათ უსაფრთხოებას დაიცავს. შესაძლოა მოხდეს ნატოს სხვა წევრების დამატებითი სამხედრო შესაძლებლობების განთავსება ამ სახელმწიფოებში. ნაკლებ სავარაუდოა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს უშუალოდ საზღვაო შესაძლებლობების კუთხით. რუმინეთისა და ბულგარეთის საზღვაო შესაძლებლობები მწირია და მათი დახმარებით რაიმე რუსეთთან ზღვაზე რაიმე პარიტეტის მიღწევა ნაკლებ რეალურია, თურქეთი კი რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ცდილობს, რომელიც ყოველთვის სრულ თანხვედრაში არ არის ნატოს პოლიტიკასთან.

უკრაინაში გაიზრდება აშშ-ის და ნატოს პოლიტიკური და სამხედრო ყოფნა, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა ამან მასშტაბური ხასიათი შეიძინოს. კიევი ჩამოყალიბდება რუსეთის ძლიერ მოწინააღმდეგედ და პრობლემად.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება კონფლიქტი, შავი ზღვის რეგიონი ამ კონფლიქტიდან დაზარალებული გამოვა, რადგან ფანტასტიური სცენარების გარდა, არც ერთი სამომავლო კონფიგურაცია არ იძლევა ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას. თუნდაც საშუალოვადიან პერსპექტივაში

ნაკლებად არის შესაძლებელი რეგიონში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი ზრდა, თანამშრომლობის ინკლუზიური პლატფორმების ფორმირება და მყარი უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა

Askew, Joshua. "What Impact Will the Sinking of the Moskva Have on the Ukraine War?" Euronews, December 23, 2022. <https://www.euronews.com/my-europe/2022/04/15/what-impact-will-the-sinking-of-the-moskva-have-on-the-ukraine-war>.

Coffey, Luke, and Can Kasapoğlu. "A New Black Sea Strategy for a New Black Sea Reality." Hudson, October 9, 2023. <https://www.hudson.org/foreign-policy/new-black-sea-strategy-new-black-sea-reality/>.

Kenez, Levent. "Ukraine War Anniversary: Turkish-Russian Trade Skyrocketed despite Sanctions - Nordic Monitor." Nordic Monitor (blog), February 27, 2023. <https://nordicmonitor.com/2023/02/ukraine-war-anniversary-turkish-russian-trade-skyrocketed-despite-sanctions/>.

Kofman, Michael, Katya Migacheva, Brian Nichiporuk, Tkacheva, Andrew Radin, and Jenny Oberholtzer. Lessons from Russia's Operations in Crimea and Eastern Ukraine. Rand Corporation, 2017.

Kyle, Joseph. "Russia's 'New Look' Military Reforms and Their Impact on Russian Foreign Policy — THE INTERNATIONAL AFFAIRS REVIEW." THE INTERNATIONAL AFFAIRS REVIEW, February 21, 2018. <https://www.iaar-gwu.org/blog/2018/02/22/russias-new-look-military-reforms-and-their-impact-on-russian-foreign-policy#:~:text=These%20reforms%20represented%20a%20complete,a%20smaller%2C%20more%20professional%20military.>

Lister, Tim, Victoria Butenko, and Kostan Nechyporenko. "Ukraine Hits Russian Oil Tanker with Sea Drone Hours after Attacking Naval Base." CNN, August 5, 2023. <https://edition.cnn.com/2023/08/05/europe/ukraine-sea-drone-attacks-intl/index.html>.

Lokeren, Van Ltz. "Russian Naval Deployments during the Ukraine War." Russian Fleet Analysis (blog), March 17, 2022. <https://russianfleetanalysis.blogspot.com/2022/02/russian-naval-deployments-during.html>.

Morozova, Anastasia. "Russia will resume participation in the grain deal agreement." Vedomosti, November 2, 2022. <https://www.vedomosti.ru/politics/articles/2022/11/02/948561-vozobnovit-uchastie-po-koridoru>.

Nemtsova, Anna. "A Disastrous Strategic Failure Has Ukrainians Discussing Politics Again." Washington Post, August 18, 2023. <https://www.washingtonpost.com/opinions/2023/08/16/ukraine-war-politics-democracy-chonhar-bridge/>.

Özkan, Behlül. "The 1945 Turkish-Soviet Crisis." Russia in Global Affairs, 2020. <https://eng.globalaffairs.ru/articles/1945-turkish-soviet-crisis/>.

Putin, V. "Nothing was done for Russia as part of the grain deal", Ria Novosti, July 13, 2023. РИА Новости. <https://ria.ru/20230713/putin-1884066085.html>.

Romaniuk, Roman. "Battle for Zmiinyi (Snake) Island. Reconstructing the Heroic Tale of Ukraine Losing and Reclaiming the Critical Island." Ukrainska Pravda, November 7, 2022. <https://www.pravda.com.ua/eng/articles/2022/11/7/7375232/>.

Ryzhenko, Andrii. "Crimea's Role as Russian Bastion for the Ongoing War in Ukraine - Jamestown." Jamestown, April 6, 2022. <https://jamestown.org/program/crimeas-role-as-russian-bastion-for-the-ongoing-war-in-ukraine/>.

Seddon, Max, Ayla Jean Yackley, and Roman Olearchuk. "'One Hand Washes the Other': Grain Deal Shines Light on Erdoğan's Ties to Putin." Financial Times, November 4, 2022. <https://www.ft.com/content/45620571-23fc-4cef-a7b1-a6f9131d0539>.

Waterhouse, James, and Kathryn Armstrong. "Russian Ship Hit in Novorossiysk, Black Sea Drone Attack, Ukraine Sources Say." BBC News, August 4, 2023. <https://www.bbc.com/news/world-europe-66402046>.

Zagorodnyuk, Andriy. "Battle of Kherson: Russian Retreat Confirms Putin Is Losing the War." Atlantic Council, November 10, 2022. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/battle-of-kherson-russian-retreat-confirms-putin-is-losing-the-war/>.

BBC News, "How Is Ukraine Exporting Its Grain Now the Black Sea Deal Is Over?," BBC News, September 26, 2023, <https://www.bbc.com/news/world-61759692>.

European Council, "How the Russian Invasion of Ukraine Has Further Aggravated the Global Food Crisis," October 16, 2023, <https://www.consilium.europa.eu/en/infographics/how-the-russian-invasion-of-ukraine-has-further-aggravated-the-global-food-crisis/>.

Evropeiskaia Pravda. "Who Forced the Russian Federation to Return to the 'Grain Agreement'? What was promised to Putin? Analysis of the Agreement," n.d. November 2, 2022, https://www.youtube.com/watch?v=8XsUwrAHbec&ab_channel=%D0%84%D0%B2%D1%80%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B9%D1%81%D1%8C%D0%BA%D0%B0%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%B4%D0%B0.

International Institute for Strategic Studies (IISS), "The Kerch Strait Incident," IISS, n.d., 2018 <https://www.iiss.org/publications/strategic-comments/2018/the-kerch-strait-incident>.

Kaiserslautern American, "Operation Assured Delivery Ends: 21st Theater Sustainment Command Returns from Successful Georgian Humanitarian Mission." September 19, 2008. <https://www.kaiserslauternamerican.com/operation-assured-delivery-ends-21st-theater-sustainment-command-returns-from-successful-georgian-humanitarian-mission/>.

Meduza. "The Kremlin announced the 'effective termination' of the grain deal — Meduza," July 17, 2023. <https://meduza.io/news/2023/07/17/kreml-ob-yavil-o-fakticheskom-prekraschenii-zernovoy-sdelki>.

Meduza. "Ministry of Defense of the Russian Federation: all ships traveling through the Black Sea to the ports of Ukraine will be considered as carriers of military cargo," July 19, 2023.

<https://meduza.io/news/2023/07/19/minoborony-ri-vse-suda-sleduyuschie-po-chemomu-moryu-v-porty-ukrainy-budut-rassmatrivatsya-kak-perevozchiki-voennyh-gruzov>.

Nastaiashee Vremia, "The first ship to leave Odessa after the completion of the 'grain deal' took advantage of the temporary corridor and arrived at the port of Istanbul." August 18, 2023.

<https://www.currenttime.tv/a/rossiya-ukraina-turtsiya/32553579.html>.

Oryx. "List Of Naval Losses During The Russian Invasion Of Ukraine." Oryx, n.d. <https://www.oryxspioenkop.com/2022/03/list-of-naval-losses-during-2022.html>.

Reuters. "The Supply Chain That Keeps Tech Flowing to Russia," December 13, 2022. <https://www.reuters.com/investigates/special-report/ukraine-crisis-russia-tech-middlemen/>.

Reuters. "Second Ship since Grain Deal Expiry Leaves Ukraine's Odesa -Lawmaker." Yahoo Finance, August 26, 2023. <https://finance.yahoo.com/news/second-ship-since-grain-deal-132311391.html>.

UN News. "One Year of the Black Sea Initiative: Key Facts and Figures," July 12, 2023. <https://news.un.org/en/story/2023/07/1138532>.

UN News. "The Black Sea Grain Initiative: What It Is, and Why It's Important for the World," September 29, 2022. <https://news.un.org/en/story/2022/09/1126811#:~:text=The%20Black%20Sea%20Grain%20Initiative%20C%20brokered%20by%20the%20United%20Nations,the%20rest%20of%20the%20world>.



საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

NATO-ს ღია კარის პოლიტიკა

ავტორი: დავით ღონღუა



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

მხარეებს შუამდგომლობით, ერთსულნი თანხმობით, ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მოიწვიონ ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც შეეძლოს უნარი ხელი შეუწყოს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში.¹

NATO-ს ღია კარის პოლიტიკა განსაზღვრულია ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტში, ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულებაში, რომელსაც 1949 წელს ევროპისა და ჩრდილოეთი ამერიკის 12-მა სახელმწიფომ (აშშ, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ისლანდია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი) მოაწერა ხელი.² დაარსების შემდეგ, NATO მუდმივად ფართოვდებოდა და ამჟამად მასში 31 წევრია. ჯერ კიდევ ცივი ომის დროს, ალიანსს ოთხი სახელმწიფო შეუერთდა.

თურქეთი NATO-ში 1952 წელს გაწევრდა. იმხანად, ქვეყნის ხელისუფლებაც და მოსახლეობაც თავის მომავალს ევროპას უკავშირებდა. შესაბამისად, ცივი ომის დაწყებისთანავე, თურქეთმა დასავლეთის მხარე აირჩია. თუმცა, თურქეთს უსაფრთხოების პრაგმატული ინტერესიც ამოძრავებდა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებით გათამამებული სტალინი აქტიურად ცდილობდა საბჭოთა ჰეგემონიის გაფართოებას. მისი ერთ-ერთი მიზანი დარდანელის სრუტეში საბჭოთა სამხედრო ბაზების განლაგება და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საზღვაო გზის გაკონტროლება იყო. გარდა ამისა, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებზეც ეჭირა თვალი. ანკარა კარგად აცნობიერებდა, რომ საბჭოთა კავშირისგან მას მხოლოდ NATO-ს უსაფრთხოების ქოლგა თუ დაიცავდა. მაგრამ NATO-ს მხრიდან თურქეთისთვის კარის გაღება არ იყო ჰუმანიტარული ნაბიჯი. თურქეთი, თავისი სამხედრო პოტენციალით, ძლიერი ჯარითა და სტრატეგიული მდებარეობით მნიშვნელოვანი ფორპოსტი გახდა NATO-ს სამხრეთ ფლანგზე.

თურქეთთან ერთად, NATO-ში საბერძნეთიც გაწევრდა. ეს ქვეყანა მეტად დაზარალდა ნაცისტური ოკუპაციის შედეგად, ომის დამთავრებისთანავე კი, იქ სამოქალაქო ომმა იფეთქა. საბჭოთა კავშირით ზურგამაგრებული ბერძენი კომუნისტები მთავრობას აუჯანყდნენ. მართალია, სამთავრობო ძალებმა აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო დაასუსტა მეორე მსოფლიო ომით ისედაც დაუძლურებული ქვეყანა. ყველაფერთან ერთად,

¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 1949, The North Atlantic Treaty, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

² North Atlantic Treaty Organization (NATO), 1949. "The Signing Ceremony", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_137799.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

საბერძნეთს არაერთი გარეშე საფრთხეც ემუქრებოდა. ჩრდილოეთში მას გრძელი საზღვარი აქვს ისტორიულ მოწინააღმდეგესთან, ბულგარეთთან, რომელიც ომის შემდეგ საბჭოეთის სატელიტი გახდა. გარდა ამისა, ძალიან გრძელი საზღვაო საზღვარი და პატარა კუნძულები ადვილად მოწყვლადს ხდიდა ქვეყანას. ამდენად, საბერძნეთის ხელისუფლება გამოსავალს კოლექტიურ უსაფრთხოებაში ხედავდა. თავის მხრივ, NATO-სთვისაც მნიშვნელოვანი იყო საბერძნეთის მოკავშირეობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანკოს ესპანეთს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა (მათ შორის თავდაცვის სფეროშიც), ალიანსის წევრობისგან ის მაინც თავს იკავებდა. გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ესპანეთი თავს სხვებზე უფრო დაცულად გრძნობდა და არ სურდა კოლექტიური უსაფრთხოების პასუხისმგებლობის აღება. მხოლოდ ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში, 1982 წელს გადანაცვლდა ესპანეთმა NATO-ში შესვლა. ამან გააძლიერა ალიანსის უსაფრთხოება აღმოსავლეთ ატლანტიკაში, დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და ზოგადად, სამხრეთ ფლანგზე. აგრეთვე, NATO ახლა უკვე უკეთ იცავდა და აკონტროლებდა მნიშვნელოვან საზღვაო კომუნიკაციებს.³

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და NATO ორივე 1949 წელს შეიქმნა. ორივეს დაბადების მიზეზი დასავლელი მოკავშირეებისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება იყო. დასავლეთ გერმანიის ტერიტორია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო NATO-ს ბირთვული არსენალის განლაგებისთვის. NATO-ში ყველა აცნობიერებდა, რომ ძლიერი დასავლეთ გერმანია აუცილებელი იყო ევროპაში საბჭოთა საფრთხის შესაკავებლად. თუმცა, ერთ საუკუნეში ორი ომის გამჩალებელს გაუკონტროლებლად არავინ მისცემდა ხელახალი შეიარაღების უფლებას. ამის გაკეთება კი მხოლოდ ქვეყნის NATO-ში ინტეგრირებით თუ მოხდებოდა. გარდა ამისა, NATO-ს წევრობა ახალ შექმნილ ქვეყანას სუვერენიტეტის განმტკიცებაშიც დაეხმარებოდა. მართლაც, NATO-ში განწევრიბიდან სულ რაღაც, ათ წელიწადში, გერმანიის ჯარი NATO-ს თავდაცვითი ძალების ხერხემალი გახდა. 40 წლის განმავლობაში დასავლეთ გერმანული სახელმწიფო იდგა ცივი ომის მოწინავე ხაზზე - ის პირველი უნდა შეჭახებოდა საბჭოთა აგრესიას. ამისათვის გერმანიაში განლაგდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნების შეიარაღების დიდი ნაწილი. ცივი ომის დროს, ევროპის ტერიტორიაზე, ყველაზე მეტი ჯარისკაცი დასავლეთ გერმანიაში იყო დისლოცირებული და ყველაზე მეტი სამხედრო წვრთნაც იქ ტარდებოდა.⁴

³ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. „Greece and NATO“, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_181434.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁴ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. „Germany and NATO“, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_185912.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

დასავლეთი გერმანიის NATO-ში გაწევრების საპირწონედ, სტალინმა ვარშავის პაქტი შექმნა. მასში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც გაერთიანდა. ასე გაჩნდა ევროპაში რკინის ფარდა, რომლის სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი და ზედმინევნით დაცული გამყოფი ხაზი სწორედ ორ გერმანიას შორის გადიოდა.

* * *

1989 წელს დაინგრა ბერლინის კედელი. 1991 წელს ჯერ ვარშავის პაქტი დაიშალა, შემდეგ - საბჭოთა კავშირი.

ჩვეულებრივ, ალიანსი დროებითი გაერთიანებაა. როდესაც მისი მიზანი მიიღწევა, როგორც წესი, გაერთიანება წყვეტს არსებობას. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ იმხანად NATO-ს შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობაც კი დააყენეს ეჭვქვეშ. თუმცა, ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული, რომ ორგანიზაცია მაინცდამაინც საბჭოთა კავშირისაგან მომდინარე საფრთხისგან უნდა იცავდეს მის წევრებს. დამფუძნებელმა მამებმა ეს დოკუმენტი შეგნებულად ისე მოქნილად შეადგინეს, რომ კარდინალურად შეცვლილ გეოპოლიტიკურ გარემოშიც კი, ხელშეკრულებას გადახედვა არ სჭირდება. მხოლოდ ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია იცვლება გარემოების შესაბამისად.

თუმცა, NATO-ს შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე დავა დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეიფორია მალევე გაქრა და ცხადი შეიქმნა, რომ არსებობენ ახალი საფრთხეები, რომლებიც გაცილებით რთული და კომპლექსურია, ვიდრე ცივი ომის დროს ორ მტრულ ბანაკს შორის დაპირისპირება იყო. იმხანად NATO-ს გენერალურმა მდივანმა, მანფრედ ვიორნერმა სწორად აღნიშნა, რომ: „საბჭოთა კომუნიზმის დანგრევამ პარადოქსი დაგვიტოვა: ნაკლებია საფრთხე, მაგრამ ნაკლებია მშვიდობაც“.⁵

ასეთ პირობებში უარის თქმა ორგანიზაციაზე, რომელსაც ორმოცი წლის განმავლობაში გამობრძმედილი, ეფექტიანი პოლიტიკური სტრუქტურა და კარგად ინტეგრირებული სამხედრო კომპონენტი აქვს, სწორი არ იქნებოდა. ეს ნათლად დადასტურდა 1991 წელსვე, როცა ერაყ-ქუვეითის ომში საჭირო გახდა საერთაშორისო სამხედრო ჩარევა. აშშ-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამხედრო ოპერაცია NATO-ს სტანდარტებით წარმართა და ამიტომაც გამოდგა ეფექტური.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი სწრაფად მოგვარდა, თუმცა მალევე დაიწყო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის მტკივნეული პროცესები.

⁵ North Atlantic Treaty Organization (NATO), 1993. "Speech by the Secretary General of NATO Mr. Manfred Womer to the IJSS in Brussels", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_24174.htm?selectedLocale=en, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

სისხლისმღვრელმა კონფლიქტებმა და არასტაბილურობამ ნოციერი ნიადაგი შექმნა ნარკოტიკებით, ადამიანებითა და ბირთვული მასალებით ვაჭრობისთვის. მასობრივი ხასიათი მიიღო არალეგალურმა მიგრაციამ. ბევრგან შექმნა საფრთხე ადამიანის უფლებებს. გაღვივდა რელიგიური ფუნდამენტალიზმი, როგორც ტერორიზმის მთავარი მასაზრდოებელი. სამეზობლოში ასეთი არასტაბილურობა კი, სერიოზული საფრთხე იყო NATO-სთვის. ცხადი გახდა, რომ თავდაცვის ძველი დოქტრინა ახალ ეპოქაში აღარ იქნებოდა ეფექტური. NATO-მ დაიწყო ტრანსფორმაცია, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი გაფართოება იყო.

ცივი ომის შემდეგ NATO-ს პირველი გაფართოება, 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების ხარჯზე მოხდა. მაშინ ალიანსს ახალი სახელმწიფო არ შემატებია, მაგრამ გაიზარდა მისი ტერიტორია. გერმანიის გაერთიანებასა და ერთიანი გერმანიის NATO-ს წევრობაზე გორბაჩოვის დათანხმებამ, იმ ეტაპზე ამოწურა რუსეთის დათმობების ლიმიტი. ამან გადაავადა NATO-ში ახალი წევრების მიღება. მომდევნო ორი წელი NATO-ს გაფართოებაზე აღარავის უმსჯელია. მით უმეტეს, რომ კონსერვატიული დასავლეთი ევროპა ისედაც არ ემხრობოდა, ან უკეთეს შემთხვევაში, არ ჩქარობდა ალიანსში ახალი წევრების დაპატიუებას.⁶

არც ვაშინგტონში იყო საქმე უკეთ. თავდაპირველად, პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები ახლო მომავალში NATO-ს გაფართოების წინააღმდეგი იყვნენ. ვაშინგტონი თვლიდა, რომ ახალი წევრების მიღება გაუმართლებლად გაავრცობდა აშშ-ს სტრატეგიული პასუხისმგებლობის არეალს და საზღვარგარეთ მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობას. ეს კი, დაასუსტებდა NATO-ს თავდაცვისუნარიანობას. განსაკუთრებით პენტაგონი ჭირვეულობდა.

NATO-ს გაფართოებასთან დაკავშირებულ დებატებში რუსეთის ფაქტორიც თამაშობდა როლს. როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში თვლიდნენ, რომ კრემლი ამას პროვოკაციულ ნაბიჯად აღიქვამდა, პრობლემები შეექმნებოდა ელცინის დემოკრატიულ რეფორმებს და ხელი შეეშლებოდა დასავლეთისა და ახალი რუსეთის დაახლოებას.

გაერთიანებული გერმანიის NATO-ში ინტეგრირებამ, მართალია, გადაავადა გაფართოების პროცესი, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპელებს იმედი ჩაუსახა, რომ სამომავლოდ, შეიძლება ისინი მართლაც გამხდარიყვნენ ალიანსის წევრები.

ტერმინი „ღია კარი“ NATO-ს გენერალურ მდივანს მანფრედ ვიორნერს ეკუთვნის. 1992 წელს ვარშავაში ვიზიტისას მან საჯაროდ განაცხადა, რომ: „NATO-ს კარი

⁶Asmus, Ronald, 2002. Opening NATO's Door, Columbia University Press, New York, გვ. 6

ლია“ და აქედან დაიწყო გაფართოების პოლიტიკური პროცესი.⁷ თუმცა, საბოლოო გადანაცვლებამდე მაინც დიდი და რთული გზა იყო გასავლელი.

ყოფილ მოწინააღმდეგეებს სოციალისტური ბანაკიდან თავდაპირველად NATO-მ პარტნიორობა შესთავაზა. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებმა ეს იუარეს და მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მუშაობა ალიანსში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. ისინი სხვებზე უკეთ აცნობიერებდნენ, რომ კრემლი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაუბრუნდებოდა ჩვეულ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ამიტომ, ეს ქვეყნები საკუთარი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მყარ გარანტიას მხოლოდ NATO-ს ქოლგის ქვეშ ხედავდნენ. ამ მიზნისთვის განსაკუთრებით ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი აქტიურობდნენ.

1992 წლის მაისში სამი ქვეყნის ლიდერებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მათი მიზანი NATO-ში სრულფასოვანი გაწევრებაა.⁸ წლის ბოლოსათვის ეს მიზანი სამივე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აისახა. ამ ამბიციური მიზნების მისაღწევად კი, პირველ რიგში, თეთრ სახლს უნდა აენთო მწვანე შუქი.

გარდამტეხი მომენტი 1993 წლის აპრილი აღმოჩნდა. ვაშინგტონში ჰოლოკოსტის მუზეუმის გახსნას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერი დაესწრო. ჩები ვაცლავ ჰაველი, პოლონელი ლეხ ვალესა და უნგრელი არჰად გონცი ცალ-ცალკე შეხვდნენ აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს. სამივემ გვერდზე გადადო წინასწარ მომზადებული სასაუბრო და მხოლოდ NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების მიზანშეწონილობაზე ისაუბრა. სამივეს ერთნაირი პრობლემები ჰქონდა: მათი სუვერენიტეტი მოწყვლადი იყო; კვლავ უფრთხოდნენ რუსეთს; არ ენდობოდნენ დასავლეთ ევროპელებს და მხოლოდ ამერიკის იმედად იყვნენ; უნდოდათ NATO-ში გაწევრება იმიტომ, რომ კვლავ არ გამხდარიყვნენ ორთავა გველეშაპის - ნაციონალიზმისა და გეოპოლიტიკის მსხვერპლნი, რამაც ამდენი ტრაგედია მოუტანა წარსულში ევროპას. ბოსნიაში მიმდინარე სისხლისღვრა მათ არგუმენტებს კიდევ უფრო ამყარებდა. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, NATO-ს გაფართოების თაობაზე ვიშეგრადის ლიდერების დამაჯერებელმა არგუმენტებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს აშშ-ის პრეზიდენტზე. მესამე შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა კლინტონმა, უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველს, ტონი ლეიკს უთხრა: „ტონი, რატომ არ შეიძლება, ეს გავაკეთოთ?“⁹

ყინულის დასაძრავად საჭირო იყო ვაშინგტონში თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის ერთსულოვნება. აშშ-ის ადმინისტრაციაში, მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადანაცვლებების მომწიფებას, ჩვეულებრივ,

⁷ Grzegorz Kozłowski, 20 years, of the Czech Republic, Hungary and Poland in NATO, Yesterday, Today and Tomorrow, International Centre for Defense and Security, 22 April 2019 [ბმელი](#)

⁸ Tyburski, Maciej, 2021. "The Accession of Poland, the Czech Republic and Hungary to NATO", Warsaw Institute, <https://war-sawinstitute.org/accession-poland-czech-republic-hungary-nato/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁹ Asmus, Ronald, 2002. Opening NATO's Door, Columbia University Press, New York, გვ. 24

დიდი დრო სჭირდება, თუმცა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკვე სწრაფად ხდება მისი ხორცშესხმა.

მართალია, აშშ-ის პოლიტიკური წონა NATO-ში დიდია, მაგრამ გადაწყვეტილებისთვის ორგანიზაციის ყველა წევრის თანხმობაა საჭირო. საქმის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელი იყო NATO-ს გაფართოების იდეა დასავლეთ ევროპასაც გაეზიარებინა და არც რუსეთს გაეპროტესტებინა რადიკალურად. ამისთვის, სახელმწიფო დეპარტამენტმა სტროუბ ტელბოტი და რონალდ ასმუსი მიიწვია. ტელბოტს რუსეთთან და ევროპელებთან დიალოგი დაევალა, ასმუსს კი NATO-ს გაფართოების სამოქმედო გეგმის შემუშავება. ორივე საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო და მათზე პარალელურად მუშაობდნენ.

1994 წლის დასაწყისში უკვე მიღებული იყო პრინციპული გადაწყვეტილება NATO-ს გაფართოებაზე. გასარკვევი რჩებოდა, თუ როდის და რა სახით მოხდებოდა ეს. ამისათვის NATO-მ ჩაატარა კვლევა და 1995 წელს გამოსცა დოკუმენტი - კვლევა გაფართოების თაობაზე, რომელშიც განწერა ახალი წევრების მიღების პროცედურები და ის კრიტერიუმები, რომელსაც ასპირანტი უნდა აკმაყოფილებდეს. დოკუმენტის თანახმად, კანდიდატი ქვეყანა უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე, პატივს უნდა სცემდეს ეროვნულ უმცირესობებს, კონფლიქტებს მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა აგვარებდეს, უნდა შესწევდეს უნარი, წვლილი შეიტანოს NATO-ს სამხედრო ოპერაციებში და სამხედრო სფეროზე უნდა დაამყაროს სამოქალაქო კონტროლი.¹⁰

აღნიშნული კვლევის საფუძველზე, 1997 წელს მადრიდის სამიტზე, ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი მიიწვიეს, რათა დაეწყოთ დიალოგი განწევრების საკითხზე.¹¹ 1999 წელს ეს ქვეყნები NATO-ს სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

ეს გაფართოება NATO-სა და რუსეთს შორის კომპრომისების შედეგი იყო, რაც დიდ წილად პრეზიდენტებს - კლინტონსა და ელცინს შორის ჩამოყალიბებულმა ურთიერთ სიმპათიამ და ნდობამ განაპირობა. ალიანსში ახალი წევრების მიღებას წინ უსწრებდა NATO-რუსეთის დამფუძნებელი აქტის ხელმოწერა. ეს დოკუმენტი ორ მხარეს შორის თანამშრომლობის ერთგვარი საგზაო რუკა იყო, რომელიც საკითხების ფართო სპექტრს მოიცავდა. ამ აქტის საფუძველზე დაარსდა NATO-რუსეთის საკონსულტაციო მექანიზმი - მუდმივმოქმედი ერთობლივი საბჭო.¹² ამით NATO-მ დააკმაყოფილა პრეზიდენტ ელცინის მოთხოვნა, რომ „დიალ“ ბირთვულ რუსეთს NATO-ში „სპეციალური სტატუსი“ მინიჭებოდა და სხვა პარტნიორებთან არ

¹⁰ North Atlantic Treaty Organization (NATO), 1995. "Study on NATO Enlargement", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_24733.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. Madrid Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹² North Atlantic Treaty Organization (NATO), 1997. Founding Act, NATO Official Website https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_25468.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

გაიგივებულიყო. ამით რუსეთის პრეზიდენტი აუხსნიდა საკუთარ მოსახლეობას, რომ გაფართოება NATO-ს მხრიდან ცალმხრივი ნაბიჯი კი არაა, ორივე მხარისთვის სასარგებლო თანამშრომლობის შედეგი იყო.

რუსეთისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ NATO-ს არ განეღობინა დამატებითი შეიარაღება ახალი წევრების ტერიტორიაზე. ასეთ ვალდებულებას NATO ვერ აიღებდა, რადგან ახალი წევრები ამაზე არ დათანხმდებოდნენ და არც ალიანსს უნდოდა შეზღუდული ყოფილიყო რუსეთის მხრიდან შესაძლო ესკალაციის შემთხვევაში. ამიტომ გადაწყდა, რომ შეიარაღების ლიმიტების საკითხს ეუთოში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების ფარგლებში შეათანხმებდნენ. რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, NATO-მ განაცხადა, რომ ბირთვული ქოლგა ახალ წევრებსაც დაიცავდა, მაგრამ ამისათვის ბირთვული არსენალის მათ ტერიტორიაზე განლაგება აუცილებელი არ იყო.

მოლაპარაკების პროცესში რუსეთი პრინციპულად ითხოვდა NATO-ს პირობა დაედო, რომ შემდგომი გაფართოება არ შეეხებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. აქცენტი აქ ბალტიის სამ სახელმწიფოზე იყო. მიუხედავად რუსეთის დიდი დიპლომატიური ზეწოლისა, აშშ კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ ევროპაში ახალი გამყოფი ხაზები შექმნილიყო. საბოლოოდ ელცინს ამ თემის დღის წესრიგიდან ამოღება მოუწია.

მართალია, ცივი ომის შემდგომი, პირველი გაფართოება ორივე მხარემ ლამაზად შეფუთა, მაგრამ მაინც თვალსაჩინო იყო პრინციპული განსხვავება მიდგომებში. დასავლეთი NATO-რუსეთის დამფუძნებელ აქტს, როგორც შორს მიმავალ პროცესს ისე უყურებდა, რომელიც საბოლოოდ დაახლოებდა ყოფილ მოწინააღმდეგეებს და ხელს შეუწყობდა ერთიანი, განუყოფელი, დემოკრატიული ევროპის შექმნას. რუსეთი საჭაროდ კი აცხადებდა, რომ NATO მტერი აღარ არის, მაგრამ მის გაფართოებას მაინც მტრული ბლოკის ექსპანსიად აღიქვამდა. დემოკრატიის გაელვების პერიოდშიც კი, კრემლი ვერ გასცდა ნულოვანი თამაშის პრინციპს.¹³

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ცივი ომის შემდეგ NATO-ს პირველი გაფართოება პრეზიდენტ კლინტონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა. რატომ გააკეთა მან ეს? (1) პრეზიდენტ კლინტონს სურდა ისევე დახმარებოდა აღმოსავლეთ ევროპას, როგორც მისი წინამორბედი ტრუმენი დაეხმარა თავის დროზე დასავლეთ ევროპას. (2) კლინტონს სწამდა, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი გაკვეთილი ის იყო, რომ აშშ და ევროპა, მჭიდრო მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ. ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფით ორივეს მეტი დრო და რესურსი გამოუჩნდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე საფრთხეებთან გასამკლავებლად. (3) გარდა ამისა, კლინტონს სურდა აშშ

¹³ Asmus, Ronald, 2002. Opening NATO's Door, Columbia University Press, New York, გვ. 205

აქტიურად ჩართულიყო გლობალურ პროცესებში და არ დაბრუნებოდა ჩვეულ იზოლაციას; ოღონდ ისე, რომ ამ საქმეში აშშ მართო არ ყოფილიყო.¹⁴

რაც შეეხება პრეზიდენტ ელცინს, ის მუდამ ამბობდა, რომ NATO-ს გაფართოება მცდარი ნაბიჯია დასავლეთის მხრიდან. თუმცა, ის რუსეთისა და აშშ-ის დამთბარ ურთიერთობას უფრო მაღლა აყენებდა და გაფართოებაზე გაჭიურებით ამ ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა. გარდა ამისა, იმასაც აცნობიერებდა, რომ მისი კატეგორიული წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი, NATO მაინც გაფართოვდებოდა. ეს კი მის ავტორიტეტს საგრძნობლად შელახავდა. როგორც იტყვიან, „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“.

მართალია, NATO-ს გაფართოების იდეა აღმოსავლეთი ევროპიდან წამოვიდა, მაგრამ საბოლოოდ ის ამერიკული პროექტი გამოდგა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ასე მოკლე დროში ყოფილი მოწინააღმდეგეების ალიანსში განწევრება დღეს შეიძლება ლოგიკურ, წინასწარ განსაზღვრულ პროცესად მოგვეჩვენოს. სინამდვილეში, არავინ უნყოდა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები - საკმაოდ სერიოზული იყო რუსეთის წინააღმდეგობა; თავიდან ევროპაც გულგრილად უყურებდა ამ იდეას; საკმაოდ სერიოზული იყო შიდა წინააღმდეგობა ამერიკაშიც. მაგრამ, მას შემდეგ, რაც კლინტონის ადმინისტრაციამ ეს სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრა და უდიდესი დიპლომატიური რესურსი დახარჯა, პროცესი წარმატებით დასრულდა. ასე მიეცა დასაბამი უსაფრთხოების არეალის გავრცობას ევროპის კონტინენტზე.

2000 წელს თეთრ სახლშიც და კრემლშიც ახალი თავკაცები მოვიდნენ. რესპუბლიკელი ბუშის პოლიტიკა ბევრ საკითხში განსხვავდებოდა დემოკრატი კლინტონის პოლიტიკისგან. იშვიათი გამონაკლისი NATO-ს გაფართოებისადმი დამოკიდებულება იყო. პრეზიდენტმა ბუშმა თავიდანვე განაცხადა, რომ ის NATO-ში ახალი წევრების მიღების მომხრეა. თანაც, მსურველები ცალ-ცალკე კი არა, ერთად უნდა მიეწვიათ.¹⁵

გაფართოების პირველი ტალღით შეგულიანებულმა აღმოსავლეთევროპელებმაც გადაწყვიტეს ერთიანი ფრონტით შეეტიათ NATO-ს ღია კარისთვის. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 2000 წლის მაისში, ცხრა ქვეყნის - ალბანეთის, ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის, რუმინეთის, სლოვაკეთის და სლოვენიის - ლიდერებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელშიც ითხოვდნენ, რომ 2002

¹⁴ *ibid*, გვ. xxv

¹⁵ Bush, George. W, 2001. "Remarks by the President in Address to Faculty and Students of Warsaw University", The White House Archives, <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/06/20010615-1.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

წელს NATO-ს ყველა მათგანი მიელო ალიანსში. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვიგაუდას უშაცკასმა ამ შეთავაზებას ხატოვნად „დიდი აფეთქება“ უწოდა. ეს უნდა ყოფილიყო „მალვიძარა“ დასავლელი ლიდერებისთვის, რათა უფრო თამამად ემოქმედათ და გასაკეთებელი დროულად გაეკეთებინათ. ისინი თვლიდნენ, რომ რადიკალური ქირურგიული ჩარევა ნაკლებ მტკივნეული იქნებოდა, როგორც ალიანსისთვის, ასე კანდიდატებისთვის, ვიდრე დროში განვლილი მკურნალობა.¹⁶

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა საბოლოოდ გადანაცვალა ისტორიაში „დიდი აფეთქების“ სახელით შესული, NATO-ს გაფართოების საკითხი. 9/11-ის შემდეგ, აშშ უმაღლესი ანტიტერორისტულ ომში. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს ომი მალე არ დამთავრდებოდა და ამ რთულ გზაზე ძლიერი NATO წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარი იქნებოდა. აშშ-ის მოსახლეობამ კი, დაინახა, რომ NATO-ს ფუნქცია ცალმხრივად ამერიკელების მიერ ევროპელების დაცვა კი არ არის, არამედ აქ ყველა ყველას გვერდით დგას. NATO-ს 50-წლიან ისტორიაში, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი პირველად სწორედ მაშინ ამოქმედდა, თანაც, ევროპელების მიერ აშშ-ის დასახმარებლად. არადა, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება იქმნებოდა, მისი მთავარი მუხლის იდეა იყო, აშშ-ს ჰქონოდა იურიდიული საფუძველი, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდა ევროპელ მოკავშირეებს.¹⁷

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ თავდაპირველად, პრეზიდენტმა პუტინმაც გააგრძელა მისი წინამორბედის კონსტრუქციული ურთიერთობა აშშ-თან. იგი მსოფლიოს ლიდერთაგან პირველი იყო, ვინც 11 სექტემბერსვე დაურეკა და მიუსამძიმრა პრეზიდენტ ბუშს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ტერორიზმის წინააღმდეგ ომში.¹⁸ პუტინმა ისიც კი თქვა, რომ თუ NATO უფრო პოლიტიკური გახდებოდა, ვიდრე სამხედრო, მას შეიძლება შეეცვალა დამოკიდებულება გაფართოებისადმი. ეს „მწვანე შუქს“ არ ნიშნავდა, თუმცა, ცხადი იყო, რომ კრემლის ახალი ლიდერი, წინამორბედის მსგავსად, პრაგმატულად უყურებდა საკითხს და იმაზე, რაზეც რეალური ბერკეტი არ ჰქონდა, არ შესწირავდა დასავლეთთან დაგროვებულ კაპიტალს.

ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ 2002 წელს პრადის სამიტზე NATO-ში შვიდი სახელმწიფო - ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი

¹⁶ Radio Free Europe Radio Liberty, 2000. "Baltic Report", Reports Archive, Volume 1, Number 18, <https://www.rferl.org/a/1341528.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹⁷ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Collective defense and Article V", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹⁸ Gutterman, Steve, 2021. „The Week In Russia: The 9/11 Factor“, Steve Gutterman's Week in Russia, <https://www.rferl.org/a/week-in-russia-9-11-attacks/31453542.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

და სლოვენია მიიწვიეს, რომლებიც 2004 წელს სრულფლებიანი წევრები გახდნენ. ალბანეთსა და მაკედონიას კი მოცდა დასჭირდათ.¹⁹

როგორც წინა გაფართოების დროს, ამჯერადაც, გაფართოების პროცედურებზე მსჯელობის პარალელურად, შეერთებული შტატებიც და NATO-ც აქტიურად მუშაობდნენ რუსეთთან, რათა გაფართოების პროცესი ჰარმონიულად წარმართულიყო.

ამჯერად რუსეთის „დაშოშმინების“ მთავარი ხერხი NATO-რუსეთის მუდმივმოქმედი ერთობლივი საბჭოს სტატუსის ამაღლება და NATO-რუსეთის საბჭოდ გადაკეთება იყო.²⁰ NATO-მ ასევე განაცხადა, რომ არ აპირებს ახალი წევრების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის ან მუდმივი სამხედრო ბაზების განლაგებას. ორივე მხარემ საჭაროდ განაცხადა, რომ ერთმანეთს მტრად არ აღიქვამდნენ და ერთად იმუშავებდნენ ევროპაში დემოკრატიისა და მშვიდობის დამკვიდრებისთვის.

საქართველოსთვის პრალის ეს სამიტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ იქ განუცხადა ოფიციალურად პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოკავშირეებს, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება NATO-ში სრულფასოვან ინტეგრაციაზე და ამიერიდან, ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს ამ მიზნის მისაღწევად. გულახდილად უნდა ითქვას, რომ იმ მომენტში ეს განცხადება NATO-ს წევრებს უფრო დეკლარაციულად მოეჩვენათ, ვიდრე რეალურ გათვლებზე დაფუძნებულად. საქმე იმაშია, რომ იმხანად საქართველო ოდნავადაც კი ვერ აკმაყოფილებდა ალიანსის წევრობის კანდიდატობის მინიმალურ კრიტერიუმებს. მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ ვითარება შეიცვალა. დაიწყო რადიკალური რეფორმების პროცესი, საგრძნობლად გიზარდა სამხედრო ბიუჯეტი. შესაბამისად, გააქტიურდა ჩვენი მონაწილეობა NATO-ს ღონისძიებებში, მათ შორის - სამხედრო ოპერაციებში.

მსგავსი პროცესები დაიწყო უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ. ორივე ქვეყანას გაუჩნდა ამბიცია, პარტნიორობის სტატუსი კანდიდატობით შეეცვალათ. გადაწყდა, რომ გაფართოების თაობაზე 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე იმსჯელებდნენ. საქართველომ და უკრაინამ აქტიურად დაიწყეს მუშაობა “განწევრების სამოქმედო გეგმის” ე.წ. MAP-ის (Membership Action Plan) მიღებისთვის. MAP-ი 1999 წელს შეიმუშავეს, როგორც პრაქტიკული დახმარება კანდიდატების წევრობისთვის მოსამზადებლად.²¹

¹⁹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2002. Prague Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_19552.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²⁰ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "NATO-Russia Council", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50091.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. Membership Action Plan, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_37356.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

ბუქარესტის სამიტზე, გაფართოებასთან დაკავშირებით, ალბანეთის, მაკედონიის და ხორვატიის მიღებასა და საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მიცემაზე უნდა ემსჯელათ.

ბალკანეთის ქვეყნების NATO-ში ინტეგრაციის თაობაზე ალიანსში კონსენსუსი იყო. საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ზე მსჯელობამ კი დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. აშშ-ის პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში თანახმა იყო, რომ ამ ქვეყნებს MAP-ი მიეღოთ, მაგრამ ევროპელებში არ იყო ერთსულოვნება.

რუსეთიც ის აღარ იყო, რაც 2002 წელს. რუსეთ-ამერიკის თაფლობის თვე დიდი ხნის წინ დამთავრდა. მეტიც, 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას პუტინმა ფაქტობრივად ომი გამოუცხადა NATO-სა და აშშ-ს.²² ამას დაემატა უშუალოდ სამიტამდე ცოტა ხნით ადრე, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება, რასაც აშშ-მა და ევროპის ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ამან კიდევ უფრო დაძაბა რუსეთ-დასავლეთის, ისედაც უკვე საკმაოდ გართულებული, ურთიერთობა.

2006 წლის სექტემბერში, თბილისში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა. კონსულტაციების მთავარი თემა NATO იყო. გარდა ოფიციალური ნაწილისა, რუსეთის დელეგაციას ჰქონდა შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან. იმ შეხვედრაზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ანდრეი კელინმა განაცხადა: „წინა გაფართოებების დროს NATO რუსეთს საპირწონედ ყოველთვის რაღაცას სთავაზობდა - NATO-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, NATO-რუსეთის საბჭო, ბირთვული იარაღის და სამხედრო ბაზების არ-განლაგება ახალი წევრების ტერიტორიაზე და სხვა. ახლა რუსეთს სურს უფრო ფართო მონაწილეობა მიიღოს NATO-ს პოლიტიკურ საქმეებში. ამაზე კი ალიანსი არ გვთანხმდება. თანაც, ამის ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეები სწორედ თქვენი ერთგული მხარდამჭერები, აღმოსავლეთ ევროპელები არიან. ამდენად NATO-ს ამოწურული აქვს რესურსი რამე შემოგვთავაზოს საქართველოს NATO-ში განწევრებაზე ჩვენი პროტესტის გასაწესებლად“.²³

გაფართოების წინა რაუნდების დროს აშშ-ის ინიციატივებს იზიარებდა და მხარს უჭერდა გერმანია. 2008 წელს კი, გერმანია უკვე NATO-ს აღმოსავლეთით შემდგომი გაფართოების მთავარი ოპონენტი გახდა. ამ დროისათვის გერმანიის ყველა მეზობელი უკვე ალიანსის წევრი იყო და ის თვლიდა, რომ მისი ინტერესი

²² Putin, Vladimir, 2007. Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy, Munich Conference on Security Policy, <http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²³ ავტორის პირადი არქივიდან

NATO-ს გაფართოების საკითხში ამონურულიყო და ამიერიდან რუსეთთან ურთიერთობების განვითარებაზე უნდა ეზრუნა.²⁴

ბუქარესტის სამიტის წინ საქართველოსა და უკრაინის MAP-ზე დებატები მარტო ამ ქვეყნების ტექნიკური მაჩვენებლების შეფასებით არ შემოიფარგლა. ის გადაიზარდა დებატებში ზოგადად NATO-ს და მათ შორის, მისი აღმოსავლეთით შემდგომი გაფართოების მიზანშეწონილობაზე. აგრეთვე, რუსეთთან ურთიერთობაზე. MAP-ი კი ამ დებატების ქვაკუთხედად იქცა. ბუნებრივია, MAP-ს ხომ მხოლოდ მაშინ აძლევენ ქვეყანას, როცა მისი განვითარება უკვე შეთანხმებულია.

საბოლოოდ, სამიტზე გადაწყდა, რომ ალბანეთსა და ხორვატიას მიიწვევდნენ განვითარების თაობაზე დიალოგის დასაწყებად. მაკედონიის პროგრესი დადებითად შეფასდა, მაგრამ პრობლემა მისი სახელწოდება იყო, რადგან ბერძნები თვლიდნენ, რომ ეს სახელი ოდითგანვე მათ ერთ-ერთ რეგიონს ეკუთვნოდა. ამიტომ, მაკედონიას განუცხადეს, რომ როგორც კი სახელწოდების საკითხს მოაგვარებდა მაშინვე მიიწვევდნენ ალიანსში.²⁵ ამ საკითხის მოგვარებას მაკედონიამ 11 წელი მოანდომა.

საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების თაობაზე კი კონსენსუსი ვერ შედგა. სამაგიეროდ, ორივე ქვეყანამ მიიღო უპრეცედენტო დაპირება, რომ ისინი გახდებიან ალიანსის წევრები. ეს უპრეცედენტო იმ თვალსაზრისით იყო, რომ NATO წინასწარ არავის ჰპირდება წევრობას, მათ შორის MAP-ის მექონე ქვეყნებსაც კი. ამგვარი ჩანაწერი გახლდათ საქართველო-უკრაინის მხარდამჭერთა და სკეპტიკოსთა შორის ხანგრძლივი დებატების ერთგვარი კომპრომისული გამოსავალი. სამიტის დასასრულს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს, გორდონ ბრაუნს ჯორჯ ბუშისთვის გადაულაპარაკებია: „არ ვიცი ახლა რა ვქენით. ვიცი, რომ MAP-ი არ მივეცი, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ უკვე NATO-ს წევრები არ გავცხადეთ...“.²⁶

გავრცელებული აზრია, რომ ბუქარესტის სამიტზე საქართველო ძალიან ახლოს იყო წევრობასთან, მაგრამ კანცლერ მერკელის გაჭიუტებამ, შეგვიშალა ხელი; თითქოს მას რაღაც ფარული გარიგება ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტთან. სინამდვილეში პრობლემა უფრო კომპლექსური იყო. გერმანია-აშშ-ის ურთიერთობა მერკელის წინამორბედის, კანცლერ შრიოდერის დროს გაფუჭდა. ანგელა მერკელს საკმაოდ კარგი პირადი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა პრეზიდენტ ბუშთან. მაგრამ ბერლინის ხისტ პოზიციას NATO-ს აღმოსავლეთით

²⁴ Asmus, Ronald D, 2010. A little war that shocked the world, Palgrave Macmillan, New York, გვ.131

²⁵ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2008. Bucharest Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²⁶ Asmus, Ronald D, 2010. A little war that shocked the world, Palgrave Macmillan, New York, გვ. 146

შემდგომ გაფართოებაზე გერმანიის კოალიციური მთავრობის სოციალ დემოკრატი საგარეო საქმეთა მინისტრი, ვალტერ შტაინმაიერი ართულებდა, რომელიც შრიოდერის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო.

თავად მერკელს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი სკეპტიციზმი საქართველოსა და უკრაინის NATO-ში განწევრებასთან ან თუნდაც MAP-ის მინიჭებასთან, არ უკავშირდება რუსეთს. იგი თვლიდა, რომ არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა იმ ეტაპზე MAP-ს რეფორმების მიმდინარეობისა და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. ამას ისიც დაემატა, რომ კანცლერ მერკელს და პრეზიდენტ სააკაშვილს თავიდანვე ვერ ჩამოუყალიბდათ კარგი ურთიერთობა.

თუმცა, გერმანია არ იყო ერთადერთი სკეპტიკოსი. NATO-ში აზრი შუაზე იყო გაყოფილი. საქართველოს და უკრაინას მხარს აშშ-სთან ერთად, კანადა, დიდი ბრიტანეთი, აღმოსავლეთი ევროპის და რამდენიმე სკანდინავიის სახელმწიფო უჭერდა. გერმანიის გარდა, აქტიური წინააღმდეგი იყო საფრანგეთი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ სარკოზის კარგი ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილთან და პრეტენზიაც ნაკლები ჰქონდა საქართველოში დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით, მას არ სურდა ფრანგულ-გერმანული სოლიდარობის დარღვევა. ასევე წინააღმდეგი იყვნენ ბენილუქსის ქვეყნები, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. ზოგიერთები მოვლენების განვითარებას აკვირდებოდნენ და საერთო ფონის შესაბამისად აპირებდნენ მოქმედებას.²⁷

თუმცა, სკეპტიკოსთაგან თითქმის ყველა, სხვადასხვა სახით მიგვანიშნებდა, (მათ შორის ჩემთან პირად საუბრებში არაერთს უთქვამს), რომ მიუხედავად მათი სკეპტიციზმისა, თუ სამიტზე კონსენსუსი იქნებოდა, ისინი მას არ დაარღვევდნენ. ამით ფაქტობრივად ყველა ბერლინისკენ იშვებდა თითოს. სავარაუდოდ, თუ ბერლინის წინააღმდეგობა დაიძლეოდა, საფრანგეთიც შეუერთდებოდა მას და სხვებიც აღარ დაარღვევდნენ კონსენსუსს. ეს კი მხოლოდ გერმანია-აშშ-ის შორის ექსტრაორდინალური გარიგებით თუ მიიღწეოდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბუქარესტში ჯორჯ ბუში ფაქტიურად „კოჭლი იხვის“ სტატუსით ჩავიდა, ვინაიდან აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა, რომელშიც ის კენჭს უკვე ვეღარ იყრიდა. წარმავალ პრეზიდენტთან კი, ექსტრაორდინალურ გარიგებებზე არავინ მიდის. ისედაც რთული საქმე კიდევ უფრო გაართულა თბილისში 2007 წლის ნოემბერის ამბებმა, რამაც დამატებითი არგუმენტი მისცა სკეპტიკოსებს, მხარდამჭერებს კი ხელფეხი შეუკრა აქტიური ლობირებისთვის.

საბოლოოდ, ბუქარესტში საქართველოს საკითხზე მსჯელობისას 11-მა ქვეყანამ გამოთქვა უარყოფითი დამოკიდებულება.

²⁷ Asmus, Ronald D, 2010. A little war that shocked the world, Palgrave Macmillan, New York, გვ. 143

* * *

ბუქარესტის სამიტის შემდეგ, 2017 წელს მონტენეგრო მიიღეს NATO-ში, 2020 წელს - მაკედონია და 2023 წელს - ფინეთი. შვედეთს განწევრების პროცედურა დაწყებული აქვს და ახლო მომავალში გახდება ალიანსის 32-ე წევრი.

2023 წლის ვილნიუსის სამიტის წინ უკრაინამ გაააქტიურა დიპლომატიური ძალისხმევა NATO-ში განწევრებისთვის. იმ სამიტზე უკრაინას რომ არ დაჰპატიჟებდნენ, ამაზე თავიდანვე განუცხადეს კიევის. უშუალოდ სამიტის წინ პრეზიდენტი ზელენსკი ითხოვდა უკრაინისთვის მეტ სიცხადეს, საგზაო რუკის მსგავსს მაინც, სადაც იქნებოდა მითითებული ომის დასრულების შემდეგ განწევრების მკაფიო მექანიზმი და ვადები.

საბოლოოდ, ვილნიუსის სამიტის დასკვნით დოკუმენტში მოხდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების პერიფრაზირება, რომ უკრაინის მომავალი NATO-შია. ოღონდ, ერთი პრაქტიკული განსხვავებით - უკრაინას ამის მისაღწევად აღარ დასჭირდება MAP-ი. იმავე პარაგრაფში წერია: „NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრები რეგულარულად შეაფასებენ პროგრესს ადაპტირებული წლიური ეროვნული პროგრამის საშუალებით. ალიანსი დაეხმარება უკრაინას განწევრების გზაზე ამ რეფორმების განხორციელებაში. ჩვენ [NATO-ს] შეგვეძლება გავუზავნოთ უკრაინას მოწვევა, როცა ამაზე მოკავშირეები შეთანხმდებიან და პირობები შესრულდება“.²⁸ ეს ბოლო ბუნდოვანი წინადადება NATO-ს დოკუმენტების შედგენის საუკეთესო ტრადიციებშია დაწერილი: როცა წევრ ქვეყნებს არ სურთ თავი დაივალდებულონ, ან წინასწარ შეიზღუდონ მანევრი.

სამიტის კომუნიკეს პარალელურად, დიდი შვიდეულის ლიდერებმაც შეიმუშავეს ვილნიუსის ერთობლივი დეკლარაცია. ამ დოკუმენტში უფრო მკაფიოდ განმარტეს, თუ რას ელოდებიან უკრაინისგან; კერძოდ, რეფორმების გაგრძელებას, კორუფციის აღმოფხვრას, პოლიციისა და სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას, დემოკრატიის შენებას, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ჯარის განვითარებას და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებას.

გულუბრყვილობა იქნება ვარაუდი, თითქოს მარტო იმიტომ, რომ უკრაინა რუსეთს ეომება და მედგარ წინააღმდეგობას უწევს, მას დაჩქარებული წესით მიიწვევენ NATO-ში. ალიანსში არავის გააწევრიანებენ, თუ არ დარწმუნდნენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები შეუქცევადია. განსაკუთრებულად გამახვილებენ ყურადღებას შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლზე, იმის გათვალისწინებითაც, რომ უკრაინას დიდი რაოდენობით იარაღი მიეწოდა. რეფორმები განხორციელებადია, თუმცა უკრაინის ზომის ქვეყანაში ამას დრო

²⁸ 20) North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. Vilnius Communiqué. NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_217320.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

დასჭირდება. მითუმეტეს, ომგამოვლილ ქვეყანაში - განსაკუთრებით კი, ომში გამარჯვებულ საზოგადოებაში, სამოქალაქო კონტროლის დამყარება ძალოვნებზე ორმაგად რთულია.

ფაქტია, რომ ვილნიუსის სამიტზე NATO არ იყო მზად უკრაინის მიღებაზე ემსჯელა. აღმოსავლეთით მორიგი გაფართოების დრო ჯერ არ დამდგარა. როცა შესაბამისი დრო მოვა, გამოჩნდება, გაუადვილა თუ არა MAP-ის ამოღებამ უკრაინას NATO-ში განწევრების პროცესი. როცა ალიანსი გადაწყვეტს, რომ დრო მოვიდა უკრაინის და საქართველოს მისაწვევად, მაშინ MAP-იც არ იქნება დაბრკოლება. როცა NATO-ს უნდა რაღაცის გაკეთება, თვითონვე პოულობს მოკლე გზას მიზნის მისაღწევად.

2008 წლის ბუქარესტის სამიტის პერიოდიდან MAP-მა საქართველოში საკრალური მნიშვნელობა შეიძინა, თანაც ნეგატიური ელფერით. არადა, ჩვენი და უკრაინის NATO-ში ინტეგრაციის შეფერხების პრობლემა MAP კი არ არის, არამედ ის, რომ ჩვენი NATO-ში მიწვევის თაობაზე ალიანსის წევრები ჯერ ვერ შეთანხმდნენ. MAP-ი განწევრების მექანიზმის ინტეგრირებული ნაწილია და მას ქვეყანას მხოლოდ მაშინ აძლევენ, როცა მის NATO-ში სრულუფლებიან განწევრებაზე კონსენსუსი მიიღწევა და ზუსტად იციან, რომ რამდენიმე წელიწადში ეს პროცესი წარმატებით დასრულდება. MAP-ი განწევრების პროცესის ხელშესაწყობად შემუშავდა და არა დასაბრკოლებლად. ამდენად, მას, როგორც შესაძლებლობას ისე უნდა შევხედოთ, და არა როგორც პრობლემას.

შვედეთის გარდა, რომლის განწევრების პროცედურა დაწყებულია და ის მალე გახდება წევრი, ბოსნიის საკითხიც მეტ-ნაკლებად გარკვეულია. მთავარია, ქვეყანამ დაძლიოს შიდა პრობლემები და მის წევრობას არაფერი დააბრკოლებს. ბალკანეთში მხოლოდ სერბეთის საკითხი რჩება ღიად. თუმცა, აქაც მთავარი სათქმელი ბელგრადზეა.

რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, მათ NATO-ში განწევრებაზე კონსენსუსი ჯერ არ მომწიფებულა, მაგრამ იმედისმომცემი ნიშნები სახეზეა. სულ რაღაც წლინახევრის წინ, საქართველო მხოლოდ 2024 წელს აპირებდა ოფიციალური განაცხადის გაკეთებას ევროკავშირში განწევრების სურვილის თაობაზე. დღეს კი ევროკავშირმა უკვე აღიარა ქვეყნის ევროპული პერსპექტივა და მალე კანდიდატის სტატუსსაც მიიღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრიუსელში მწიფდება პოლიტიკური გადაწყვეტილება რეგიონში შემოსასვლელად. ბრიუსელში კი, ევროკავშირიც იგულისხმება და NATO-ც. ეს ორი ორგანიზაცია პარალელურად ფართოვდება, ერთი რომ შედის რეგიონში, მეორე კვალდაკვალ მიჰყვება. NATO-ს სპეციფიკიდან გამომდინარე, სანამ ქვეყანა ომშია, ან ომის საფრთხე ემუქრება, განწევრებაზე ვერ იქნება საუბარი. მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომი, ადრე თუ გვიან, დამთავრდება და

ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება. თავიდან იქნება დასაგეგმი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა, ვინაიდან არსებული მთლიანად ჩამოიშალა.

ერთადერთი რამაც იმუშავა NATO-ა. მან დაიცვა თავისი წევრების უსაფრთხოება. მაგრამ ახალ გარემოში, მასაც მოუწევს გარდაქმნა. სულ მცირე - სტრატეგიული კონცეფციის განახლება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელად ეს ერთი წლის წინ მოხდა.²⁹ განახლებულ კონცეფციაში კი, სავარაუდოდ, საქართველოსთვის პირველად გაიღება NATO-ს კარი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმ კარში საქართველოს ვინმე ძალით შესვლას აიძულებს. NATO-ში იძულებით არავინ შეყავთ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ როცა შესაბამისი დრო მოვა, ქვეყანა კართან ახლოს იდგეს და მოასწროს შესვლა. ამ ჯერზე, კარი დიდხანს არ დარჩება ღია, ხოლო მორიგი შანსი შეიძლება დიდხანს აღარ მოგვეცეს.

²⁹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022, NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

გამოყენებული ლიტერატურა

- Asmus, Ronald D, 2010. A little war that shocked the world, Palgrave Macmillan, New York,
- Asmus, Ronald, 2002. Opening NATO's Door, Columbia University Press, New York
- Bush, George. W, 2001. "Remarks by the President in Address to Faculty and Students of Warsaw University", The White House Archives, <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/06/20010615-1.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- Guterman, Steve, 2021. „The Week In Russia: The 9/11 Factor“, Steve Guterman's Week in Russia, <https://www.rferl.org/a/week-in-russia-9-11-attacks/31453542.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- Kozlowski, Grzegorz, 2019. "20 years, of the Czech Republic, Hungary and Poland in NATO, Yesterday, Today and Tomorrow", International Centre for Defense and Security, 22 April 2019 <https://icds.ee/en/20-years-of-the-czech-republic-hungary-and-poland-in-nato-yesterday-today-and-tomorrow/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- Tyburski, Maciej, 2021. "The Accession of Poland, the Czech Republic and Hungary to NATO", Warsaw Institute, <https://warsawinstitute.org/accession-poland-czech-republic-hungary-nato/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- Putin, Vladimir, 2007. Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy, Munich Conference on Security Policy, <http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Collective defense and Article V", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. „Germany and NATO“, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_185912.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. „Greece and NATO“, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_181434.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Membership Action Plan," NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_37356.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "NATO-Russia Council", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50091.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 1993. "Speech by the Secretary General of NATO Mr. Manfred Womer to the IISS in Brussels", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_24174.htm?selected_locale=en (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 1995. "Study on NATO Enlargement", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_24733.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 1949. "The Signing Ceremony", NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_137799.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- Radio Free Europe Radio Liberty, 2000. "Baltic Report", Reports Archive, Volume 1, Number 18, <https://www.rferl.org/a/1341528.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 1949, The North Atlantic Treaty, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_17120.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
- North Atlantic Treaty Organization (NATO), 1997. Founding Act, NATO Official Website https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_25468.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2002. Prague Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_19552.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2008. Bucharest Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. Madrid Summit Declaration, NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. Vilnius Communiqué. NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_217320.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)



საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ახალი მუვიდობა უკრაინაში და მისი გავლენა საქართველოს ნაცოში ინსტეგრაციაზე

ავტორი: გიორგი ანთაძე



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

გლობალური გეოპოლიტიკური კონტექსტი

გეოპოლიტიკა ასწავლის სივრცით აზროვნებას და ასწავლის სახელმწიფოებისა და სხვადასხვა აქტორების ინტერესების ურთიერთკავშირსა და ადგილს გეოგრაფიულ სივრცეებში. გასული ათწლეული სწორედ გეოპოლიტიკის, როგორც დარგის მობრუნებისა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაწყისია, რომლის დამაგვირგვინებელი ფაზა სწორედ რუსეთის უკრაინაში შეჭრა იყო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრებისა და მოვლენების წინაპირობა გახდა მსოფლიო მასშტაბით. ცივი ომის შემდგომ დამკვიდრებული ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი, რომელიც მეტწილად აშშ-ის პოლიტიკური და სამხედრო დომინირების პერიოდი იყო, ნელ-ნელა დასრულდა. ერაყისა და ავღანეთის ომებით გადაღლის ფონზე, სირიის კონფლიქტში პასიური ჩარევის ობამასეული პოლიტიკა ფაქტობრივად იმ წყალგამყოფ მომენტად იქცა, როდესაც გაჩენილი რეგიონალური ძალაუფლების ვაკუუმი აქტიურად იქნა ათვისებული სხვა გლობალური ძალების მიერ. პირველ რიგში ეს რუსეთსა და ჩინეთს ეხება, ასევე თურქეთსა და ირანს რომელთაც თავიანთი ინტერესების აქტიური რეალიზაცია დაიწყეს. ზემოთ ნახსენები ვაკუუმის შედეგი იყო ასევე დაეში, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე რეგიონალური მასშტაბით მნიშვნელოვანი საფრთხეების მომტანი გახდა.

თუმცა, ვაშინგტონის მხრიდან გამოვლენილი პასიურობა, პირველ რიგში რუსეთმა გამოიყენა, რომელიც აქტიურად ჩაერთო სირიის ომში და ასადის რეჟიმის გადარჩენის მთავარი გარანტორი გახდა.

ზოგადად რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლისთანავე, აქტუალურობა შეიძინა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საერთაშორისო წესრიგში რუსეთის როლის გადახედვისა და ახალი ადგილის ძებნის კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბებამ. იქნებოდა ეს რუსული ევრაზიონიზმით ნაკარნახები კონცეფციები, თუ რუსული სამყაროს იდეის განვითარება, ერთი რამ უცვლელი იყო - იკითხებოდა აშკარა უკმაყოფილება რუსეთის როლითა და ადგილით ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც აშშ-ის დომინირებით ყალიბდებოდა. აღნიშნული დადასტურდა 2007 წელს, მიუნხენის კონფერენციაზე, სადაც ვლადიმერ პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ კატასტროფად მონათლა; მოსკოვის საგარეო პოლიტიკურ ველზე კი ეს პირველი დიდი გააქტიურების დასაწყისიც გახდა. შიდაპოლიტიკური კონსოლიდაციისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ, რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში აშკარად იკვეთება უახლოესი სამეზობლო ტერიტორიების მიმართ პრეტენზიები და NATO-ს გაფართოებით შექმნილი უკმაყოფილების დაფიქსირება. როგორც შემდეგში გამოიკვეთა, ეს საკითხი მოგვიანებით, 2022 წლის 24 თებერვლამდე, ვლადიმერ პუტინის საგარეო პოლიტიკური პრეტენზიების ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი გახდა.

2007-2022 წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ანალიზისას ვხედავთ, რომ ამ პერიოდში მოსკოვი მისი გეოპოლიტიკური ადგილის თანმიმდევრულ გადახედვას იწყებს. აღნიშნული გადახედვის შედეგი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, შემდგომში სირიის სამოქალაქო ომში მოსკოვის აქტიური ჩართვა და ყირიმის ანექსია. რუსეთი იწყებს მისეული პრესტიჟის ე.წ. აღორძინებას და მოსკოვის, როგორც გლობალური მოთამაშის სტატუსის გააქტიურებას.

ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება ჩინეთიც. უზარმაზარი ეკონომიკური წინსვლის, სამხედრო მოდერნიზაციისა და ძლიერი ფინანსური ბერკეტების გამოყენებით, პეკინი გლობალური მასშტაბით ცდილობს საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოებას. საფუძველი ეყრება ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა „ერთი სარტყელი - ერთი გზა“. პეკინი აქტიურად ცდილობს მის მომიჯნავე რეგიონებში საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გაფართოებას, აქტიურად ერთვება აფრიკის კონტინენტის ეკონომიკურ საქმიანობაში და ხსნის სამხედრო ბაზას ჭიბუტში.

ამის ფონზე, კოვიდ პანდემიის შედეგები კიდევ უფრო უწყობს ხელს არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური დღის წესრიგის გადახედვას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ამ ყველაფერს თან ერთვის პოპულიზმის პოლიტიკურ აღზევება, განსაკუთრებით დასავლეთსა და ე.წ. გლობალურ სამხრეთში.

პოლიტიკური სფეროს გარდა, აქტიური დაპირისპირება იწყება ვაშინგტონსა და პეკინს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და რაც მთავარია, უახლესი ტექნოლოგიების სფეროში. დღეს ვაშინგტონი აქტიურად ცდილობს შეუზღუდოს ჩინეთს ნახევარგამტარების თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიებზე წვდომა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები გვხვდება დასავლეთშიც. NATO-სა და ევროკავშირის ერთიანობა არაერთ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. არ არსებობდა ერთიანი, შეჭრებული პოზიციები NATO-სა და ევროკავშირის გაფართოების საკითხებთან მიმართებაში. ბრექსიტის შედეგად დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი. ამის ფონზე, მიგრანტებისა და ენერგეტიკული საკითხებით დატვირთული დასავლური პოლიტიკური ყოველდღიურობა ვერ კონცენტრირდება რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებზე. ვლადიმერ პუტინი შექმნილ გეოპოლიტიკურ რეალობას საკუთარი ინტერესების რეალიზაციისთვის იყენებს. ყირიმის ანექსია და უკრაინის 2014 წლის მოვლენები ვერ ხდება დასავლეთის გამოფხიზლების წინაპირობა. აღნიშნულ რეალობაში, დასავლეთის სისუსტის დემონსტრაციის შედეგად, ვლადიმერ პუტინი ახალ მოთხოვნებს უყენებს მას. ეს ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ახალი მსოფლიო წესრიგის გაფორმებისკენ მოწოდება იყო - თითქოს დასრულდა ლიბერალურ პრინციპებსა და ღირებულებებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი და სამყარო კვლავ რეგიონალური და გლობალური ძალების გავლენის ზონებად უნდა გადაქცეულიყო. ამავე სულისკვეთების გამოვლინებაა მოსკოვსა და პეკინს შორის გაფორმებული შეთანხმებაც, რაც წინ უძღოდა რუსეთის უკრაინაში შეჭრას.

აღნიშნული მოვლენების კვალდაკვალ, რუსეთის ომმა უკრაინაში დასავლელ დამკვირვებლებს შეახსენა, რომ დიდ სახელმწიფოებსა და მათი მთავარ მოკავშირეების მიღმა სხვა სამყაროც არსებობს. ეს სამყარო, რომელიც ძირითადად მოიცავს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, დღეს არ ცდილობს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში აშკარა მხარის დაკავებას. ამგვარად, ომმა ყურადღება გაამახვილა გლობალურ სამხრეთზე, როგორც გეოპოლიტიკურ პროცესებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე.

დღევანდელი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი არ განისაზღვრება მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და მის დიდ კონკურენტებს - ჩინეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობით, არამედ საშუალო და კიდევ უფრო მცირე სახელმწიფოების მოქმედებებიც მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ამ კონტექსტში, დღეს ე.წ. გლობალური სამხრეთი არსებობს არა როგორც თანმიმდევრული, ორგანიზებული დაჯგუფება, არამედ როგორც გეოპოლიტიკური ფაქტი. მისი გავლენა იგრძნობა ახალ და მზარდ კოალიციებში, როგორცაა „ბრიქსი“ [BRICS], რომელიც შესაძლოა მალე გაფართოვდეს მისი თავდაპირველი წევრების - ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის მიღმა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ჯგუფი არ არის ერთსულოვანი. „ბრიქსში“ შემავალი სახელმწიფოები უფრო მეტად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ეს ქმედებები, რომლებიც განპირობებულია ეროვნული ინტერესებით და არა სამხრეთის სოლიდარობის იდეალიზმით, იწყებენ დიდი სახელმწიფოების ქმედებების შეზღუდვას და მათ პროვოცირებას, რომ უპასუხონ გლობალური სამხრეთის ზოგიერთ მოთხოვნას მაინც.

შედეგად, დღეს სახეზეა გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, რომელიც დიდი სახელმწიფოების მოქმედებების ფონზე, საკმაო ფრაგმენტულობით გამოირჩევა, როგორც ინტერესების, ასევე პრობლემების თვალსაზრისით. აღნიშნული გარემოება პირდაპირ მოქმედებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მიმდინარეობაზეც, რაც კარგად იგრძნობა, მაგალითად, უკრაინული მარცვლეულის ექსპორტის პრობლემის წრილშიც.

რუსეთ-უკრაინის ომი

ზემოთ აღწერილი მოვლენების ფონზე, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ახლებური მიდგომების რეალიზაციის საბოლოო მცდელობა სწორედ რუსეთის უკრაინაში შეჭრა გახდა. 2022 წლის 24 თებერვლამდე კრემლის მხრიდან აქტიურად ისმოდა სხვადასხვა სახის მოწოდებები, როგორც უშუალოდ NATO-სა და ვაშინგტონის, ისე მთლიანად დასავლეთის მიმართ. აღნიშნული მოწოდებების მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა დასავლეთის იძულება, ელიარებიან ახალი გლობალური წესრიგი და მისი შეცვლილი თამაშის წესები.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მოსკოვისთვის უკრაინა წარმოადგენს არა მხოლოდ დასავლეთთან დაპირისპირების არეალს, არამედ პირველ რიგში, მისი გეოსტრატეგიული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ისტორიულად, არ არსებობს არცერთი რუსული გეოპოლიტიკური პროექტი, სადაც უკრაინას არ აქვს უმნიშვნელოვანესი და ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი ადგილი. ამის შესახებ, ვლადიმერ პუტინმა მის ომის წინანდელ გამოსვლებშიც არაერთხელ ისაუბრა¹. კიევი მოსკოვისთვის ფაქტობრივად საკრალურ სამიზნედ იქცა, რომლის როლი გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს სცდება. პოტენციურად, კიევი მოსკოვს როგორც სლავური სამყაროს ლიდერის ადგილსაც ეცილება. კრემლის ბოლო ათწლეულის პოლიტიკისა და ვლადიმერ პუტინის გეოპოლიტიკური ამბიციების ლოგიკური გაგრძელება გახდა „კიევის პრობლემის“ საბოლოო გადაწყვეტის მცდელობა. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს ნაბიჯი, ამ ეტაპზე, მოსკოვისთვის შესაძლოა, მოუნელებელ გეოსტრატეგიულ ამოცანად იქცეს.

უშუალოდ ომის დაწყების წინ, მოსკოვსა და კიევს შორის არსებული სამხედრო ბალანსი ერთი შეხედვით ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ რუსეთს არ გააჩნდა იმ რაოდენობის ძალები, რაც უკრაინის მთელი ტერიტორიის ანექსიისთვის იქნებოდა საკმარისი. 2022 წლის იანვრის შუა რიცხვებისთვის, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული დაზვერვის შეფასების თანახმად², რუსეთი ამთავრებდა მზადებას ინტერვენციისთვის რუსეთ-უკრაინის საზღვარზე. რეგიონში მობილიზირებული იყო 127,000 ჯარისკაცი, აქედან 106,000 - სახმელეთო ჯარები, დანარჩენი - საზღვაო და საჰაერო ძალები. რუსეთის მიერ მხარდაჭერილი კიდევ 35,000 სეპარატისტი მეზობელი და 3,000 რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა ე.წ. ამბოხებულების მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ უკრაინაში. 2022 წლის 5 თებერვალს აშშ-ის ორმა ანონიმურმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა³, რომ რუსეთმა შეკრიბა 83 ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, რომელიც შეფასდა როგორც რუსეთის საბრძოლო შესაძლებლობების 70%. 2022 წლის იანვრის ბოლოს, მნიშვნელოვანი რუსული სამხედრო ნაწილები გადაყვანილ იქნა ბელარუსის ტერიტორიაზე ადრე დაგეგმილი ერთობლივი სამხედრო წვრთნების ეგიდით, რომელიც იმავე წლის თებერვალში ჩატარდა. ბელარუსში, საბრძოლო ნაწილებთან ერთად, აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის შტაბიც იყო განლაგებული.

მეორე მხრივ, 2021 წლის დეკემბერში, უკრაინის თავდაცვის მინისტრის განცხადებით უკრაინულ არმიაში, 250,000 ჯარისკაცი ირიცხებოდა, რასაც ემატებოდა 400,000 ვეტერანი და 200,000 რეზერვისტი. მისი თქმით, რუსების მიერ

¹ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 2022 წლის 24 თებერვლის მიმართვა, რიას ახალი ამბები, <https://ria.ru/20220224/obraschenie-1774658619.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

² Chance, Matthew and others, 2022. "Ukraine warns Russia has 'almost completed' build-up of forces near border", CNN <https://edition.cnn.com/2022/01/18/europe/ukraine-intelligence-russia-military-build-up-intl/index.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

³ Stewart, Phil and Humevara Pamuk, 2022. "Russian forces at 70% of level needed for full Ukraine invasion, U.S. officials say", Reuters <https://www.reuters.com/world/europe/russian-forces-70-level-needed-full-ukraine-invasion-us-officials-2022-02-05/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

მობილიზირებული სამხედრო ძალები საკმარისი არ იყო უკრაინის ანექსიისთვის და მისი ჯარების დასამარცხებლად.⁴

აღნიშნული ძალთა ბალანსი ექსპერტების უმრავლესობაში ქმნიდა წარმოდგენას, რომ კრემლის ნაბიჯები მოსკოვის მხრიდან მორიგი მუქარა და ძალის დემონსტრირების მცდელობა იყო, რაც დასავლეთის მხრიდან შემდგომი დათმობების მიღებას ისახავდა მიზნად. სამხედრო ლოგიკა, ერთი მხრივ, სწორედ ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა - როგორც ცნობილია, წარმატების მისაღწევად, ცოცხალი ძალის მხრივ შემტევი ძალის უპირატესობა თავდაცვაში მყოფ ძალასთან მიმართებით მინიმუმ 3:1-ზე უნდა იყოს. არსებული სამხედრო ბალანსი კი მოსკოვის ასეთ უპირატესობას ვერ უზრუნველყოფდა.

როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, მოსკოვს სწრაფი გამარჯვების და უკრაინის ჯარების მართვისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ჩამოშლის იმედი ჰქონდა, რაც რუსეთის არასათანადო სამხედრო უპირატესობის საპირწონე უნდა გამხდარიყო. უამრავი დივერსანტის, აგენტურული პოლიტიკური ქსელისა და უკრაინაში არსებული პრორუსული ძალების აქტივობების იმედად მყოფი კრემლი, სწორედ ამგვარი სცენარის განვითარების იმედად იყო. საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე გადამწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა კიევში სამთავრობო კვარტალის დაკავებასა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის განეიტრალებას. ამ ხედვასთან თანხვედრაში იყო რუსული ჯარების თავდაპირველი მოქმედებები - მათი მცდელობა, სწრაფად გაჭრილიყვნენ ჩრდილოეთიდან კიევისკენ, მოეხდინათ ჰოსტომელის აეროდრომის დაკავება (შემდგომ მასზე სადესანტო ჯარების გადასროლის მიზნით) და კიევის სამთავრობო უბანში დივერსიული ჯგუფის მოქმედებით სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩამოეშალათ. უკრაინული ჯარების თავდადების შედეგად, ვერცერთი ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული. შედეგად, კიევს საშუალება მიეცა, საკმარისი დრო მოეგო საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური ძალისხმევის მობილიზაციისა და დასავლეთის დახმარების მისაღებად, რომელიც დღეს უკრაინისთვის ხანგრძლივი ომის სანარმოებლად გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ბოლო 10 წლის მანძილზე, რუსული ჰიბრიდული ომის შედეგებით გატაცებული მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა სულ სხვა მოლოდინებით იყო განმსჭვალული.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ომში მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი სამხედრო თეორიული შემადგენელი, ანუ ის სამხედრო-სტრატეგიული ხედვა რასაც იგი ეფუძნება - სწორედ მასზე უნდა აიგოს უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის წარმოდგენა, გნებავთ, მომავალი კონფლიქტის გეგმა. ეს განსაზღვრავს ხელთ არსებული სამხედრო ინსტრუმენტის - სამხედრო ძალების გამოყენების მთავარ მიზნებს, გამოყენების ხერხებს, საშუალებებსა და

⁴ Scully, Rachel, 2021. "Ukraine defense minister warns of 'bloody massacre' if Russia invades", The Hill, <https://thehill.com/policy/international/europe/584672-ukraine-defense-minister-warns-of-bloody-massacre-if-russia/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)/

სტრატეგიულ ჩარჩოს. როგორც ჩანს, ბოლო წლებში მის მიერ კიევზე არაპირდაპირი და ჰიბრიდული მოქმედებებით ფრთაშესხმული მოსკოვი, არ მოელოდა უკრაინული სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მდგრადობას. უწინდელმა წარმატებებმა მოსკოვს იოლი გამარჯვების ილუზია შეუქმნა.

უკრაინის წარმატების მიზეზები

აღსანიშნავია, რომ უკრაინის წარმატებას ბრძოლის ველზე თავისი მიზეზები გააჩნია. ბოლო წლებში მიღებული დასავლური დახმარების ფონზე, აქტიურად მიმდინარეობდა რეფორმები უკრაინის არმიაში. 2014 წლის ომის შემდგომ, უკრაინულ ჯარში პროფესიონალიზაციის ხარისხი ერთი-ორად გაიზარდა. თუმცა, ომის წარმოება მხოლოდ ჯარის პრეროგატივა არ არის. ამისათვის სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ორგანიზმის ეფექტური ფუნქციონირებაა აუცილებელი.

დასავლეთში დამკვიდრებული ტრადიციული სამხედრო თეორიული და სტრატეგიული სკოლის მიხედვით, ომის წარმოებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ე.წ. „კლაუზევიცის ან, იგივე - ომის სამება“⁵. სამივე ფაქტორი თანაბარმნიშვნელოვანია, რასაც კლაუზევიცი საკვირველ (ანდა განსაცვიფრებელ) სამებას უწოდებს: პოლიტიკის გავლენა, ალბათობა და ძირეული (სიღრმისეული) მტრობის განცდა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს ომისკენ უბიძგებს. ობიექტურ სიბრტყეში, აღნიშნული სამება წარმოადგენს სამ დინამიურ ძალას, რომელიც ომის მსვლელობას განსაზღვრავს:

- მიმართულების განმსაზღვრელი ზეგავლენა - პოლიტიკა;
- ალბათობის თამაში (შემთხვევითობა) - ჯარის მოქმედების სივრცე;
- სიღრმისეული შუღლი (მაგ. მეზობელ ეთნოსებს შორის) - ხალხის მორალური და სულიერი ძალები.

სუბიექტურ სიბრტყეში ეს სამება შემდეგია:

- ხელისუფლება -- მიმართულების მიმცემი ზეგავლენა;
- სამხედრო ძალა -- შემთხვევითობის შემომქმედი;
- ხალხი (გერმანულად Folk) – ომის წარმოების სერიოზული ემოციური რეზერვი.

ამგვარად, კლაუზევიცის მიხედვით, ომს სამი აქტიური ჰყავს, სამივე თანაბარმნიშვნელოვანია და ომზე მსჯელობისას რომელიმე მათგანის უგულებელყოფას ნებისმიერი ომის გეგმა ჩიხში შეჰყავს. ამგვარად, ტრიადა - მთავრობა-არმია-ხალხი წარმოადგენს იმ ღერძს, რაზედაც ომის თეორია უნდა დაფუძნდეს. ამათგან, მთავრობა პოლიტიკურად მართავს ომს, ხალხი

⁵ ანთაძე, გიორგი, 2022. „ჰიბრიდული ომის ტყვეობაში, რუსეთ-უკრაინის ომის რამდენიმე ასპექტის შესახებ“, ჯეოქეისი <https://geocase.ge/ka/publications/763/hibriduli-omis-tyveobashi-ruset-ukrainis-omis-ramdenime-aspeqtis-shesakheb>

წარმოადგენს შინაგანი სიძულვილისა და მორალური ძალების მატარებელ სუბსტრატს, ხოლო არმია, ამ ხალხის სახელით, პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის იბრძვის. უკრაინის შემთხვევაში, ეს პოლიტიკური მიზანი მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვის მხრიდან ომის დაწყების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ გათვლით, რომ კლაუზევიცის სამება - მთავრობა-ხალხი-ჭარის ურთიერთკავშირი, უკრაინის შემთხვევაში იქნებოდა ძალიან სუსტი და არამყარი. შესაბამისად, კიევზე მყისიერი იერიშის შემდგომ ორგანიზებული წინააღმდეგობა მარტივად ჩამოიშლებოდა. როგორც ვიცით, აღნიშნული ვერ იქნა მიღწეული. უკრაინის მხრიდან გამოჩენილმა მედეგობამ უზრუნველყო უწყვეტი კავშირი ერთის მხრივ მთავრობას - რომელიც ომის დროს სათავეში უდგას სახელმწიფოს სასიცოცხლო ფუნქციების შესრულებას, საერთაშორისო ძალისხმევისა და დახმარების მობილიზაციას, და არმიის მართვას, და მეორეს მხრივ მოსახლეობას შორის, რომელიც ამ ომში მორალური და სულიერი ძალების მობილიზაციის წყაროს წარმოადგენს. ამრიგად, ამ კომპონენტების მედეგობა გახდა უკრაინის არ ჩამოშლის და უფრო მეტიც, წარმატებული წინააღმდეგობის საწინდარიც.

რუსული სამხედრო მანქანა მისივე პოლიტიკური ხელმძღვანელობის მცდარი სამხედრო-პოლიტიკური გათვლების ტყვეობაში აღმოჩნდა. პირველადი მარცხის შედეგად, ის იძულებული გახდა საბრძოლო მოქმედებების გეგმა შეეცვალა. რუსეთი დღეს გაცილებით ნამგებიან პირობებშია და მხოლოდ შეზღუდული ამოცანების შესრულებას ცდილობს. დღესდღეობით, მისი მიზანია, ბრძოლის ველზე მიაღწიოს ისეთ შედეგს, რომელიც მოლაპარკებების მაგიდაზე მომგებიანი პოლიტიკური ვაჭრობის საფუძველი და კრემლისთვის „სახის შენარჩუნების“ საშუალება გახდება.

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. კონფლიქტის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, ეს ომი ფაქტობრივად გამოფიტვის სტრატეგიის რეჟიმში გადავიდა და მისი სწრაფი დამთავრების წინაპირობები ჯერ არ ჩანს. ასეთ პირობებში, მისი პოლიტიკური და დიპლომატიური გადაწყვეტა კვლავინდებურად ბურუსით არის მოცული.

დღესდღეობით, წარმატებული თავდაპირველი წინააღმდეგობის ფონზე, უკრაინის არმია კონტრშეტევას ცდილობს რამდენიმე მიმართულებაზე, რომელთაგან ე.წ. ზაპოროჟიეს მიმართულება ყველაზე მნიშვნელოვანია. აღნიშნული ძალისხმევების შედეგები პირდაპირ გავლენას იქონიებს ომის შედეგებზეც, რომელთა შესაძლო ვარიანტებს ქვემოთ განვიხილავთ.

არსებული სამხედრო-პოლიტიკური

რეალობა

ომი პოლიტიკის სხვა ხერხებით გაგრძელების, ანუ არასასურველი მშვიდობის სამხედრო გზით ტრანსფორმაციის მცდელობაა. პუტინისთვის არასასურველი მშვიდობისა და მისი კონფიგურაციის სწრაფი შეცვლის გზა უნდა ყოფილიყო უკრაინაში სწრაფი გამარჯვება. თუმცა, უკრაინული მხარის მიერ გამოვლენილი მტკიცე მედეგობის შედეგად ეს ვერ იქნა მიღწეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრიადა მთავრობა-არმია-ხალხი წარმოადგენს იმ ღერძს, რაზედაც ომის წარმოება უნდა დაფუძნდეს. რუსეთის შემთხვევაში, ამ ტრიადიდან არმიამ ვერ შეძლო დასახული მიზნების მიღწევა, მთავრობამ კი გამოავლინა არაკომპეტენტურობა. ომი ძალადობრივ დაპირისპირებაზე აგებული საკუთარი ნების რეალიზაციის პროცესია, ეს კი ლოგიკურად გვკარნახობს მისი ეფექტურად წარმართვის ალგორითმს: მოწინააღმდეგე იმდენად მძიმე ვითარებაში უნდა ჩავაყენოთ, რომ ჩვენ მიერ მისგან თავდაპირველად მოთხოვნილი დათმობანი უფრო მსუბუქი აღმოჩნდეს. მას ეს ძლიერ მოტივაციას უჩენს დანებებისათვის და აძლიერებს ჩვენი პოლიტიკური ნების რეალიზაციის ალბათობას. ამგვარად, იკვეთება, რომ ჩვენი ნების განხორციელების პირობა გახლავთ ის თუ როგორ მოვახერხებთ, მოწინააღმდეგისთვის წინააღმდეგობის სურვილისა და უნარის წართმევას. სხვა სიტყვებით, ომის მიზანი არის მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის ნების გატეხვა. ამ გზაზე კი, მორალური შემადგენლის უგულებელყოფის შემთხვევაში, ნებისმიერი ხერხი დასაშვებია და მისაღები ხდება. სამხედრო გზით უკრაინის ნების გატეხვა მოსკოვმა ვერ მოახერხა, ამიტომაც, ის ამ მიზნის მიღწევას სხვა ფორმებით ცდილობს. კერძოდ, მოსკოვი ცდილობს ომის გაჭიანურებას, რათა დაღალოს უკრაინელი ხალხი, ამოიწუროს მათი სულიერი და ფსიქოლოგიური რესურსი და ამგვარად გატეხოს მათი წინააღმდეგობის ნება.

ამ ქრილში, ტრიადიდან - მთავრობა-არმია-ხალხი, რუსეთს ყველაზე ცუდ კონდიციაში სწორედ არმია ჰყავს, ანუ ის, რამაც პირველ რიგში უნდა გატეხოს კიევის წინააღმდეგობის ნება. მოსკოვი ჯერ წარმატებით ახერხებს სტაბილური ვითარების შენარჩუნებას მისი მთავრობისა და ხალხის ურთიერთკავშირის ქრილში. მთავრობა მეტნაკლებად კონსოლიდირებულია და განაგრძობს ომს, თუმცა რუსული არმია უკრაინაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. სწორედ არმიას ის ინსტრუმენტი, რამაც რუსეთის პოლიტიკის სხვა ხერხებით რეალიზაცია უნდა უზრუნველყოს უკრაინაში. შესაბამისად, ეს უკრაინისთვის აჩენს ამოცანას -წარმატებული კონტრშეტევის შედეგად ხელი შეუწყოს ამ ინსტრუმენტის ჩამოშლას. პირველ რიგში, უკრაინის სამხრეთში უნდა განყვიტოს ლოგისტიკური ბმა ყირიმსა და დანარჩენ რუსეთს შორის, რამაც შესაბამისი გავლენა უნდა

მოახდინოს უკვე მოსკოვის პოლიტიკაზე და შედეგად, ომის დასრულების ვარიანტებზე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, წარმატებული უკრაინული კონტრშეტევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება ომის დასასრულის შესაძლო ვარიანტებისათვის, ანუ ახალი მშვიდობის შექმნის სცენარებისათვის.

ამრიგად, ერთი მხრივ, გვაქვს კიევის ამოცანა, რაც შეიძლება მოკლე დროში მოახდინოს სამხრეთ მიმართულებაზე რუსული ჯარების წინააღმდეგობის ჩამოშლა, რაც მთლიანად რუსეთის წინააღმდეგობის ჩამოშლის წინაპირობა უნდა გახდეს. მეორე მხრივ, გვაქვს მოსკოვის ამოცანა, არ დაუშვას ზემოთ აღნიშნული და განელოს ომი კიევისათვის საერთაშორისო დახმარების შესუსტებისა და კიევზე სხვა ნეგატიური პოლიტიკური გავლენების ფორმირების იმედით.

ომის დასრულების შესაძლო სცენარები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კიევის ოფიციალური პოზიცია მიმართულია უკრაინის 1991 წლის საზღვრების აღდგენისკენ, რაც თავისთავად გულისხმობს ყირიმის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას. ასეთი რამ მხოლოდ დიდი სამხედრო გამარჯვების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, ვინაიდან მოსკოვი ყირიმს არცერთი სხვა საშუალებით არ დათმობს. თავის მხრივ, კრემლის ამოცანაა მაქსიმალურად შეაკავოს უკრაინული ჯარების წინსვლა, პირველ რიგში სამხრეთით, ვინაიდან დანარჩენ ფრონტზე სრული უკრაინული წარმატება დიდად ვერ შეცვლის ომის დამთავრების პოლიტიკურ სცენარებს, თუ მაგალითად, უკრაინა რუსეთის ტერიტორიაზე არ გადაიტანს ომს.

თუ უკრაინა მოახერხებს სამხრეთში წარმატებული იერიშის გაგრძელებას, ჩამოშლის ფრონტს და გავა ყირიმის საზღვრებთან, ეს აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი წარმატება. რაც მთავარია, კიევს საშუალებას მისცემს დაიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიების დიდი ნაწილი და შემდგომ, მთელი ძალით კონცენტრირდეს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მიმართულებებზეც, ვინაიდან, მოსკოვს სათანადო მასშტაბის კონტრშეტევის განხორციელების ძალები უახლოეს პერიოდში არ ეყოლება.

სწორედ ამ ვითარებაში, შესაძლოა შეიქმნას მომენტი, როდესაც ორივე მხარეს გაუჩნდება სურვილი მოლაპარაკებების დასაწყებად. ამასთან, ღიად დარჩება ყირიმის საკითხი და სხვა მნიშვნელოვანი თემები, რომელიც უკრაინის გრძელვადიან უსაფრთხოებას უკავშირდება. მსგავსი მოლაპარაკებების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, კიევს მეტი შანსი ექნება, საშუალოვადიან პერსპექტივაში გახდეს NATO-ს წევრი. მათ შორის, ისეთ ვარიანტშიც, სადაც კიევი, ყირიმის გარდა დანარჩენ ტერიტორიაზე სრულად აღადგენს კონტროლს. მსგავსი პროცესები რუსეთის შიგნით პოლიტიკური ცვლილებების მიზეზიც შეიძლება გახდეს. თუმცა, თუ უკრაინა გადაწყვეტს, რომ

ყირიმის დაბრუნებაზე იმუშაოს, ეს შეიძლება გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი მისი NATO-ში ინტეგრაციის კუთხით, ვინაიდან ამ გადანყვეტილების ფონზე აუცილებელი იქნება დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის შენარჩუნება.

ასეთი სცენარის შემთხვევაში, დასავლეთი დადგება დილემის წინაშე - გააგრძელოს თუ არა უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა. ერთი მხრივ, თუ უკრაინა ყირიმის დაბრუნებასაც სამხედრო გზით გადანყვეტს, ამას უკრაინული ძალების ახალი მობილიზება დასჭირდება, რაც დასავლური დახმარების გარეშე ძნელად წარმოსადგენია. აღნიშნული, ზოგიერთ დასავლურ წრეებში ომის კიდევ უფრო მეტად ესკალაციის მაპროგოზირებლად მიიჩნევა. მეორე მხრივ, თუ დასავლეთი შეწყვეტს შემდგომი ესკალაციის საბაბით კიევის დახმარებას, მაშინ უკრაინას მოუწევს საკუთარი ძალებით ყირიმის დაბრუნებაზე მუშაობა, რაც ბევრ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხზე იქნება დამოკიდებული. მსგავს სცენარში სავარაუდოა, რომ კიდევ უფრო გართულდება უკრაინის NATO-ში ინტეგრაცია. თუ კიევი უარს იტყვის NATO-ში ინტეგრაციაზე და ფართო უსაფრთხოების სხვა გარანტიებს მიიღებს, მაგალითად, მის ტერიტორიაზე მოკავშირე ქვეყნების ჯარების განთავსება, ან დასავლეთთან გაძლიერებული თანამშრომლობისა და დახმარების ფორმალიზებული მექანიზმები, მას მაინც მოუწევს სამხედრო ძალის მომზადება ყირიმის დასაბრუნებლად. მარტო დარჩენილ კიევს აღნიშნული მიზნის მიღწევა ერთი-ორად გაურთულდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი უკრაინა მიზნად დაისახავს ყირიმის დაბრუნებასაც, ომი შესაძლოა კიდევ ერთი ან ორი წელი გაგრძელდეს. ამ ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება აშშ-ის არჩევნების საკითხი და დასავლეთის დახმარების შენარჩუნება მომდევნო წლებშიც.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ დასავლეთში და პირველ რიგში, ვაშინგტონში, აუცილებელია მკაფიო და გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება ომის დასასრულის სცენარებთან დაკავშირებით და კიევისათვის ახალი მშვიდობის მოწყობის მყარი გარანტიების შექმნის კუთხით.

თუ ომის პოზიტიური სცენარი განვითარდა, ანუ უკრაინამ შეძლო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუნდაც ყირიმის გარეშე, ეს მთლიანად შეცვლის ძალთა ბალანსს შავი ზღვის რეგიონში, როგორც უკრაინისთვის, ასევე საქართველოსათვის. გამარჯვებული უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი მნიშვნელოვანი მუხტი შეიძლება გახდეს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციისთვის და ზოგადად, უფრო პოზიტიური უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამასთან ერთად, გრძელვადიან პერსპექტივაში, უმნიშვნელოვანესია თვითონ რუსეთის და ვლადიმერ პუტინის ძალაუფლების ბედი. უკრაინის ომის შედეგები კი ამ მხრივ, ფუნდამენტური მნიშვნელობის შეიძლება გახდეს.

საქართველოს კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის მხრივ, ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არაა და

მოსკოვი კვლავინდებურად აქტიურად შეეცდება ამ ბერკეტების თბილისის სანინააღმდეგოდ გამოყენებას.

უკრაინის წარმატება ომის დასრულების კონტექსტში დადებითი მოვლენა იქნება გლობალური მასშტაბითაც. ეს იქნება მკაფიო გზავნილი, რომ დასავლეთს ძალუძს არსებული საერთაშორისო წესრიგისა და ნორმების დაცვა და ავტოკრატიული და ტოტალიტარული სახელმწიფოების მცდელობა, გადანერონ გლობალური „თამაშის წესები“ წარუმატებელია.

ამრიგად, ომი, როგორც პოლიტიკის გაგრძელება რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტშიც პოლიტიკურ დასასრულს მოითხოვს, ახალი და უკეთესი მშვიდობის შესაქმნელად, როგორც კიევისთვის, ისე მთელი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისათვის. მეორე მხრივ, მოსკოვი მისთვის სასურველი ახალი პოლიტიკური რეალობის შესაქმნელად ძალებს არ დაიშურებს, ვინაიდან, რუსული ჯარის, როგორც კრემლის პოლიტიკის გაგრძელების ინსტრუმენტის შესაძლებლობები ახლოვადიან პერსპექტივაში იწერება.

გაჭიანურებული ომი და რუსეთის მომავალი

ომის დასრულების მეორე სცენარის კონტექსტშიც უმნიშვნელოვანესია სამხედრო კომპონენტი. კერძოდ, წარუმატებელი უკრაინული შეტევა მიმდინარე ან/და მომავალ წელს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სამხრეთში რუსული ფრონტის ჩამოშლას, ომის გაყინვის მაღალ ალბათობას ტოვებს. გაჭიანურებული ომის პირობებში უკრაინას მეტი ძალისხმევა დასჭირდება აქამდე ასე წარმატებული სინერჯის შესანარჩუნებლად ომის სამებას - მთავრობას-არმია-ხალხს შორის. ხოლო გაჭიანურებული ომის პირობებში, მოსკოვს ექნება საშუალება, კიდევ გამონახოს თავდაცვის წარმატებით გაგრძელების რესურსები და შიდა აუდიტორიასთან სათანადო შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად იმუშაოს.

ხაზგასასმელია, რომ ახლო და საშუალო ვადიან პერიოდში, მინიმალური ალბათობაა იმის, რომ მოსკოვმა რაიმე დიდი შეტევითვის საკმარისი ძალების მობილიზაცია მოახდინოს.

თუმცა, უმნიშვნელოვანესია რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების მომავალი ომის დასრულების პრიზმაში. ნებისმიერ სცენარში, ახალი, მყარი მშვიდობის დამყარების ალბათობა პირდაპირ არის დამოკიდებული ომის დასასრულს რუსეთის მდგომარეობა და შემდგომ, მის შიდა პოლიტიკურ მომავალზეც. ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ ომის დაწყების ერთ-ერთი იდეოლოგიური საბაბი მოსკოვისთვის NATO-ს გაფართოება იყო, ბუნდოვანია, როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია ომის შემდგომი NATO-ს გაფართოების თვალსაზრისით და რა გავლენას იქონიებს სამშვიდობო მოლაპარაკებები ამ მიმართულებით. რამდენადაც ომის დასრულების პირობები და უკრაინის გრძელვადიანი უსაფრთხოების გარანტიების არქიტექტურა ამ ეტაპზე

ბუნდოვანია, რთულია წინასწარ NATO-ს გაფართოებაზე მისი გავლენის შეფასება. თუმცა ნათელია, რომ როგორც არ უნდა დასრულდეს ომი, მომავალში, ამ ორ საკითხს შორის პირდაპირი კავშირი იქნება.

ამასთან ერთად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესების მხრივ, უმნიშვნელოვანესია მოსკოვის პოლიტიკური მომავლის საკითხი, ვინაიდან გრძელდება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ყველა ის საფრთხე რაც ომამდე იყო, კვლავინდებურად აქტუალურია. ღია საკითხად რჩება, დამძიმდება თუ არა საქართველოს უსაფრთხოების გარემო ომის შედეგების გათვალისწინებით.

გაჭიანურებული კონფლიქტი, რომელიც შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს, ტოვებს ალბათობას, რომ კიევი იძულებული გახდეს პოლიტიკური კომპრომისი ნახოს მოსკოვთან, განსაკუთრებით თუ ამას დასავლეთის შესუსტებული მხარდაჭერა დაემატება. ასეთ სცენარში, შესაძლებელია მივიღოთ კორეის ომის მსგავსი სიტუაცია, სადაც საერთაშორისო სამშვიდობო ძალები იმ ხაზებზე ჩადგნენ, რომელიც კონკრეტული დროის მომენტში ფრონტის ხაზს წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევებში, მსგავს ინიციატივას სხვა გლობალური მოთამაშეებიც დაუჭერენ მხარს, როგორებიც არიან - ინდოეთი და ჩინეთი. ჩინეთი შესაძლოა აქტიურად ჩაერთოს სამშვიდობო ოპერაციის რეალიზაციის მხრივაც, რაც გაზრდის მის პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით ე.წ. გლობალური სამხრეთის თვალში, რომელიც ისედაც არ გამოირჩევა უკრაინის მხარდაჭერით. მსგავს სცენარში, მოსკოვის მხრიდან აუცილებელი იქნება დასავლეთის ე.წ. „დათანხმება“ მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე. მარტო კიევის, ასეთ ვითარებაში უკიდურესად გაუჭირდება საკუთარი ინტერესების რეალიზაცია.

კიევი შეიძლება იძულებული გახდეს, დათანხმდეს დე ფაქტო რეალობას, თუმცა აღნიშნული ვითარება სავარაუდოდ ვერ შექმნის კონფლიქტის აღმოფხვრის გრძელვადიან გარანტიებს და დამოკიდებული იქნება საერთაშორისო ძალისხმევის მუდმივ ჩართულობაზე. ასევე, მოხდება თუ არა კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია, დამოკიდებული იქნება კიევის შიდაპოლიტიკურ განწყობებზე და მოსკოვის ისტორიულ ბედზეც, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კრემლი, დაუბრუნდეს დემოკრატიზაციის გზას.

ყველაფრის გათვალისწინებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას, რომ რუსეთთან მიმართებაში დასავლეთსა და ვაშინგტონში გრძელვადიანი სტრატეგიის არ არსებობა წარმოადგენს ნეგატიურ ფაქტორს.

ნებისმიერ სცენარში, სადაც უკრაინა სამხედრო გზით ვერ დაიბრუნებს ყირიმს, იგი შეიძლება ცალკე განხილვის საგანი გახდეს მომავალში. ამრიგად, უკრაინის პროგრესი დამოკიდებული იქნება საბრძოლო მოქმედებების შედეგებზე, დარჩენილ რესურსებზე და დასავლეთის მოსკოვთან ურთიერთობების გრძელვადიან ხედვაზე.

დასკვნები საქართველოსთვის

მიგვაჩნია, რომ ორივე სცენარის შემთხვევაში, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იქნება შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობებისა და პრობლემების გადალახვა. უკრაინის წარმატების შემთხვევაში, თუ კიევი დაკმაყოფილდა მიღწეულით და შეიქმნა მისი უსაფრთხოების მყარი გარანტიები, თუნდაც NATO-ში ინტეგრაციის მკაფიო გეგმით, ეს დადებით გავლენას მოახდენს თბილისის პერსპექტივებზეც, თუმცა, ამისათვის, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის საჭირო ძალისხმევისა და ნების შენარჩუნება აუცილებელი პირობა იქნება თბილისისთვის. გამარჯვებული უკრაინა გახდება უმნიშვნელოვანესი რეგიონული მოთამაშე ძლიერი ჯარითა და ახალი ეროვნული იდენტობით, რომლის ენერჯია აქტიური თანამშრომლობის საფუძვლებს შექმნის საქართველოსთვისაც.

ნეგატიური სცენარების შემთხვევაში, მოსკოვის პოზიციები რეგიონში მხოლოდ გაძლიერდება, ვინაიდან უკრაინისთვის წართმეული ტერიტორიები პრორუსული პროპაგანდისა და რიტორიკისათვის მსუყე ნიადაგს შექმნის. დასავლეთის წარუმატებლობის დემონსტრირება სერიოზულ ნეგატიურ პროცესებს დაუდებს სათავეს თბილისშიც. აღნიშნული მკვეთრად გაზრდის ქვეყნის შიგნით სკეპტიკურ განწყობებს საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსის მიმართ, როგორც საზოგადოებაში, ისე ე.წ. „კონსერვატიულად განწყობილ“ პოლიტიკურ ძალებში. ამასთან ერთად, NATO-ს შემდგომი გაფართოების მიმართ დასავლეთშიც მოიმატებს სკეპტიკური განწყობები. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება, დასავლეთის მხრიდან ნეგატიური სცენარების პირობებშიც გაგრძელდეს NATO-ს ღია კარის პოლიტიკა.

ორივე შემთხვევაში, თბილისის წინაშე დარჩება შემდეგი ამოცანა: განაგრძოს დემოკრატიული რეფორმები და წინსვლა ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მოთხოვნების რეალიზაციის გზაზე.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების სცენარებზე გავლენის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება დასავლეთში რუსეთთან დაკავშირებით გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების საკითხი. ეს კიდევ უფრო მკაფიოს გახდის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურას და მასში საქართველოს როლს და ადგილს. გლობალურ დონეზე, უკრაინის ომის დასასრული განსაზღვრავს გლობალურ გეოპოლიტიკურ დაფაზე დასავლური ცივილიზაციის როლს, რომელიც, მომავალში, პირველ რიგში სწორედ ვაშინგტონსა და პეკინს შორის დაპირისპირების ფონზე ჩამოყალიბდება. აღნიშნული დაპირისპირება უმნიშვნელოვანესი იქნება ღირებულებების თვალსაზრისითაც, სადაც თბილისმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მისი ადგილი და როლი ახალი ალიანსებისა და თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში. სად არის მისი ადგილი - დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ

თანამეგობრობაში, თუ ავტოკრატიულ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ორბიტაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული როლისა და ფუნქციისთვის უმნიშვნელოვანესი სწორედ შიდაპოლიტიკური დღის წესრიგი და შინაარსი იქნება. ამ ეტაპზე, საქართველო არ ჰყავს სტრატეგიული მოკავშირეები რომლებიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. შესაბამისად, ქვეყნის რესურსების შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებებზე გახარჯვა ორმაგი საფრთხის შემცველია. ცვალებად გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში, დემოკრატიული წინსვლის უზრუნველყოფა შეიძლება თბილისის სტრატეგიული რესურსი გახდეს.

გამარჯვებული უკრაინა აუცილებლად პოზიტიურ გავლენას იქონიებს საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ მომავალზე. ვინაიდან, ეს იქნება მკაფიო სიგნალი, რომ ევრო-ატლანტიკური სივრცე ამ კონფლიქტიდან კიდევ უფრო ძლიერი და ერთიანი გამოვიდა და მზადაა დაიცვას დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი. ეს ყოველივე კი, ბევრად გაამარტივებს საქართველოს სვლას მისი კონსტიტუციით გამყარებულ ცივილიზაციური არჩევანის სივრცისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთაძე, გიორგი, 2022. „ჰიბრიდული ომის ტყვეობაში, რუსეთ-უკრაინის ომის რამდენიმე ასპექტის შესახებ“, ჟეოქეისი

<https://geocase.ge/ka/publications/763/hibriduli-omis-tyveobashi-ruset-ukrainis-omis-ramdenime-aspektis-shesakheb>

თევზაძე, დავით, 2011. „ევროპული სტრატეგიული აზროვნების ევოლუცია“, სტრატეგიული კვლევები, #3, თბილისი

Chance, Matthew and others, 2022. "Ukraine warns Russia has 'almost completed' build-up of forces near border", CNN CNN

<https://edition.cnn.com/2022/01/18/europe/ukraine-intelligence-russia-military-build-up-intl/index.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Scully, Rachel, 2021. "Ukraine defense minister warns of 'bloody massacre' if Russia invades", The Hill, <https://thehill.com/policy/international/europe/584672-ukraine-defense-minister-warns-of-bloody-massacre-if-russia/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Stewart, Phil and Humeyara Pamuk, 2022. "Russian forces at 70% of level needed for full Ukraine invasion, U.S. officials say", Reuters

<https://www.reuters.com/world/europe/russian-forces-70-level-needed-full-ukraine-invasion-us-officials-2022-02-05/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 2022 წლის 24 თებერვლის მიმართვა, რიას ახალი ამბები, <https://ria.ru/20220224/obraschenie-1774658619.html> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)



საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ბელგისპირა ქვეყნების შეიარაღების მოდერნიზაცია ყირიმის ოკუპაციიდან დღემდე

ავტორი: ტაშო კვამლაძე



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული ძალების შეჭრით, უსაფრთხოების გარემო ევროპაში შეიცვალა. კრემლი ამ ორ სუვერენულ სახელმწიფოს მათი დასავლური ორიენტაციისთვის სჯის და აგრძელებს აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, რათა რეგიონში დომინირებას მიაღწიოს, თავი წარმოაჩინოს, როგორც გლობალური ძალა და აღადგინოს კონტროლი საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრებზე. მიზნის მისაღწევად მოსკოვი კვლავ ცდილობს მის მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შეტანას. ამ პროცესის პარალელურად, საბრძოლო მოქმედებებში წარუმატებლობა უკრაინაში, იწვევს რუსული გავლენის სისტემის ეროზიას.¹ ბევრი სახელმწიფოსთვის, უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დააჩქარა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობა. ბევრგან, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, დაიწყეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღდგენა, პროფესიული სამხედრო პერსონალის გადამზადება და თანამედროვე შეიარაღების შესყიდვა.² ჯერ კიდევ 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, განსაკუთრებით ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება დაიწყეს. სწორედ, რუსეთიდან მომდინარე საფრთხის საპასუხოდ, 2014 წლის უელსის სამიტზე, ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ თავდაცვის დანახარჯს 2%-მდე გაზრდიდნენ მშპ-სთან მიმართებაში, ხოლო დანახარჯის 20%-ზე მეტს სტრატეგიულ შესყიდვებზე მიმართავდნენ.³

უსაფრთხოების გარემოს მიმოხილვა

ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც უსაფრთხოების უფრო ფართო კონტექსტის ნაწილს. გლობალიზაციის ტენდენციების, საერთაშორისო კრიზისებისა და რეგიონული დესტაბილიზაციის შედეგები სამივე სახელმწიფოზე მზარდი ინტენსივობით მოქმედებს. ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, პირდაპირი საფრთხე დამოკიდებულია ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონების უსაფრთხოების გარემოზე. შესაბამისად, უკრაინის კონფლიქტის მიერ ფორმირებული ახალი უსაფრთხოების გარემო გავლენას ახდენს მთლიანად ბალტიის რეგიონზე და ხაზს უსვამს NATO-ს წევრობის აუცილებლობას. გარდა ალიანსის კოლექტიური თავდაცვის გარანტიისა, ბალტიის ქვეყნები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ეროვნული თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის.⁴

¹ Tato Kvamldze, "Conscription in Estonia and Georgia: Lessons from and for Small-State Peers," International Centre for Defence and Security (ICDS), Policy Paper Series, March 23, 2023, 4.

² Tomas Jermalavičius, "Reinstating Conscription in Lithuania: Bringing Society Back into Defence?," in Security in the Baltic Sea Region: Realities and Prospects, ed. Andris Spruds and Māris Andžāns, The Riga Conference Papers (Riga, Latvia: Latvian Institute of International Affairs, 2017), 33–53.

³ NATO, "Wales Summit Declaration Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council," September 5, 2014, http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm.

⁴ R. D. Hooker Jr., "How to Defend the Baltic States," The Jamestown Foundation, October 2019, 54.

მანამ, სანამ უკრაინა-რუსეთის ფართომასშტაბიანი ომი არ დასრულდება, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის რუსეთის მხრიდან მათ ტერიტორიაზე კონფლიქტის გადმოდინების საფრთხე იარსებებს. თუმცა, ამის ალბათობა დაბალია, რადგანაც, ამ ქვეყნებს ძლიერი თავდაცვის შესაძლებლობები აქვთ, ან/და არიან NATO-ს წევრები. ქვეყნებისთვის, რომელთაც შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობები აქვთ, ალიანსის წევრობასა და NATO-ს ქარტიის მე-5 მუხლის უზრუნველყოფის გარანტიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალი მზადყოფნისა და თანამედროვე აღჭურვილობის მქონე მობილური ძალების განვითარება და საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება. ტალინიც, რიგაც და ვილნიუსიც აცნობიერებს, რომ კოალიციის შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობა უზრუნველყოფს და აძლიერებს თავდაცვის შესაძლებლობებს და რომ მათმა სამხედროებმა უნდა გააგრძელონ მონაწილეობა საერთაშორისო კრიზისულ ოპერაციებში, რაც ხელს უწყობს გლობალური მშვიდობის მშენებლობას და უსაფრთხოებას.

წლების მანძილზე, ამ ქვეყნების სამოქალაქო პირები და სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას იღებდნენ კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში, ლიბანსა და მალიში ჩატარებულ სამშვიდობო მისიებში, სადაც ფასდაუდებელ გამოცდილებას იღებდნენ. ასევე, სამივე სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები არიან ბალტიის ზღვაში NATO-ს საზღვაო ნაღმების გამნაღმველი დაჭკუფების ([Standing NATO Mine Countermeasures Group 1](#)) წევრები, რაც რეგიონში საზღვაო სივრცის კონტროლს უზრუნველყოფს. გარდა საზღვაო აკვატორიის უსაფრთხოებისა, ალიანსი მუდმივ პატრულირებას ახორციელებს ბალტიის რეგიონის წევრი ქვეყნების ავიაციასთან ერთად და აკონტროლებს საჰაერო სივრცეს.

როგორც აღინიშნა, ბალტიის რეგიონში რუსეთის მხრიდან პირდაპირი სრულმასშტაბიანი კონვენციური შემოჭრის შემთხვევაში, რომლის ალბათობაც დაბალია, ინდივიდუალურად შეკავება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნება. NATO-ს სამხედრო უპირატესობა და ბირთვული თავდაცვის ქოლგა შეიძლება მნიშვნელოვან შემაკავებელ ფაქტორად ჩაითვალოს ნებისმიერი მონინააღმდეგისთვის. თუმცა, შემოჭრის შემთხვევაში, სანამ NATO რეაგირებას შეძლებს, საჭირო იქნება რაღაც დროის განმავლობაში საფრთხესთან დამოუკიდებლად გამკლავება. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციის წევრობა, როგორცაა NATO. მაგრამ ასევე აუცილებელია ეროვნული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაც, რასაც მიზანმიმართულად ახორციელებენ ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა.

თავდაცვის დანახარჯის დინამიკა

ბალტიის რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების მასშტაბის (კოალიციის დამატებითი ქვედანაყოფების განთავსება, ერთობლივი სწავლებები და საჰაერო თუ საზღვაო სივრცის პატრულირება) გაძლიერების პარალელურად, რეგიონის სამივე სახელმწიფო


ავითარებს საბრძოლო შესაძლებლობებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებში, რომელიც უაღრესად მოქნილი, მობილური და ლეტალურია. ისინი აღჭურვილნი არიან მაღალი სიზუსტის, თანამედროვე და კომპლექსური სამხედრო პლატფორმებით. ბალტიისპირა ქვეყნების სამხედრო შენაერთებს შეუძლიათ მოიგერიონ მოულოდნელი თავდასხმები ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერსა და კიბერ-სივრცეში.⁵ ამის უზრუნველსაყოფად, 2004 წელს NATO-ში განწვრიანების შემდეგ, სამივე სახელმწიფომ თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა დაიწყო. ასევე, მოხდა შეიარაღების შესყიდვა, სამხედრო მოსამსახურეების გადამზადება და შეიარაღებული ძალების აღიანსთან თავსებადობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით საგრძნობი ზრდა თავდაცვის ბიუჯეტში 2008 წელს მოხდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის საქართველოში შემოჭრით. აღნიშნული, სამივე სახელმწიფოს დედაქალაქში ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ იყო აღქმული (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 1). თავდაცვის ბიუჯეტის ზრდის მორიგი ტალღა 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

2004 წელს, ბალტიის რეგიონის თავდაცვის ჯამური დანახარჯი წარმოადგენდა 700 მილიონ აშშ დოლარს, 2023 წლის მონაცემებით კი ამ მაჩვენებელმა 4.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც დაახლოებით 6-ჯერ ზრდას მოიცავს. უფრო კონკრეტულად, 2023 წელს ლიეტუვამ თავდაცვის ბიუჯეტი 2 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზარდა, რომელსაც მოსდევს ესტონეთი 1.2 მილიარდით და ლატვია 1 მილიარდით.⁶ შედარებისთვის, საქართველოს, რომლის ტერიტორიის 20% რუსეთს ოკუპირებული აქვს, იმავე წელს თავდაცვის ბიუჯეტისთვის 486 მილიონი აშშ დოლარი აქვს გამოყოფილი (მშპ-ის 1.6%).⁷ ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, აღიანსის წევრმა ზოგიერთმა ქვეყანამ თავდაცვის დანახარჯების მშპ-სთან მიმართებით 3%-მდე გაზრდის გადაწყვეტილებაც კი მიიღო.

⁵ R. D. Hooker Jr., "How to Defend the Baltic States," The Jamestown Foundation, October 2019, 54.

⁶ Stockholm International Peace Research Institute, "Military Expenditure Database," September 5, 2023, <https://milex.sipri.org/sipri>.

⁷ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, "თავი 6: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები," in "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2022, 190, <https://mof.ge/5603>.




გრაფიკული გამოსახულება 1. ბალტიისპირა ქვეყნების თავდაცვის დანახარჯი 2004-2023 წწ. (მილიონი აშშ დოლარი)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავდაცვის დანახარჯის ზრდა, რიგ შემთხვევებში, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების შემოღობა ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის ტექნოლოგიურ უნარ-ჩვევებს ავითარებს.⁸

ბოლო ათწლეულების განმავლობაში და დღესაც, რუსეთის ფედერაცია განაგრძობს სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამის მხარდაჭერას, რაც გამოწვეულია მზარდი ინვესტიციებით ახალი იარაღისა და აღჭურვილობის შექმნასა და თავდაცვის ინდუსტრიული ბაზის განვითარების კუთხით.⁹ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა 2014 წლის NATO-ს უელსის სამიტზე შეთანხმებული კრიტერიუმები - თავდაცვის დანახარჯის გაზრდა - 2018 წლიდან დაიწყეს, გარდა ესტონეთისა, რომელიც თავისი მშპ-ის 2%-ს უკვე 2014 წლიდან ხარჯავდა თავდაცვაზე (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 2).

⁸ James E. Payne and Anandi Prasad Sahu, eds., *Defense Spending and Economic Growth* (Boulder: Westview, 1993).

⁹ Eugene Kogan, "The Russian Defense Industry 1991-2008: From the Collapse of the Former Soviet Union to the Global Financial Crisis," in *The Modern Defense Industry: Political, Economic, and Technological Issues*, ed. Richard A. Bitzinger (Santa Barbara, CA: Praeger Security International/ABC-CLIO, 2009), 196–212.



გრაფიკული გამოსახულება 2. ბალტიისპირა ქვეყნების თავდაცვის დანახარჯის % მშპ-სთან მიმართებაში 2004-2023 წწ.

გარდა ალიანსის თავდაცვის ბიუჯეტის ფინანსური პოლიტიკის მოთხოვნებისა, უელსის სამიტზე კოალიციის წევრები შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დამატებით სამხედრო ქვედანაყოფებს გადაისვრიდნენ, რაც კიდევ ერთი ბერკეტია რუსეთის არმიის შეკავებისა და მისგან თავდაცვისთვის. აღნიშნული სამიტის შედეგად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მზადება დაიწყეს რუსეთის ნებისმიერი აგრესიის შეკავებისთვის.

შეიარაღების შესყიდვა

ეკონომიკური შეზღუდვებისა და იარაღის წარმოების გაძვირების გათვალისწინებით, ბალტიის ქვეყნებს არ შეუძლიათ მონინავე იარაღის სისტემები საკუთარი თავდაცვის ინდუსტრიის ხარჯზე აწარმოონ, რის შედეგადაც, იძულებულნი არიან, მათთვის საჭირო სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო პლატფორმების¹⁰ იმპორტი განახორციელონ. შესაბამისად, ყირიმის ოკუპაციის შემდგომ პერიოდში, 2022 წლის ჩათვლით, ბალტიისპირა სახელმწიფოებმა პარტნიორი ქვეყნებიდან 1.3 მილიარდ აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღება შეიძინეს (იხილეთ ცხრილი 1). ამ სამი ქვეყნიდან გამოირჩევა ლიეტუვა, რომელიც თავდაცვის სისტემების შესყიდვაზე ესტონეთსა და ლატვიაზე ორჯერ მეტს ხარჯავს.¹¹


¹⁰ David Kinsella, "Arms Transfer Dependence and Foreign Policy Conflict," *Journal of Peace Research* 35, no. 1 (1998): 7–23, <https://doi.org/10.1177/0022343398035001002>.

¹¹ Stockholm International Peace Research Institute, "Arms Transfers Database (Importer / Exporter TIV Tables)," September 6, 2023, <http://armstrade.sipri.org/armstrade/page/values.php>.

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	ჯამი
ესტონეთი	2	18	29	33	17	18	25	18	17	177
ლატვია	5	3	28	30	21	31	10	15	20	163
ლიეტუვა	2	13	28	7	8	39	97	130	98	423
	9	34	85	70	46	88	132	163	135	762

ცხრილი 1. ბალტიის ქვეყნების იარაღის იმპორტი 2014-2022 (აშშ მილიონი დოლარი)

შესყიდული თავდაცვის სისტემების უმეტესი ნაწილი, NATO-ს წევრი ქვეყნებიდან იქნა იმპორტირებული. დამატებით, იარაღის ექსპორტი არა-NATO-ს წევრი სახელმწიფოების მხრიდანაც მოხდა. კერძოდ - ისრაელიდან, ავსტრიიდან და სამხრეთ კორეიდან. ამ ქვეყნებიდან, ყველაზე დიდი რაოდენობით შესყიდულ იქნა ჯავშანტექნიკა და სარაკეტო სისტემები (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 3), რაც უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავებში იქნება განხილული.



გრამიტირებული მონაცემები 3. ბალტიისპირა ქვეყნების იარაღის იმპორტი ქვეყნების და შეიარაღების სისტემების მიხედვით 2004-2022 წწ. (მილიონი აშშ დოლარი)

ალიანსის წევრი სახელმწიფოებიდან იმპორტი მიზანშეწონილია, რათა მოხდეს მათი ინტეგრირება NATO-ს უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურაში. ეს აძლიერებს ალიანსის წევრების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობას და უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემების შენარჩუნებასა და მდგრადობას

სათადარიგო ნაწილების მიწოდებით, ინსტრუქტორებით, რემონტისა და მომსახურების მეშვეობით.


ესტონეთი - ესტონეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მისი დამოუკიდებლობის დღიდან ექმნება საფრთხე. ქვეყანა ათწლეულების განმავლობაში იყო ოკუპირებული საბჭოთა კავშირის მიერ და მისი დაშლის შემდგომ, დღემდე, კრემლი ბალტიისპირეთის რეგიონს, თავისი გავლენის სფეროს ნაწილად განიხილავს. ცივი ომის დასრულების შემდეგ, პირველი ინციდენტი ამ ორ სახელმწიფოს შორის 2007 წელს მოხდა, როდესაც რუსეთმა ესტონეთზე კიბერ შეტევების სერია განახორციელა. ამგვარი ქმედება საპასუხო რეაქცია იყო ესტონეთის NATO-სა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე. ალიანსის კოლექტიური თავდაცვის ქოლგის ქვეშ მოქცევა და კოალიციაში წვლილის შეტანის სურვილი, რუსეთიდან გაზრდილი საფრთხის შედეგად არის განპირობებული. შესაბამისად, სამხედრო პერსონალის გადამზადება და მათი რიცხოვნობის ზრდა, ესტონეთისთვის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. დღეის მდგომარეობით, ესტონეთის შეიარაღებულ ძალებში 4,000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება მუდმივ მზადყოფნაში, რაც, თავის მხრივ, სწრაფი რეაგირების ნაწილია. დამატებით 4,000 სამხედრო ირიცხება აქტიურ რეზერვში. გარდა ამისა, ესტონეთის სპეციალური დანიშნულების ინსტრუქტორების მეთაურობით, ტერიტორიული თავდაცვის 29,000-მა რეზერვისტმა გაიარა სამხედრო წვრთნა არაკონვენციური ოპერაციებისთვის. ჯამში, ესტონეთის შეიარაღებული ძალები 37,000 სამხედრო მოსამსახურეს (პროფესიული, წვევამდელი და რეზერვისტი) ითვლის, რომელთაც 48 საათში შეუძლიათ მობილიზაცია. აღსანიშნავია, რომ ესტონეთის 230,000 მოქალაქეს სამხედრო წვრთნა აქვს გავლილი (მოსახლეობის 20%) - ისინი არიან ბრძოლისუნარიანი და ირიცხებიან სამობილიზაციო რეესტრში.¹²

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა ინტერვენციამ გაამყარა ტალინის ვარაუდები. შესაბამისად, 2023 წლისთვის თავდაცვის დანახარჯი 1.2 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც სახელმწიფოს მშპ-ის 2.7%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ესტონეთმა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის შემდგომ, დიდი ყურადღება დაუთმო თავდაცვას და სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მოდერნიზაციას. ტალინმა მყისიერად უპასუხა უელსის სამიტის შეთანხმებას, რომელიც მშპ-ის 2%-ის თავდაცვაზე დახარჯვას შეეხებოდა. ეს ნიშნული 2015 წლიდან არ დანეულა. 2019 წლიდან სრულდება NATO-ს მეორე მოთხოვნა თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ის შეიარაღების შესყიდვაზე დახარჯვის შესახებ (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 4).¹³ ცივი ომის დასრულების შემდგომ, ესტონეთს საბჭოთა კავშირიდან მოძველებული შეიარაღება ერგო მემკვიდრეობით, რის განახლებასაც ორი ათეული წელია ცდილობს.¹⁴

¹² Tato Kvamladze, "Conscription in Estonia and Georgia: Lessons from and for Small-State Peers," International Centre for Defence and Security (ICDS), Policy Paper Series, March 23, 2023, 4.6.

¹³ NATO, "Defence Expenditure of NATO Countries (2014-2023)" (NATO, July 7, 2023), https://www.nato.int/cps/en/natohq/news_216897.htm.

¹⁴ International Institute for Strategic Studies, "Chapter 4: Europe," in *The Military Balance*, vol. 117 (Routledge, 2017), 98, <https://doi.org/10.1080/04597222.2017.1271205>.



გრაფიკული გამოსახულება 4. ესტონეთის თავდაცვის დანახარჯი კატეგორიების მიხედვით (2014-2023)

სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) მონაცემებით, 2014-2022 წლებში, ესტონეთის თავდაცვის სამინისტრომ 177 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების იმპორტი განახორციელა. მთავარი მომწოდებელი სახელმწიფოები არიან აშშ (15\$ მლნ), ისრაელი (12\$ მლნ.), საფრანგეთი (31\$ მლნ.), ნიდერლანდები (86\$ მლნ.) და სამხრეთ კორეა (32\$ მლნ.). შეძენილი სამხედრო აღჭურვილობა მოიცავს ჯავშანტექნიკას, საარტილერიო დანადგარებს, რაკეტებს, რადარებსა და სატრანსპორტო ვერტმფრენებს.¹⁵

ჯავშანტექნიკის უმეტესი ნაწილის იმპორტირება ნიდერლანდებიდან მოხდა, ხოლო მცირედის - ნორვეგიიდან. ჯამში, ქვეყანამ 562 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი (XA-180 და CV-90), ქვეითი საბრძოლო მანქანა (CV-9035) და სპეციალური-საინჟინრო მანქანა იყიდა. საცეცხლე მხარდაჭერის კუთხით, შეძენილ იქნა სამხრეთ კორეული წარმოების საშუალო-მანძილზე მოქმედი 36 ერთეული თვითმავალი საარტილერიო ჰაუბიცა (K-9 Thunder) და ამერიკული წარმოების შორ მანძილზე მოქმედი მაღალი სიზუსტის 6 ერთეული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (M-142 HIMARS) 864 ცალი მართვადი ჭურვითა (GMLRS) და 300 კილომეტრზე მოქმედი 6 ცალი ხმელეთი-ხმელეთი ტიპის რაკეტით (ATACMS Block-1A). აღნიშნული საარტილერიო დანადგარები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს ნებისმიერი მონინააღმდეგისთვის, რაც კარგად გამოჩნდა უკრაინა-რუსეთის კონფლიქტში. ესტონეთის თავზე ცის კონტროლისთვის, საფრანგეთისგან მოხდა საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენა. კერძოდ, 2 ერთეული საჰაერო თავდაცვის სარადარო კომპლექსი (Ground Master-400), 200 ცალი პორტატული ჰაერსაწინააღმდეგო

¹⁵ Stockholm International Peace Research Institute, "EXIM."

რაკეტით (Mistral). საფრანგეთისგან ანალოგიური შესყიდვა განახორციელა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რაც მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების გასანადგურებლად საკმაოდ ეფექტური პლატფორმაა. ფრანგული წარმოების სისტემების გარდა, ტალინმა პოლონეთისგან შეიძინა 300 ხელით გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა (Piorun), რომელიც ტაქტიკურ დონეზე, ქვედანაყოფების საშუალო სიმაღლეზე დაცვას უზრუნველყოფს.

პოტენციური მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად ესტონეთმა ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა. ამერიკიდან და ისრაელიდან თანამედროვე, მაღალი სიზუსტის 968 ხელით გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემა (Spike SR/MR/LR და Javelin) იქნა შეძენილი, რომელიც დღევანდელ ბაზარზე უკონკურენტოა. დამატებით, მოხდა 40 ერთეული ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის შეძენაც ისრაელიდან (Spike-NLOS და Blue Spear), რომელიც დამონტაჟებულია ამერიკული წარმოების ჯავშანმანქანებზე (M-ATV).¹⁶

ზემოაღნიშნული თავდაცვის პლატფორმების შეძენა ესტონეთის ძალისხმევის ნაწილია რუსეთის შეკავებისა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა განსაკუთრებით მოწყვლადები არიან კრემლის აგრესიის მიმართ - მათ რუსეთთან 800 კილომეტრიანი სახმელეთო საზღვარი აკავშირებთ ყოველგვარი გეოგრაფიული დაბრკოლების გარეშე. შეიარაღებული ძალების აქტიური მოდერნიზაციით ესტონეთი ზრდის საკუთარ ბრძოლისუნარიანობას, რითიც, ალიანსის კოლექტიური თავდაცვის ამოქმედებამდე, შესაძლებელს ხდის დამოუკიდებლად, გარკვეული დროის მანძილზე შეაკავოს თავისზე ძლიერი მოწინააღმდეგე.


ლატვია - ლატვიის სტრატეგიული მდებარეობა მას მოწყვლადს ხდის აღმოსავლეთ საზღვრიდან სახმელეთო ჯარების შემოჭრის მიმართ, რადგან მასაც, ისევე როგორც ესტონეთს, რუსეთის მომიჯნავედ არ გააჩნია გეოგრაფიული დაბრკოლებები. უკრაინის ომმა კიდევ უფრო გაზარდა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხე ლატვიის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის. საქართველოსა და უკრაინაში სამხედრო ინტერვენციამ აჩვენა, რომ კრემლი მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალა თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ცივი ომის დროინდელი სტატუს-კვოს აღსადგენად. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, გაიზარდა თავდაცვის ხარჯები და თავდაცვის სფეროში ალიანსის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობა გაღრმავდა. შესაბამისად, 2023 წლისთვის თავდაცვის ასიგნები 1 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (მშპ-ის 2.3%), რაც უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მოდერნიზაციისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისკენ. შეიარაღების განახლების გარდა, ლატვიის არმიაში სამხედრო პერსონალის ზრდაც შეინიშნება. კერძოდ, 2014 წელს სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 4,600-დან 8,750-მდე გაიზარდა. ხოლო ტერიტორიული თავდაცვის რეზერვისტთა რიცხვი 11,200-მდე გაიზარდა.¹⁷ 2015 წლის შემდეგ,

¹⁶ Stockholm International Peace Research Institute, "Arms Transfers Database (Trade Registers)," September 7, 2023, http://armstrade.sipri.org/armstrade/page/trade_register.php.

¹⁷ International Institute for Strategic Studies, "ISS," 123.

ლატვიის საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობს დებატები სავალდებულო სამსახურის სრულ აღდგენაზე. ამ ეტაპზე, ლატვია ინარჩუნებს სრულად პროფესიონალურ სამხედრო ძალებს და ყურადღებას ამახვილებს ნებაყოფლობითი ტერიტორიული თავდაცვის ძალების გაძლიერებაზე.¹⁸

მშპ-სთან მიმართებით თავდაცვის ბიუჯეტის 2%-იან და შეიარაღების შესყიდვების 20%-იან ნიშნულებს ლატვიამ 2018 წელს მიაღწია და მათ დღემდე ინარჩუნებს (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 5). ესტონეთის მსგავსად, აღნიშნული ცვლილება განაპირობა ევროკავშირის უსაფრთხოების გარემოს ცვლილებამ, რაც რუსეთის ფედერაციიდან მზარდი საფრთხის შედეგია. ბოლო 10 წლის მანძილზე, რიგამ პარტნიორი ქვეყნებიდან 163 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღება შეიძინა.



გრაფიკული გამოსახულება 5. ლატვიის თავდაცვის დანახარჯი კატეგორიების მიხედვით (2014-2023)

როგორც ყველა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოსთვის, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის აუცილებლობა დღის წესრიგში ლატვიისთვისაც დგას. მოძველებული და ცივი ომის პერიოდის შეიარაღების ჩანაცვლება NATO-ში ინტეგრაციის შემდეგ აქტიურად დაიწყო. 2014-2022 წლებში, ყველაზე მსხვილი შესყიდვები აშშ-დან (68\$ მლნ.) და დიდი ბრიტანეთიდან (41\$ მლნ.) განხორციელდა, რომლებსაც მოსდევს ავსტრია (24\$ მლნ.), ისრაელი (12\$ მლნ.), შვედეთი (9\$ მლნ.), გერმანია (5\$ მლნ.), ფინეთი და დანია 2-2 მილიონი აშშ დოლარით.¹⁹ ტალინის

¹⁸ Tomas Jermalavičius, "To Draft or Not to Draft: Defence Policy Choices in Lithuania and Latvia," International Centre for Defence and Security (ICDS), Commentaries, February 14, 2017, <https://icds.ee/en/to-draft-or-not-to-draft-defence-policy-choices-in-lithuania-and-latvia/>.

¹⁹ Stockholm International Peace Research Institute, "EXIM."

მსგავსად, რიგამაც შეიძინა თანამედროვე ტიპის სატრანსპორტო ვერტმფრენები, ჯავშანტექნიკა, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები, საჰაერო თავდაცვის რადარები და საზღვაო ხომალდები.

ყველაზე პრიორიტეტული სამხედრო შესაძლებლობა, რომელშიც ინვესტიციების უმეტესი ნაწილი დაიხარჯა, საჰაერო თავდაცვის სისტემებია. აღნიშნული სისტემები მოიცავს ამერიკული და შვედური წარმოების 9 საჰაერო სივრცის დაზვერვისა და თვალთვალის სარადარო კომპლექსებს (MPQ-64 Sentinel, TPS-77 და Giraffe-1X) და 150 ცალ ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტას (RBS-70), რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე მონინააღმდეგის საფრენი აპარატების განადგურება. ისევე როგორც ესტონეთის და ლიეტუვის შემთხვევაში, ეს სისტემები მიერთებულია NATO-ს ერთიანი საჰაერო თავდაცვის (C3) არქიტექტურას. დამატებით, განხორციელდა 50 ტაქტიკური დონის ხელით გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტის (Stinger) იმპორტი, რისი მეშვეობითაც, საბრძოლო თეატრში ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვა მოხდება. ჰაერიდან მომავალი საფრთხეების განეიტრალების გარდა, ხმელეთიდან შემოსული პოტენციური მონინააღმდეგის შესაჩერებლად, ლატვიამ დიდი ბრიტანეთიდან და ფინეთიდან მნიშვნელოვანი სახმელეთო პლატფორმები შეიძინა. კერძოდ, ბრიტანული წარმოების 90 ერთეული მსუბუქი ტანკი (Scimitar) და 115 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა (Spartan), ხოლო ფინეთიდან - 200 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი (Patria 6x6). დამატებით, 250 ერთეული მოკლე, საშუალო და შორ მანძილზე მოქმედი მაღალი სიზუსტის და ჯავშანგამტანობის პორტატული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის (Spike SR/MR/LR/ER) შესყიდვა მოხდა ისრაელიდან. რაც შეეხება საცეცხლე მხარდაჭერას, ავსტრიიდან შეძენილ იქნა 350 კილომეტრზე მოქმედი 47 ერთეული თვითმავალი ჰაუბიცა (M-109A5) და ამერიკიდან 6 ერთეული სარაკეტო საარტილერიო სისტემა (M-142 HIMARS), რაც ლატვიის შეიარაღების მარგალიტი და ნებისმიერი მონინააღმდეგისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ასევე, შეძენილ იქნა 4 ერთეული ამერიკული სატრანსპორტო ვერტმფრენი (S-70 Black Hawk) და გერმანული საპატრულო საზღვაო კატარლა (SWATH-125t).²⁰ მცირე დროში შეძენილი თანამედროვე სამხედრო სისტემებით, ლატვიის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები, ესტონეთთან ერთად, მნიშვნელოვან სამხედრო ძალას ქმნის ბალტიისპირეთის რეგიონში რუსეთის არმიის შესაკავებლად და ტერიტორიის დასაცავად.


ლიეტუვა - ბალტიის რეგიონის სამი სახელმწიფოდან, ყველაზე გამორჩეული და გამალებული შეიარაღების ლიდერი ლიეტუვაა. ის ესტონეთთან და ლატვიასთან შედარებით, თითქმის ორჯერ მეტს ხარჯავს თავდაცვაზე და შესაბამისად, შეიარაღებული პლატფორმების შესყიდვის კუთხითაც. 2015 წელს, ლიეტუვამ მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება, აღედგინა სამხედრო სავალდებულო სამსახური, რომელიც 2008 წელს შეაჩერა. აღნიშნული რეფორმით, ლიეტუვის შეიარაღებული ძალები ორსაფეხურიანი (შერეული წვევამდელი და საკონტრაქტო სამხედრო პერსონალი) ძალების ფორმატს დაუბრუნდა.²¹ ვილნიუსმა განვევის

²⁰ Stockholm International Peace Research Institute, "Arms Trade."

²¹ Jermalavičius, "Reinstating Conscript in Lithuania: Bringing Society Back into Defence?," 33.

აღდგენით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საკუთარი ტერიტორიების დასაცავად და ბრძოლისუნარიანობის გასაზრდელად. ხოლო თავის მოკავშირეებსა და პარტნიორებს მტკიცე პოლიტიკური გზავნილი გაუკეთა.²²

დღევანდელი მონაცემებით, ლიუტუვის შეიარაღებულ ძალებში 23,000 სამხედრო მოსამსახურე და 7,100 აქტიური რეზერვისტი მსახურობს.²³ ლიუტუვის საზღვართან რუსეთის სამხედრო შენაერთების განთავსებით და სისტემატიური სახის სამხედრო წვრთნების ჩატარებით, ვილნიუსს გაცნობიერებული აქვს რუსეთის ექსპანსიური სამხედრო პოლიტიკის საფრთხე. შესაბამისად, საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად, ყირიმის ოკუპაციიდან დღემდე, მან გააოთხმაგა სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 427 მილიონი აშშ დოლარიდან, 2 მილიარდამდე გაიზარდა. რაც შეეხება 2%-იან ნიშნულს მშპ-სთან მიმართებაში, ლიუტუვამ ამ მიზანს 2018 წელს მიაღწია, ხოლო შეიარაღების შესყიდვაზე თავდაცვის დანახარჯის 20%-იან ზღვარს - 3 წლით ადრე, 2015 წელს, (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 6), რომელსაც დღემდე ინარჩუნებს.²⁴



გრაფიკული გამოსახულება 6. ლიუტუვის თავდაცვის დანახარჯი კატეგორიების მიხედვით (2014-2023)

აღნიშნულიდან, შეიარაღების იმპორტირებაზე ბოლო 8 წლის განმავლობაში 423 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. შეიარაღებული სისტემების ყველაზე გამორჩეული მომწოდებელი გერმანიაა, რომელმაც 175 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების იარაღი მიაწოდა ლიუტუვას. მას მოსდევს აშშ 131 მილიონი აშშ დოლარის

²² Pauli Järvenpää, "Preparing for the Worst: Conscription and Reserve Forces in the Nordics," International Centre for Defence and Security, Preparing for the Worst, October 2016, 8.

²³ International Institute for Strategic Studies, "IIS," 124.

²⁴ Stockholm International Peace Research Institute, "MILEX."

ღირებულების იარაღით, ხოლო მომდევნო მიმწოდებლები არიან ნორვეგია (50\$ მლნ.), ისრაელი (34\$ მლნ.) და სხვა ევროპული სახელმწიფოები.²⁵ აღნიშნული ქვეყნებიდან ლიეტუვამ სხვადასხვა სახის საბრძოლო პლატფორმები შეიძინა, როგორებიცაა ჯავშანტექნიკა, საარტილერიო დანადგარები, ვერტმფრენები, საზღვაო ხომალდები, საჰაერო თავდაცვის სისტემები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა. შეიარაღების შესყიდვების პარალელურად, ლიეტუველი სამხედროები წვრთნასა და მომზადებას გადიან, რათა უზრუნველყონ ოფიცრებისა და სერჟანტების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი შეიარაღებული სისტემების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ჯავშანტექნიკის მხრივ, ლიეტუვამ აშშ-ისგან შეიძინა 500 ერთეული მრავალ-ფუნქციური მსუბუქად დაჯავშნული მანქანა (L-ATV), ხოლო გერმანიისგან - 190 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი (M-113) და 90 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა (Boxer), რომლებზეც დამონტაჟდა ისრაელიდან შეძენილი ავტომატურად მართვადი კომპურები (Samson RCWS-30). თანამედროვე ტიპის ჯავშანტექნიკის იმპორტით ლიეტუვამ გააძლიერა მექანიზირებული შენაერთების მანევრირებისა და მობილურობის შესაძლებლობები. დამატებით, ლიეტუვის ქვედანაყოფები კონტრმობილურობის კუთხითაც გაძლიერდა, აშშ-დან 730 ერთეული (FGM-148 Javelin) და ისრაელიდან 1000 ერთეული (Spike-MR/LR) იმპორტირებული პორტატული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემების მეშვეობით. ლიეტუვის შეიარაღებულ ძალებში ასევე მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება საცეცხლე მხარდაჭერის მხრივ. კერძოდ, აშშ-დან შეძენილ იქნა 8 ერთეული მაღალი სიზუსტის რეაქტიული საარტილერიო დანადგარი (M-142 HIMARS), რომელსაც კომპლექტში მოჰყვა 18 ცალი ხმელეთი-ხმელეთი ტიპის შორ მანძილზე მოქმედი რაკეტა (ATACMS Block-1A) და 864 ერთეული მართვადი ჭურვი (GMLRS). გარდა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებისა, საფრანგეთიდან შეძენილ იქნა 18 ერთეული (CAESAR) და გერმანიიდან 18 ერთეული 155 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი. დამატებით, ქვეითი ქვედანაყოფებისთვის ახლო მანძილზე ეფექტური საცეცხლე მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა 10 ბუქსირებადი და 46 თვითმავალი 120 მმ-იანი ნაღმტყორცნი. ესტონეთის და ლატვიის საჰაერო თავდაცვის სისტემას უფრო მეტად აძლიერებს ნორვეგიიდან შეძენილი მაღალი სიზუსტის საშუალო მანძილზე მოქმედი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის (NASAMS-2) 2 კომპლექსი, ამერიკიდან იმპორტირებულ 2 ერთეულ რადარსა (MPQ-64 Sentinel) და 100 კმ-ზე მოქმედ 150 ცალ ხმელეთი-ჰაერი ტიპის რაკეტასთან (AIM-120 AMRAAM) ერთად. სამი ბალტიისპირა სახელმწიფოს ერთიანი საჰაერო თავდაცვის ქოლგა ქმნის მნიშვნელოვან ზღუდეს აღმატებული ძალის მქონე მოწინააღმდეგის საჰაერო ოპერაციების წინააღმდეგ. გარდა ჰაერის სტრატეგიული და ოპერატიული კონტროლისა, ქვედანაყოფების ტაქტიკური დონის საჰაერო თავდაცვისთვის, ლიეტუვამ შვედეთიდან შეიძინა 220 ერთეული პორტატული ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემა (RBS-70 Mk-3 Bolide) და 80 ხელით გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსი (Grom-2). დამატებით, საბრძოლო და საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებიც იქნა იმპორტირებული - აშშ-დან 4

²⁵ Stockholm International Peace Research Institute, "EXIM."

ერთეული (S-70 Black Hawk) და საფრანგეთიდან 3 ერთეული (AS365/AS565 Panther). დანიიდან (StanFex-300) და დიდი ბრიტანეთიდან (MCM Hunt), თითო-თითო საზღვაო პლატფორმის იმპორტი განახორციელდა.²⁶

ზემოთ აღნიშნული თანამედროვე სამხედრო ტექნიკის შეძენით, ლიეტუვის შეიარაღებული ძალები, ესტონელებთან და ლატვიელებთან ერთად, ანგარიშგასაწევი ძალა გახდა რუსეთის პოტენციური სამხედრო შეჭრის აღმოფხვრისა და შეკავებისთვის.

დასკვნა

საქართველოსა და უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის შედეგად რუსეთის ფედერაციამ რეგიონული უსაფრთხოების გარემოს დესტაბილიზაცია მოახდინა. მოსკოვის ამბიციას, აღადგინოს კონტროლი საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრებზე და დაიბრუნოს გლობალური ძალის სტატუსი. აღნიშნული რევიზიონისტული პოლიტიკა NATO-ს წევრი ქვეყნების, მათ შორის, ბალტიის რეგიონისა და სხვა მეზობელი ქვეყნების საზღვრებთან სამხედრო ძალების განლაგების ერთ-ერთი საფუძველია. რუსეთის ხელისუფლება უკვე ათწლეულზე მეტია, რაც პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებს ბალტიის რეგიონის საზღვრებთან, მათ შორის, საჰაერო სივრცის დარღვევით, აგრესიული სამხედრო წვრთნებითა და ბირთვული შანტაჟით.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრა და მისი ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილის ოკუპაცია უზარმაზარ საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობასა და უსაფრთხოებას. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ალიანსის მხრიდან კოლექტიური თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის რუსეთის საზღვართან განთავსებული სამხედრო ქვედანაყოფების რაოდენობის ზრდით. ამის ფონზე, ბალტიისპირა სახელმწიფოებისთვის არსებითია ეროვნული დონის სამხედრო შესაძლებლობების განვითარება, რაც მათ საშუალებას მისცემს, საწყის ეტაპზე, კოლექტიური თავდაცვის სისტემის ამოქმედებამდე, შეაკავონ და შეაჩერონ მოწინააღმდეგის ინტერვენცია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამხედრო დანახარჯის ზრდა, თანამედროვე შეარაღებული სისტემების შესყიდვა და გაერთიანებული და კომბინირებული სამხედრო წვრთნები სწორედ ამ მიზანს ემსახურება, და შედეგად, მნიშვნელოვნად ზრდის ბალტიისპირა ქვეყნების უსაფრთხოებას.

²⁶ Stockholm International Peace Research Institute, "Arms Trade."

გამოყენებული ლიტერატურა

Hooker Jr., R. D. "How to Defend the Baltic States." The Jamestown Foundation, October 2019, 54.

Järvenpää, Pauli. "Preparing for the Worst: Conscription and Reserve Forces in the Nordics." International Centre for Defence and Security, Preparing for the Worst, October 2016, 17.

Jermalavičius, Tomas. "Reinstating Conscription in Lithuania: Bringing Society Back into Defence?" In Security in the Baltic Sea Region: Realities and Prospects, edited by Andris Sprūds and Māris Andžāns, 33–53. The Riga Conference Papers. Riga, Latvia: Latvian Institute of International Affairs, 2017.

— — —. "To Draft or Not to Draft: Defence Policy Choices in Lithuania and Latvia." International Centre for Defence and Security (ICDS), Commentaries, February 14, 2017. <https://icds.ee/en/to-draft-or-not-to-draft-defence-policy-choices-in-lithuania-and-latvia/>.

Kinsella, David. "Arms Transfer Dependence and Foreign Policy Conflict." Journal of Peace Research 35, no. 1 (1998): 7–23. <https://doi.org/10.1177/0022343398035001002>.

Kogan, Eugene. "The Russian Defense Industry 1991-2008: From the Collapse of the Former Soviet Union to the Global Financial Crisis." In The Modern Defense Industry: Political, Economic, and Technological Issues, edited by Richard A. Bitzinger, 196–212. Santa Barbara, CA: Praeger Security International/ABC-CLIO, 2009.

Kvamladze, Tato. "Conscription in Estonia and Georgia: Lessons from and for Small-State Peers." International Centre for Defence and Security (ICDS), Policy Paper Series, March 23, 2023, 16.

Payne, James E., and Anandi Prasad Sahu, eds. Defense Spending and Economic Growth. Boulder: Westview, 1993.

International Institute for Strategic Studies. "Chapter 4: Europe." In The Military Balance, 117:65–168. Routledge, 2017. <https://doi.org/10.1080/04597222.2017.1271205>.

NATO. "Defence Expenditure of NATO Countries (2014-2023)." NATO, July 7, 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_216897.htm.

— — —. "Wales Summit Declaration Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council," September 5, 2014. http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm.

Stockholm International Peace Research Institute. "Arms Transfers Database (Importer / Exporter TV Tables)," September 6, 2023. <http://armstrade.sipri.org/armstrade/page/values.php>.

— — —. "Arms Transfers Database (Trade Registers)," September 7, 2023. http://armstrade.sipri.org/armstrade/page/trade_register.php.

— — —. "Military Expenditure Database," September 5, 2023. <https://milex.sipri.org/sipri>.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. "თავი 6: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები." In "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2022." <https://mof.ge/5603>.



საერთაშორისო სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

NATO-ს შეკავების პოლიტიკის შრანსწორება

ავტორი: ნინო ლეჟავა



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის მთავარ იდეას პოტენციური საფრთხის - საბჭოთა კავშირის შეკავება წარმოადგენდა. თუმცა, ეს მიდგომა გარკვეულწილად ვიწრო ქრილში წარმოაჩენს ალიანსის ფუნქციას, ვინაიდან მისი დაარსება გაცილებით გრძელვადიან და ფართომასშტაბიან ძალისხმევას ემსახურებოდა.¹ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის კონტინენტზე ყოფნით და ევროპული ინტეგრაციის განმტკიცებით, საბჭოთა ექსპანსიონიზმის გარდა, NATO-ს ასევე თავიდან უნდა აეცილებინა ნაციონალისტურ-მილიტარისტული გამოღვიძება ევროპაში.

„სიფხიზლე თავისუფლების საფასურია“ - ეს სიტყვები NATO-ს სამხედრო შტაბ-ბინის (SHAPE) გერბზეა გამოსახული და მის პირველ ხელმძღვანელს, ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლეს მეთაურს (SACEUR), გენერალ ეიზენჰაუერს ეკუთვნის. თუმცა ალიანსის სიფხიზლის ფონზე, რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკამ თავისუფლად განიცადა უარყოფითი მეტამორფოზა. შედეგად, NATO-ს დაარსებიდან 73-ე წელს, 2022 წლის 24 თებერვალს, მოკავშირეებმა ცხადად იხილეს საერთაშორისო ნორმების სრულიად უგულებელმყოფელი, თანამედროვე რუსეთი. ამან საბოლოოდ განაპირობა ალიანსის შეკავების პოლიტიკის ცვლილება.

დღესდღეობით, NATO მზარდი, კომპლექსური უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგას.² რუსეთის აგრესიული ომი ვნებს არამხოლოდ უკრაინას, არამედ ემუქრება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურას და საერთაშორისო ლიბერალურ წესრიგს. არსებული მოცემულობა მოითხოვს ალიანსის რესურსების სწრაფ და ეფექტიან მობილიზებას და მოქმედებას საფრთხეების შეკავებისათვის.

¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "Short History of NATO", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_139339.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

² North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Deterrence and Defense", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

საგარეო-პოლიტიკური კურსის და

სტრატეგიული დოკუმენტების ცვლილება

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, NATO მუდმივად ცდილობდა ოფიციალურ მოსკოვთან პარტნიორული ურთიერთობებისა და დიალოგის ფორმატის შექმნას, თუმცა რუსეთის მიერ მის მეზობელ ქვეყნებზე განხორციელებული არაერთი უკანონო აგრესიის შემდგომ, ალიანსი იძულებული გახდა თანმიმდევრული ნაბიჯები გადაედგა.³ შეიცვალა რუსეთის სტატუსი NATO-ს სტრატეგიულ დოკუმენტებში, ისევე როგორც, ალიანსის პოზიცია თავდაცვის პოლიტიკის კუთხით.

ახალი რეალობის გათვალისწინებით, "NATO-ს 2022 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში", ალიანსის ისტორიაში პირველად, რუსეთი დასახელდა მთავარ საფრთხედ ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების, მშვიდობისა და სტაბილური განვითარებისთვის.⁴ შესაბამისად, კონცეფციაში აისახა ორგანიზაციის კურსის ცვლილება და გამოიკვეთა ორი მიდგომა - „შეკავება ხისტი უარყოფით“ (Deterrence by Denial), რომელიც გამოირიცხავს მოწინააღმდეგის მიერ NATO-ს ტერიტორიების ოკუპაციას და „მოწინავე თავდაცვა“ (Forward Defence). აღნიშნული მიუთითებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომმა მოკავშირეები აიძულა თანამედროვე კონვენციური და ჰიბრიდული ომის პირობებში, გადაეხედათ თავდაცვის შესაძლებლობებისა და პოლიტიკისთვის.⁵

სხვაობა ასევე შესამჩნევია, NATO-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასა (2022) და მის წინამორბედ დოკუმენტს (2010) შორის, რომელიც ლისაბონის სამიტზე იქნა მიღებული. 2022 წლის კონცეფცია ეყრდნობა 360 გრადუსიან მიდგომას და განსაზღვრავს ალიანსის სამ ძირითად ამოცანას: შეკავება და თავდაცვა, კრიზისების პრევენცია და მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხოება.⁶ 2010 წლის NATO-ს სტრატეგიული კონცეფცია კი, კოლექტიურ თავდაცვაზე, კრიზისების მენეჯმენტსა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების საკითხებზე ფოკუსირდება. ფაქტია, რომ ათწლეულის შემდგომ, ალიანსის ხედვისა და სტრატეგიის მთავარ კომპონენტს და ცვლილებას - შეკავებისა და თავდაცვის გაძლიერება წარმოადგენს.⁷

NATO-ს სტრატეგიული კონცეფციის გარდა, არსებობს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სადაც ასახულია ალიანსის პოლიტიკის და სტრატეგიის სახეცვლილება, ესენია:

³ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "Relations with Russia", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50090.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁴ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Deterrence and Defense", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁵ Jankowski, Dominik, 2023. "Russia's war has changed NATO's learning curve" - New Eastern Europe Magazine, Hot Topics Issue 3-4 <https://neweasterneurope.eu/2023/07/04/russias-war-has-changed-natos-learning-curve/?fbclid=IwAROT1HTgPgMsZMqdnGziA6vMJ2kf9x-p4X0TUKEv9-RS-X8Lmck1JLZHYNQ> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁶ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022, NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁷ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2010, NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_82705.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

- „ევრო-ატლანტიკური არეალის შეკავებისა და თავდაცვის კონცეფცია“,⁸ რომელიც ფოკუსირდება მიმდინარე საფრთხეებზე და მათი შეკავების მიზნით, მოკავშირეთა ძალების გამოყენებაზე. იგი 2020 წლის ივნისში იქნა მიღებული.
- „NATO-ს ომის წარმოების ფუძემდებელი კონცეფცია“, (NATO Warfighting Capstone Concept) რომელიც წარმოადგენს ალიანსის გრძელვადიან ხედვას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ალიანსის სამხედრო შესაძლებლობები 2040 წლამდე.⁹ დოკუმენტი 2021 წელს იქნა მიღებული.¹⁰

„ევრო-ატლანტიკური არეალის შეკავებისა და თავდაცვის კონცეფცია“ აფასებს ცივი ომის შემდგომ, თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების მახასიათებლებსა და უსაფრთხოების გარემოს.¹¹ იგი წარმოადგენს NATO-ს პრაქტიკულ გზამკვლევს კოლექტიური თავდაცვის სისტემების მოდერნიზებისა და რუსეთის შეკავების პოლიტიკისთვის.¹² დოკუმენტის თანახმად, NATO-ს თანამედროვე სტრატეგიული შეკავება მოიცავს ალიანსის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე სრულ კონტროლს, წევრი ქვეყნების კოორდინირებული ქმედებებით. კონცეფცია აერთიანებს ეროვნული დონის თავდაცვის მიდგომებს და ძალთა დაგეგმვას, განსაზღვრავს თითოეული მოკავშირის ინდივიდუალური თავდაცვის გეგმასა და ოპერაციებს, რომლებიც მშვიდობიანობის, კრიზისულ და კონფლიქტურ ვითარებებში უნდა ჩატარდეს. კონცეფციის თანახმად „ალიანსის პასუხისმგებლობის არეალი“ (AOR), აერთიანებს 31 ქვეყანას, ერთ მილიარდ ადამიანს და მსოფლიოს ტერიტორიის 8 %-ს. რაც NATO-ს 360 გრადუსიანი მიდგომის თანახმად, ერთ მთლიან, სტრატეგიულ თავდაცვის სივრცედ განიხილება.

„ევრო-ატლანტიკური არეალის შეკავებისა და თავდაცვის კონცეფციამ“ წვლილი შეიტანა ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებაში და მხარი დაუჭირა ორგანიზაციის მრავალგანზომილებიანი სამხედრო აქტივობების განხორციელებას შეკავების კუთხით.

რაც შეეხება „NATO-ს ომის წარმოების ფუძემდებელ კონცეფციას“, იგი ალიანსის გრძელვადიან ჭრილში პოზიციონირებაზეა ორიენტირებული, რათა მან დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის ფონზე დანინაურება შეძლოს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მიუხედავად საბრძოლო მეთოდების და რესურსების სახეცვლილებისა, უკრაინაზე რუსეთის მიერ განხორციელებულმა უკანონო თავდასხმამ ცხადყო, რომ სამხედრო ძალა რჩება მთავარ იარაღად. შესაბამისად, სამხედრო ბიუჯეტის ზრდისა და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის პარალელურად, მოკავშირეები მზად უნდა იყვნენ ტრადიციული, კონვენციური ომის წარმოებისთვის.

⁸ Covington, Stephen, 2023. "Concept for Deterrence and Defense of the Euro-Atlantic Area (DDA)", Harvard Kennedy School Belfer Center for Science and International Affairs, Analysis and Opinions, <https://www.belfercenter.org/publication/natos-concept-deterrence-and-defence-euro-atlantic-area-dda> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

⁹ Ibid;

¹⁰ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2021. NATO Warfighting Capstone Concept, Allied Command Transformation - NATO's Strategic Warfare Development Command, <https://www.act.nato.int/our-work/nato-warfighting-capstone-concept/>, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹¹ Ibid;

¹² Ibid;

შეკავება მავთულხლართებიდან

დეტონატორამდე - ალიანსის აღმოსავლეთ

ფლანგი

ცივი ომის პერიოდში და შემდგომ, NATO-მ მოკავშირეების უსაფრთხოების გარანტიებიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური დაძაბულობის არეალებში შეზღუდული რაოდენობის შეიარაღებული ძალები განათავსა. ქვედანაყოფების რაოდენობიდან და მათი აღჭურვის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, არსებული მექანიზმის შექმნის მთავარ იდეას მონინაალმდეგის გაფრთხილება და შეკავება წარმოადგენდა, კონკრეტული გზავნილით - თავდასხმა ერთ მოკავშირეზე აღიქმებოდა როგორც იერიში მთლიან ალიანსზე, რასაც საპასუხო ქმედება მოკავშირეთა გაერთიანებული ძალებით მოყვებოდა. ამავდროულად, ქვედანაყოფების მცირე მასშტაბი ხელს უწყობდა უსაფრთხოების დილემის თავიდან აცილებას. NATO მზად იყო თავდაცვისთვის, თუმცა კრიზის გამწვავება არ სურდა.¹³ ქვედანაყოფისთვის დასმული ამოცანა ფაქტობრივად გამორიცხავდა პოტენციურ საფრთხეზე თავდასხმას. უკიდურეს შემთხვევაში, მისი ფუნქცია იერიშის მოგერიება და სრულმასშტაბიანი საპასუხო მოქმედებებისთვის ღრობის მოგება წარმოადგენდა. აღნიშნულ მიდგომას „მავთულხლართების სტრატეგია“ ეწოდება, რომელიც მონინაალმდეგისთვის მცირე რესურსით, ფართომასშტაბიანი გზავნილის მიწოდებას ისახავს მიზნად.¹⁴ სტრატეგია აშშ-ის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. ერთ-ერთ ასეთი მექანიზმი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ბრიგადის დასავლეთ ბერლინში განთავსება იყო, რათა საბჭოთა ჯარები შეეკავებინა. ქვედანაყოფის ზომიდან გამომდინარე, საბჭოთა თავდასხმის შემთხვევაში, ბრიგადა ტერიტორიას პრაქტიკულად ვერ დაიცავდა, თუმცა გზავნილს გაცილებით მძლავრი ეფექტი ჰქონდა.¹⁵ ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევას აუცილებლად მოჰყვებოდა სრულმასშტაბიანი საპასუხო ქმედება, რაც მონინაალმდეგეს ასიმეტრიულ ზარალს მიაყენებდა.¹⁶

NATO-ს თავდაცვის და შეკავების პოლიტიკის ფარგლებში, მავთულხლართების სტრატეგიის ხელახალი გააქტიურება 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიამ განაპირობა. ყირიმში განვითარებულმა მოვლენებმა, ბალტიის ზღვის რეგიონში განგაში გამოიწვია.¹⁷ შედეგად, 2015 წლის მაისში, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ერთხმად მიმართეს NATO-ს, რათა მათ ტერიტორიებზე „ბერლინის ბრიგადის“ მსგავსი, მრავალეროვნული ქვედანაყოფები დისლოცირებულიყვნენ, რაც უარყოფითი სცენარის განვითარების შემთხვევაში, ალიანსის კონფლიქტში

¹³ Euronews, What is NATO's 'tripwire' strategy and is it still relevant today?, Published on 07 Mar, 2023. What is NATO's 'tripwire' strategy and is it still relevant today? | Euronews (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹⁴ Ibid;

¹⁵ Swink, Sonya, 2018. "The wiretapping that changed the Cold War", The Defense Post, (August), <https://www.thedefensepost.com/2018/08/16/book-wiretapping-changed-cold-war/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023);

¹⁶ Ibid;

¹⁷ ლევაკა, ნინო, 2019. „ბალტიის ზღვის რეგიონი NATO-ს შეკავების პოლიტიკის წინა ხაზზე“, ჟურნალი დიპლომატი, მარტი,

ავტომატურად ჩართვას გამოიწვევდა.¹⁸ საპასუხოდ, ალიანსმა განათავსა ლოგისტიკური ბაზები შესაბამისი აღჭურვილობით, რომელთაც, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ ჯარების განთავსება. ამავდროულად, NATO-მ შექმნა მონინავე ჯგუფი, სწრაფი რეაგირების ძალები, რომელსაც 2 დღის განმავლობაში 800-მდე ჯარისკაცის მობილიზება შეეძლო, ხოლო ერთი კვირის მანძილზე - 7000 სამხედრო პირის. ეს იყო პირველი გამაფრთხილებელი გზავნილი მოსკოვისთვის.¹⁹

აღნიშნულ ინიციატივამდე, ასევე დამტკიცებული იყო NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგის განმტკიცების პრაქტიკული მექანიზმი მზადყოფნის სამოქმედო გეგმის (Readiness Action Plan) სახით. იგი მოიცავდა ბალტიისპირეთში საჰაერო და საზღვაო პატრულირებას და უზრუნველყოფდა მოკავშირეების სამხედრო ძალების როტაციით, მაგრამ უწყვეტად ყოფნას. 2015 წლიდან, რეგიონში განთავსებულნი იყვნენ NATO-ს ძალების ინტეგრაციის ქვედანაყოფებიც (NATO Force Integration Units). თუმცა, ეს ყოველივე არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მოსკოვს მოცემულობა გაეთავისებინა. მეტიც, რუსეთის საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა და 2016 წლის ოქტომბერში, რუსეთმა ბირთვული პოტენციალის მქონე, ისკანდერიის ტიპის სარაკეტო კომპლექსები კალინინგრადში განათავსა.

მოვლენების აგრესიულმა განვითარებამ ცხადყო, რომ ალიანსს უსაფრთხოების გამონწვევებთან სწრაფი ადაპტაციისათვის მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სჭირდებოდა, ამიტომ ბალტიისპირეთი მისი მოწყვლადი მახასიათებლებიდან გამოდინარე, NATO-ს შეკავების პოლიტიკის ფრონტად იქცა.

2016 წლის NATO-ს ვარშავის სამიტზე მიღებული იქნა ისტორიული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, 2017 წლიდან დაარსდა სამხედრო მისია „გაძლიერებული მონინავე ჩართულობა“²⁰ (NATO Enhanced Forward Presence (eFP)). კერძოდ, ბატალიონის ზომის, 4 მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფი განთავსდა ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და პოლონეთში, სადაც როტაციული პრინციპით წარმოდგენილი იყვნენ მოკავშირეთა ძალები. როგორც მავთულხლართების სტრატეგიის კომპონენტს, დღემდე, მისიას თავდაცვითი ხასიათი აქვს და ემსახურება არა კონფლიქტის პროვოცირებას, არამედ მშვიდობის შენარჩუნებას რეგიონში.²¹

2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაზე სრულმასშტაბიანმა სამხედრო თავდასხმამ ფუნდამენტურად შეცვალა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გარემო, რასაც NATO-მ მის გეოგრაფიულ ფარგლებში, ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის და NATO-ს წევრი შავი ზღვის აუზის ქვეყნების თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებით უპასუხა. ალიანსმა გააორმაგა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა და ის 8 მრავალეროვნულ

¹⁸ Vender, Jogn, 2015. "NATO to consider permanent brigade in Baltics", Starts and Stripes, (March), <https://www.stripes.com/news/europe/nato-to-consider-permanent-brigade-in-baltics-1.346153> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

¹⁹ Ibid;

²⁰ Balčiūnas, Andrius, 2022. "New NATO plans: Shift from retaking Baltics to stopping Russians before they enter", LRT English Newsletter <https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1740956/new-nato-plans-shift-from-retaking-baltics-to-stopping-russians-before-they-enter> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Secretary General at Munich Security Conference: 'If we stand united we will be ready to face the future,'" NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_163807.htm?selectedLocale=en (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

საბრძოლო ჯგუფამდე გაზარდა.²² გარდა ამისა, აშშ-მა პოლონეთში დამატებით მუდმივმოქმედი ამერიკული შტაბი შექმნა და აღმოსავლეთ ფლანგზე ძალების გაორმაგების პროცესს შეუერთდა.

„გაძლიერებული მონინავე ჩართულობა“²³



ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნები მიესალმებიან NATO-ს სტრატეგიულ გეგმებს და ნაბიჯებს, თუმცა მათი გრძელვადიანი აღსრულებისთვის, აუცილებელია რეგიონის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რათა სრულად მოხდეს მოკავშირეთა ძალების მიღება და განთავსება. ამასთან დაკავშირებით, ლიეტუვამ და ლატვიამ უკვე დაიწყეს მოქმედება და სამხედრო წვრთნებისა და გადამზადების ინფრასტრუქტურის საკითხის რეალიზება.

მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე ფაქტია, რომ ალიანსის შეკავების სტრატეგია კიდევ უფრო ხისტი გახდა. სხვადასხვა ტერიტორიებზე განთავსებული შეზღუდული რაოდენობის სამხედრო ქვედანაყოფები, რომელთაც ე.წ. „მავთულხლართების“ ფუნქცია ჰქონდათ, ბრიგადის დონის ქვედანაყოფებმა და მძიმე შეიარაღებამ ჩაანაცვლა. ბუნებრივია, აღნიშნული მექანიზმი კვლავ შეკავებას ემსახურება, თავდაცვითი ხასიათისაა და საერთაშორისო ნორმებთან თავსებადობაშია, თუმცა ამჯერად გზავნილს უფრო ხმამაღლა აწვდის მონინააღმდეგეს და დაძაბულ ოპერატიულ სივრცეში მავთულხლართების ნაცვლად, დეტონატორის ფუნქციას ასრულებს. უცვლელია ალიანსის გრავიტაციის ცენტრი - NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგზე დარტყმის რეალურად განხორციელების

²² North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's military presence in the east of the Alliance", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)
²³ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's Eastern Flank: Stronger Defense and Deterrence", NATO Official Website, https://www.nato.int/nato_static_files2014/assets/pdf/2022/3/pdf/2203-map-det-def-east.pdf (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი დროის მოგებას და მოკავშირეთა ძალების სრულმასშტაბიან მობილიზებას ენიჭება.

რას აკეთებს ნატო მისი წევრი ქვეყნების

მოქალაქეების დასაცავად? ²⁴

რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებული შეტევის შემდგომ, NATO-მ განაახლა და გააქტიურა თავდაცვის გეგმები და ათასობით დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფი მის საზღვრებთან განათავსა.

2022 წლის 24 მარტს, ალიანსის საგანგებო სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღმოსავლეთ ფლანგზე, ბალტიის ზღვის რეგიონსა და პოლონეთში განთავსებული ძალებისგან დამოუკიდებლად, NATO-მ სწრაფად ჩამოყალიბა 4 დამატებითი მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფი ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში. საერთო ჯამში, რვა საბრძოლო ჯგუფი გადანაწილდა ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონებში.²⁵ გარდა ამისა, 2025 წელს ბულგარეთში იგეგმება მულტიმიოქმედი ბაზის მშენებლობა, სადაც 5000-მდე სამხედრო განთავსდება, ხოლო ალიანსი შავ ზღვაზე კიდევ ერთ გასასვლელს მიიღებს.²⁶

2022 წლის ივნისში, მადრიდში გამართულ სამიტზე, მოკავშირეებმა მიაღწიეს ფუნდამენტურ შეთანხმებას NATO-ს შეკავების და თავდაცვის პოლიტიკის ცვლილებებზე და შექმნეს ახალი „NATO-ს ძალების მოდელი“(NATO Forces Model).²⁷ იგი წარმოადგენს ალიანსის გაცილებით ფართომასშტაბიან, სწრაფი მოქმედების მექანიზმს ვიდრე არსებული რეაგირების ძალებია, რომლებიც 40 000 ჯარისკაცისგან შედგება და რომელთა მობილიზებაც შესაძლებელია 15 დღემდე პერიოდში. ახალი მოდელი ითვალისწინებს NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგზე საბრძოლო ჯგუფების ბატალიონის ზომიდან ბრიგადის დონემდე ზრდას, NATO-ს რეაგირების ძალების ტრანსფორმაციას და სწრაფი მზადყოფნის ძალების რიცხვის გაზრდას 300,000-მდე. მისი ერთი მესამედი იქნება მზადყოფნაში, რათა თავდასხმიდან პირველი 10 დღის განმავლობაში იბრძოლოს, ხოლო დანარჩენი 200,000 შესარულებს დავალებას მომდევნო 30 დღეში. ეს ყოველივე, ცივი ომის შემდგომ, ალიანსის კოლექტიური თავდაცვის და შეკავების ყველაზე დიდ რევიზიის შედეგია. NATO-ს ძალების ახალი მოდელის ტრანსფორმაციის დასრულება 2023 წლის ბოლოსთვის არის გათვლილი.²⁸

²⁴ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's response to Russia's invasion of Ukraine", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²⁵ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Deterrence and Defense", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²⁶ Bulgaria National Radio, 2023. "Bulgaria to build permanent NATO military base", <https://bnr.bg/en/post/101877472/permanent-nato-military-base-to-be-constructed-in-bulgaria> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

²⁷ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "New Force Model", NATO Official Website, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/220629-infographic-new-nato-force-model.pdf

²⁸ Ibid;

მადრიდის სამიტზე მოკავშირეების ასევე შეთანხმდნენ აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებაზე აღჭურვილობის და ამუნიციის, წინასწარი გადასროლის შესაძლებლობების, საჰაერო სარაკეტო სისტემების, მართვისა და კონტროლის საკითხებზე. ამასთანავე, წინასწარ განისაზღვრა მოკავშირეთა ძალები აღმოსავლეთ ფლანგისთვის არსებული რეგიონული გეგმების ამოქმედების შემთხვევისთვის, რომლებიც წინსწრებით გაეცნობიან ადგილობრივ რელიეფს, ინფრასტრუქტურას, მარაგებს და გაივლიან შესაბამის წვრთნებს მოკავშირე ძალებთან ერთად.

2023 წელს, NATO-ს ვილნიუსის სამიტზე, მოკავშირეებმა დაამტკიცეს რეგიონული თავდაცვის გეგმები და შეთანხმდნენ, რომ მათი ერთობლივი ეროვნული შემოსავლის (GDP) მინიმუმ 2% დაიხარჯება თავდაცვის მიმართულებით. 2014 წლის შემდგომ, ევროპულმა სახელმწიფოებმა და კანადამ დამატებით 450 მილიარდის ოდენობის აშშ დოლარი დახარჯეს თავდაცვის მიმართულებით. 2023 წლის მონაცემებით საერთო ჯამში 8.3%-იანი ზრდაა,²⁹ თუმცა ამ ეტაპზე NATO-ს წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ 9 მოკავშირე ხარჯავს 2%-ს. სამიტზე ასევე მიღებული იქნა NATO-ს „თავდაცვის პროდუქციის სამოქმედო გეგმა“ რათა დაჩქარდეს საერთო შესყიდვების პროცესი, ამაღლდეს თავსებადობა და ხელი შეეწყოს თანაინვესტირებას.

NATO-ს შეკავების პოლიტიკის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად იქცა მისი გაფართოება. ფინეთისა და შვედეთის საბოლოო განწევრებით ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის რეგიონი მნიშვნელოვნად განმტკიცდება, მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის წევრობამ ალიანსის საზღვარი რუსეთთან გააორმაგა. სკანდინავიის მაღალგანვითარებული ქვეყნების შემატებით, ბალტიის ზღვა თითქმის მთლიანად გარშემორტყმული იქნება NATO-ს მიერ, რაც ალიანსს თავდაცვითი ხაზის მეტად გაძლიერების შესაძლებლობას მისცემს.³⁰ შედარებით მოწყვლად წერტილად რჩება მხოლოდ სტრატეგიული დანიშნულების სუვალკის დერეფანი, რომელიც ლიეტუვასა და პოლონეთის დამაკავშირებელი ერთადერთი სახმელეთო კორიდორია და ამავდროულად, რუსეთის კალინინგარდის ოლქსა და ბელარუსს შორის მდებარეობს. აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის მიერ ანექსიის შემთხვევაში, ალიანსი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გააძლიეროს აღმოსავლეთ ფლანგი ხმელეთის გავლით და იძულებული გახდება მხოლოდ საჰაერო და საზღვაო ოპერაციები ჩაატაროს, რაც მის ნაკლებ ეფექტიანობას გამოიწვევს. თუმცა, NATO-ს მიერ, შეკავების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, თავისთავად ამცირებს პოტენციურ რისკებს.

გარდა ზემოაღნიშნულსა, მოკავშირეები პროაქტიულად მუშაობენ საზოგადოების გამძლეობის განმტკიცებაზე სხვადასხვა მიმართულებით, როგორებიცაა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, კიბერ მედეგობა, პანდემია, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული ინციდენტები, ტერორიზმი და ბუნებრივი კატასტროფები, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და ენერგეტიკული უსაფრთხოება. გამძლეობა შეკავების და თავდაცვის პირველ ხაზს წარმოადგენს,

²⁹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Deterrence and Defense", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

³⁰ Dahl, Ann-Sofie, 2023. "Finland and Sweden's NATO entries are a mixed blessing for the old Nordic allies", Atlantic Council, New Atlanticist <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/finland-and-swedens-nato-entries-are-a-mixed-blessing-for-the-old-nordic-allies/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

რასაც ცხადყოფს უკრაინელი ხალხის მზაობა და ბრძოლისუნარიანობა. იგი მნიშვნელოვანი ასპექტია მოწინააღმდეგის დარწმუნებისთვის, რომ მისი ჩანაფიქრი არსებული მოცემულობის გათვალისწინებით ვერ განხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, „NATO-ს 2023 წლის განრიგი“ ისევე როგორც 2022 წლის სტრატეგია ფოკუსირებულია მეტად ინტეგრირებული და ერთიანი მიდგომების განვითარებაზე რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგოდ. „Nord Stream“-ის პროექტის შეწყვეტის შემდგომ, მათ გააორმაგეს საზღვაო ძალები, როგორც ბალტიის ისე ჩრდილოეთის ზღვაში და პარალელურად მუშაობენ ამ მიმართულებებზე, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ინსტალაციასა და გაძლიერებაზე, მეტი რაოდენობის თხევადი გაზის იმპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ალიანსის შეკავების და თავდაცვის ნაწილია ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შესახებ რუსეთის სახიფათო რიტორიკაზე რეაქცია.³¹ ამასთან დაკავშირებით, NATO-ს პასუხი კონსტრუქციული და მკაფიოა - ბირთვული იარაღის გამოყენება სრულიად შეცვლის მიმდინარე ომის სახეს და ამ შემთხვევაში ალიანსის პასუხი რუსეთის მიმართ იქნება მძიმე/მკაცრი.

რაც შეეხება ალიანსის შეკავების ეკონომიკურ ფაქტორებს, რუსეთის საომარი შესაძლებლობების დასასუსტებლად და გამოსაფიტად, მოკავშირეები ფართომასშტაბიან სანქციებს აკისრებენ ოფიციალურ მოსკოვსა და მის მხარდამჭერებს.³²

შეჯამება

უკრაინაში მიმდინარე სრულმასშტაბიანი კონვენციური ომი, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გადახედვის პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორი გახდა. 2022 წლის თებერვალის შემდგომ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არამხოლოდ უკრაინის და მისი მოსაზღვრე ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოება, არამედ არსებული ლიბერალური მსოფლიო წესრიგი.³³ შესაბამისად, ალიანსმა დაიწყო საკუთარი თავდაცვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია, როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. რუსეთი განისაზღვრა პირდაპირ საფრთხედ ევროატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის. შესაბამისად, NATO-მ გააძლიერა მისი შეკავების პოლიტიკა, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პერსპექტივით და ე.წ. მავთულხლართების სტრატეგიის მცირე ზომის კონტინგენტი განამტკიცა, როგორც ადამიანური რესურსით, ისე საბრძოლო შესაძლებლობებით.

უსაფრთხოების გარემოსთან და გამონვევებთან შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკის სწრაფი ადაპტაციით, ალიანსი ცდილობს დაიცვას როგორც საკუთარი

³¹ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's response to Russia's invasion of Ukraine", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

³² Ibid;

³³ Jankowski, Dominik, 2023. "Russia's war has changed NATO's learning curve"- New Eastern Europe Magazine, Hot Topics Issue 3-4 <https://neweasterneurope.eu/2023/07/04/russias-war-has-changed-natos-learning-curve/?fbclid=IwAR0T1HTgPgMsZMqdnGziA6vMJ2kf9x-p4X0TUkEv9-RS-X8Lmck1JLZHYNQ> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

გეოგრაფიული არეალი, ისე გლობალური წესრიგი.³⁴ თუმცა, რუსეთის მიერ განხორციელებულმა უკანონო ქმედებებმა ცხადყო, რომ NATO მზად უნდა იყოს არამხოლოდ შეკავებისთვის, არამედ ეფექტიანი თავდაცვისთვის.³⁵ მოკავშირეების ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვითი შესაძლებლობები, მუდმივი მზადყოფნა და ერთსულოვნება წარმოადგენს ალიანსის შეკავების მთავარ მექანიზმს, თუმც, სასურველია, NATO-მ მეტი სწორხაზოვანი, ქმედითი ნაბიჯი გადადგას გეგმების პრაქტიკულ დონეზე განხორციელებისთვის. არსებული უსაფრთხოების კრიზისის გათვალისწინებით, მოკავშირეებმა გაცილებით სწრაფად და პროაქტიულად უნდა იმოქმედონ როგორც ინდივიდუალურად, ბიუჯეტის და შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით, ისე კოლექტიური შეკავების მექანიზმების განახლებისა და ინტეგრირების კუთხით, ვინაიდან აღმოსავლეთ ფლანგთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში ასახვა და მრავალეროვნულ ჯგუფებს შორის სინქრონიზაცია გაცილებით დიდ ძალისხმევასა და რესურსს მოითხოვს, მზარდი საფრთხეები კი საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.³⁶

³⁴ North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's military presence in the east of the Alliance", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

³⁵ Brands, Hal, 2021. "U.S. Can't Rely on Tripwire Forces to Deter China and Russia", Bloomberg Opinion, https://www.bloomberg.com/opinion/articles/2021-11-07/tripwire-u-s-forces-may-not-deter-china-or-russia?in_source=embedded-checkout-banner#xj4y7vzkq (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

³⁶ Balčiūnas, Andrius, 2022. "New NATO plans: Shift from retaking Baltics to stopping Russians before they enter", LRT English Newsletter <https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1740956/new-nato-plans-shift-from-retaking-baltics-to-stopping-russians-before-they-enter> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

გამოყენებული ლიტერატურა

ლეჟავა, ნინო, 2019. „ბალტიის ზღვის რეგიონი NATO-ს შეკავების პოლიტიკის წინა ხაზზე“, ჟურნალი დიპლომატი, მარტი, გვ. 46-50

Balčiūnas, Andrius, 2022. "New NATO plans: Shift from retaking Baltics to stopping Russians before they enter", LRT English Newsletter <https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1740956/new-nato-plans-shift-from-retaking-baltics-to-stopping-russians-before-they-enter> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Brands, Hal, 2021. "U.S. Can't Rely on Tripwire Forces to Deter China and Russia", Bloomberg Opinion, https://www.bloomberg.com/opinion/articles/2021-11-07/tripwire-u-s-forces-may-not-deter-china-or-russia?in_source=embedded-checkout-banner#xj4y7vzkg (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Covington, Stephen, 2023. "Concept for Deterrence and Defense of the Euro-Atlantic Area (DDA)", Harvard Kennedy School Belfer Center for Science and International Affairs, Analysis and Opinions, <https://www.belfercenter.org/publication/natos-concept-deterrence-and-defence-euro-atlantic-area-dda> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Dahl, Ann-Sofie, 2023. "Finland and Sweden's NATO entries are a mixed blessing for the old Nordic allies", Atlantic Council, New Atlanticist <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/finland-and-swedens-nato-entries-are-a-mixed-blessing-for-the-old-nordic-allies/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Jankowski, Dominik, 2023. "Russia's war has changed NATO's learning curve"- New Eastern Europe Magazine, Hot Topics Issue 3-4 <https://neweasterneurope.eu/2023/07/04/russias-war-has-changed-natos-learning-curve/?fbclid=IwAR0T1HTgPgMsZMqdnGziA6vMJ2kF9x-p4X0TUkEv9-RS-X8LmcK1JLZHYNQ> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Swink, Sonya, 2018. "The wiretapping that changed the Cold War", The Defense Post, (August), <https://www.thedefensepost.com/2018/08/16/book-wiretapping-changed-cold-war/> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Vender, Jogn, 2015. "NATO to consider permanent brigade in Baltics", Starts and Stripes, (March), <https://www.stripes.com/news/europe/nato-to-consider-permanent-brigade-in-baltics-1.346153> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Bulgaria National Radio, 2023. "Bulgaria to build permanent NATO military base", <https://bnr.bg/en/post/101877472/permanent-nato-military-base-to-be-constructed-in-bulgaria> (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

Euronews, What is NATO's 'tripwire' strategy and is it still relevant today?, Published on 07 Mar, 2023 [What is NATO's 'tripwire' strategy and is it still relevant today? | Euronews](https://www.euronews.com/en/what-is-natos-tripwire-strategy-and-is-it-still-relevant-today) (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Deterrence and Defense", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_133127.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's Eastern Flank: Stronger Defense and Deterrence", NATO Official Website, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/3/pdf/2203-map-det-def-east.pdf (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's military presence in the east of the Alliance", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "NATO's response to Russia's invasion of Ukraine", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "New Force Model", NATO Official Website, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/220629-infographic-new-nato-force-model.pdf

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "Relations with Russia", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50090.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2023. "Secretary General at Munich Security Conference: 'If we stand united we will be ready to face the future,'" NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_163807.htm?selectedLocale=en (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022. "Short History of NATO", NATO Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/declassified_139339.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2022, NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2010, NATO Strategic Concept, NATO, Official Website, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_82705.htm (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)

North Atlantic Treaty Organization (NATO), 2021. NATO Warfighting Capstone Concept, Allied Command Transformation - NATO's Strategic Warfare Development Command, <https://www.act.nato.int/our-work/nato-warfighting-capstone-concept/>, (ბოლო ნახვა: 1 სექტემბერი, 2023)



საპარტოვლოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ენერგოუსაფრთხოება და უკრაინაში მიმდინარე ომი: NATO-ს გაემოწმებები და სავაჭრო ზომები რუსეთის ჰიბრიდული ომის კონტაქსტში

ავტორი: ელენე გურეშიძე



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

კარლ ფონ კლაუზევიცი თავის ვრცელ ნაშრომში „ომის შესახებ“ აღნიშნავს, რომ „ომი სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით“¹. მე-19 საუკუნის სამხედრო თეორეტიკოსისა და გენერლის ეს ციტატა 21-ე საუკუნეში ისეთივე აქტუალური და საყურადღებოა, როგორც არასდროს. დღესდღეობით, სახელმწიფოები, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კინეტიკურ და კონვენციურ შეტაკებებთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებენ ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელ მეთოდებს, რომლებიც კიბერთავდასხმებს, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანებას, ენერგორესურსების ვეპონიზაციას, პროპაგანდასა და დეზინფორმაციულ კამპანიებს მოიცავს. შესაბამისად, თანამედროვე, კომპლექსურ და მუდამ ცვალებად სამყაროში ჰიბრიდული ომი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად იქცა².

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა რუსეთი და მის მიერ ენერჯის იარაღად გამოყენების საკითხი, რაც ყველაზე ცხადად 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში გამოიკვეთა. ვინაიდან NATO-ს წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა დამოკიდებულია რუსეთის გაზსა და ენერგორესურსებზე, პუტინი აქტიურად ცდილობს სწორედ ამ უკანასკნელის გამოყენებას, რათა შეამციროს მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, დაარღვიოს ევრო-ატლანტიკური კოოპერაცია და ეკონომიკური სირთულეების წინაშე დააყენოს ქვეყნები. აქედან გამომდინარე, რუსეთის ხელში ენერგორესურსები „ვეპონიზაცია“ განიცდის და რუსული სამხედრო პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანეს ელემენტად იქცევა.

ენერგორესურსების „ვეპონიზაცია“ გულისხმობს, როგორც დისკრიმინაციული ფასების დაწესების პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყნისთვის, აგრეთვე გაზის მიწოდების შეზღუდვის ან სრულიად შეწყვეტის საფრთხეებს, რაც არასტაბილურ პოლიტიკურ კლიმატს წარმოქმნის და ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციების გამძაფრებას. ამავდროულად, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის სახელმწიფოებს და აჩენს პუტინის საგარეო პოლიტიკის მანიპულაციის მსხვერპლად ქცევის საფრთხეს.

რუსეთის მიერ ენერგორესურსებით წარმოებული ომი უდიდეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ეს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსაც, რომლის წინაშეც საკუთარი მნიშვნელობისა და მიზნების გადააზრების აუცილებლობა დადგა. უკრაინის ომმა უფრო ცხადად დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი პრობლემის წინაშე დგას მსოფლიო ენერგოსაფრთხოების კუთხით და რამდენად მზარდია NATO-ს როლი თანამედროვე საომარი მოქმედებების კომპლექსურ გამოწვევებთან გამკლავების საქმეში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია NATO-ს მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში და ის ძირითადი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც

¹ Clausewitz, Carl Von. 1976. On War. Chichester, West Sussex: Princeton University Press

² Hoffman, Frank G. 2009. "Hybrid Warfare and Challenges." Joint Force Quarterly, 34-39

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუძლია ენერგორესურსების „ვეპონიზაციით“ გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვა.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვა - როგორ შეუძლია NATO-ს, წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის მიერ ენერჯის „ვეპონიზაციას?“ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად კი თავდაპირველად მიმოხილულია, შეუძლია თუ არა NATO-ს რაიმე წვლილის შეტანა ენერგოსაფრთხოების ახალი პარადიგმის ჩამოყალიბებაში; შემდეგ კი გაანალიზებულია ის ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც ალიანსის წინაშე დგას ჰიბრიდული ომის კონტექსტში.

არაკონვენციური საომარი მოქმედებები:

ახალი გამოწვევები NATO-ს ალიანსისთვის

ჰოფმანი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ თანამედროვე, კომპლექსური და მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების არსებობის პირობებში საომარი მოქმედებების წარმოების ახალი და უპრეცედენტო შესაძლებლობები იქმნება³. მსგავსი შესაძლებლობები პოლიტიკურ აქტორებს ჰიბრიდული ომის წარმოებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის. ჰიბრიდული ომი, თავის მხრივ, მოიცავს კინეტიკური და არაკინეტიკური მეთოდების უნიკალურ კომბინაციას, რომელიც მოწინააღმდეგის დასუსტებისთვისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის გამოიყენება. ჰიბრიდულ ომში ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის უფერულდება, რაც „ნაცრისფერ ზონებს“ წარმოქმნის. „ნაცრისფერი ზონების“ მანიპულირება კი ხდება როგორც დებინფორმაციული კამპანიების, აგრეთვე კიბერთავდასხმების, ეკონომიკური ზეწოლისა და ენერგორესურსების „ვეპონიზაციის“ მეშვეობით⁴.

ჰიბრიდული ომის წარმოება რთულ და ხშირ შემთხვევაში, გადაულახავ წინააღმდეგობებს წარმოქმნის ყველა ქვეყნისთვის, რადგან საომარი მოქმედებების ეს კომბინაცია ყველანაირ დადგენილ საზღვარს ცდება, თან მცირედი დანახარჯებით. ჰიბრიდული ომის გამოწვევები უპირველეს ყოვლისა რუსეთს უკავშირდება, რომელიც უკრაინის ომის კონტექსტში არა მხოლოდ კონვენციურ სამხედრო ძალებს იყენებს, არამედ ენერგორესურსების „ვეპონიზაციითაც“ ცდილობს მოწინააღმდეგეების დასუსტებას. „ვეპონიზაცია“, თავის მხრივ, მოიაზრებს კრიტიკული ენერგორესურსების იარაღად გამოყენებას, რაც რუსეთს ეკონომიკურ ბერკეტს ანიჭებს, რომლის გამოყენებაც საკუთარი საგარეო პოლიტიკის გასატარებლად სიტუაციისამებრ შეუძლია. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური დესტაბილიზაციის მიზნით გაზის მიწოდების ხელოვნური შემცირება, ფასების გაზრდა, შანტაჟი, მუქარა, უკრაინის ენერგოდანწესებულებების აფეთქება და მილსადენების საბოტაჟი მხოლოდ

³ Hoffman, Frank G. 2009. "Hybrid Warfare and Challenges." *Joint Force Quarterly*, 34-39

⁴ Belo, David Carment and Dani. 2018. *War's Future: The Risks and Rewards of Grey-Zone Conflicts and Hybrid Warfare*. Calgary: Canadian Global Affairs Institute.

ჩამონათვალა ენერჯის ინსტრუმენტალიზაციის იმ სახეებისა, რომელსაც რუსეთი აქტიურად იყენებს მიმდინარე კონფლიქტის ფარგლებში. ამიტომ, NATO, როგორც თავდაცვითი ორგანიზაცია, უნდა ადაპტირდეს ახალ გამოწვევებთან და ეფექტიანად მოახერხოს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ენერჯორესურსების ინსტრუმენტალიზაცია და რუსეთის ჰიბრიდული ომი

რუსეთის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი ბუნებრივი აირისა და გაზის ექსპორტზეა დამოკიდებული. თუმცა, ეკონომიკურ უპირატესობასთან ერთად, ენერჯორესურსების ექსპორტირება რუსეთის გეოსტრატეგიული წარმატების მთავარი ინგრედიენტია, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ინარჩუნებს გავლენას „ახლო სამეზობლოს“ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ამიტომ, მაიკ პომპეომ რუსეთის გაზისა და მილსადენების პროექტები დაახასიათა, როგორც კრემლის ექსპანსიონისტური გეგმა, რომლის მთავარი მიზანიც ევროკავშირისა და NATO-ს ქვეყნების დამოკიდებულების გაზრდაა რუსეთის ენერჯორესურსებზე⁵.

პუტინის პოლიტიკა დაფუძნებულია გაზის ექსპორტის მონოპოლიზებაზე, რაც სწორედ „გაბჰრომისა“ და „როსნეფტის“ მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც რუსეთში არსებული უმსხვილესი ნავთობკომპანიებია. რუსეთის გადმოსახედიდან, ენერჯორესურსები ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტიაა, რადგან იგი რუსული საგარეო პოლიტიკის გატარების უმთავრეს, არა-სამხედრო ძალად არის ქცეული⁶. ენერჯორესურსების მნიშვნელობაზე მეტყველებს პუტინის მიერ ენერჯოსექტორის დიდი წილის ნაციონალიზების ფაქტიც, რაც ამტკიცებს, რომ კრიტიკულ რესურსებს რუსეთი კერძო სექტორს ბოლომდე ვერ ანდობს და მასზე კონტროლის შენარჩუნებით, ამავე დროს ინარჩუნებს საგარეო პოლიტიკის წარმოების ეფექტიან იარაღსაც⁷. მაგალითად, 2021 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის წილი გაბჰრომის კომპანიაში 50.23%-ია [იხ. დანართი 1], ხოლო „როსნეფტი“, რომელიც ნავთობპროდუქტების წარმოების მხრივ მხოლოდ „გაბჰრომს“ თუ ჩამოუვარდება, სრულიად ნაციონალიზებულია და სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული კომპანიაა.⁸

რუსეთის მიერ ენერჯის „ვეპონიზაციის“ საკითხი ყველაზე ცხადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითით ვლინდება, რომლებიც თითქმის მთლიანად არიან დამოკიდებულნი რუსეთის „გაბჰრომზე“. აღსანიშნავია ისიც, რომ

⁵ States, U.S. Department of State. 2020. Secretary Michael R. Pompeo at a Press Availability. July 15, <https://2017-2021.state.gov/secretary-michael-r-pompeo-at-a-press-availability-9/>

⁶ президент российской федерации. 2019. "доктрина энергетической безопасности.", May 13, <http://static.kremlin.ru/media/events/files/ru/rsskwUHzi25X6ijjBy20Doj88faOQLN4.pdf>

⁷ The Economist. 2005, Oct. 6th. Russia's Energetic Enigma. <https://www.economist.com/special-report/2005/10/06/russias-energetic-enigma>

⁸ Gazprom Group. December 31. PJSC Gazprom's Share Capital Structure, %. <https://sustainability.gazpromreport.ru/en/2020/3-about-the-gazprom-group/appendix/>

ქვეყნები, რომლებიც 75%-ით არიან დამოკიდებულნი რუსული გაზის იმპორტზე, 10-30%-ით მეტ თანხას იხდიან ენერჯისთვის, ვიდრე დანარჩენი მომხმარებლები. ფასის დისკრიმინაციისა და სელექციურობის მეშვეობით კი რუსეთს უჩნდება ბერკეტი, რომლის გამოყენებაც სურვილისამებრ შეუძლია NATO-ს სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნების, მანიპულირებისთვის⁹. მანიპულაცია ამ კონტექსტში გულისხმობს პრო-დასავლური კურსის უკუგდების იძულებასა და რუსულ ორბიტაში დარჩენის ნახალისებას.

ენერჯის გეოსტრატეგიული მნიშვნელობითა და იარაღად გამოყენების პრაქტიკით აიხსნება ფაქტი, რომ რუსეთის მიერ ინიცირებული ენერგოპროექტების იმპლემენტირება სწორედ ევროპის ტერიტორიაზე ხდება. „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ პროექტები (რომლებიც დღესდღეობით აღარ ოპერირებენ) საუკეთესო გამოვლინებაა იმისა, თუ როგორ შეუძლია რუსეთს, NATO-ს წევრი სახელმწიფოებისთვის „მომგებიანი“ ინიციატივების შეთავაზება, რომლებსაც თან ახლავს ენერგოდამოკიდებულების გაზრდით გამოხატული ალტერნატიული დანახარჯი. მსგავსი სტრატეგიით კრემლი ორ უმთავრეს მიზანს აღწევს: ერთი მხრივ, ქმნის ალტერნატიულ სატრანზიტო გზებს, რომლის მეშვეობითაც გვერდს უვლის უკრაინას და შესაბამისად, ამცირებს მის მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის გავლენას ევროკავშირისა და NATO-ს ქვეყნებში და ენერგორესურსებს საგარეო პოლიტიკის სანარმოებელ იარაღად იყენებს¹⁰.

ამგვარი პოლიტიკის უმთავრესი მიზანი კი ევროპაში „ცივი ზამთრის“ გახანგრძლივებაა. პარალელურად, რუსეთი საგანგებოდ უმიზნებს უკრაინის კრიტიკულ ენერგო ინფრასტრუქტურას¹¹. „DTEK-ის“ მიხედვით, რომელიც უკრაინაში ენერჯის წარმოების კუთხით უმსხვილესი კერძო კომპანიაა, რუსეთის სამხედრო ძალები 13-ჯერ დაესხნენ თავს მათ ინფრასტრუქტურას, რამაც კოლოსალური ადამიანური და ფინანსური ზარალი გამოიწვია.

ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობა

უკრაინის ომის კონტექსტში

ბრიტანული მრავალფეროვანი ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიის (British Oil and Gas Company) 2017 წლის სტატისტიკური მიმოხილვის მიხედვით, ენერგოდამოკიდებულების განსაზღვრა შესაძლებელია რუსული გაზის იმპორტის პროცენტულობის შეფარდებით ქვეყნის მიერ ნავთობის წლიურ მოთხოვნასთან. ამ

⁹ Conley, James Mina, Ruslan Stefanov, Martin Vladimirov. 2016. The Kremlin Playbook: Understanding Russian Influence in Central and Eastern Europe. Washington: Center for Strategic and International Studies (CSIS)

¹⁰ Iftimie, Marc Ozawa and Ion Alexandru. 2020. "Russia's energy policy as a foreign policy instrument." NATO Defense College 14-20.

¹¹ Chernyshov, Oleksiy. 2022. Together, we can blunt Russia's energy weapon. December 13. <https://www.politico.eu/article/russia-ukraine-energy-infrastructure-gas-production-naftogaz-moldova/>

შეფარდების გათვალისწინებით, სლოვაკეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, რუმინეთი, ესტონეთი და ესპანეთი ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი რუსულ ნავთობსა და გაზზე (იხ. დანართი 2). ჩამოთვლილი ქვეყნებიდან აბსოლუტურად ყველა NATO-ს წევრი ქვეყანაა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საკუთარი წევრების უსაფრთხოების დაცვისთვის ახალი სტრატეგის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის ომის განმავლობაში ევროკავშირისა და NATO-ს სახელმწიფოებმა ფუნდამენტურად შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა რუსეთთან და იმპორტირებულ გაზთან მიმართებით, რასაც გერჰარდ შროდერის სიტყვებით გლობალური „Zeitenwende“, ანუ “გარდამტეხი მომენტი” შეგვიძლია ვუწოდოთ (Scholz 2022). ევროკავშირმა გამოსცა ახალი REPowerEU გეგმა, რომლის მიხედვითაც, 2023 წლის ბოლომდე 2/3-ით უნდა შემცირდეს რუსული გაზის იმპორტი¹². მიუხედავად ამისა, ენერგოდამოუკიდებლობა გრძელვადიანი პერსპექტივაა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროპულმა ქვეყნებმა დროის მოკლე მონაკვეთში მოახერხონ რუსეთის გაზის უკუგდება.

ეგზისტენციალური კრიზისი: NATO-ს განახლებული როლი თანამედროვე გლობალურ სამყაროში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 1949 წელს შეიქმნა და მისი უმთავრესი როლი საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეებისგან თავის დაცვა და წევრ სახელმწიფოებს შორის კოოპერაციის გაღრმავება იყო. ცივი ომის დასრულებისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ კი NATO-ს ეგზისტენციალური საფრთხე განადგურდა, ხოლო საკუთრივ ალიანსის ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. NATO-ს იდენტიფიცირებადი მტერი, რომლის წინააღმდეგ მთელი ძალების კონსოლიდირება იქნებოდა შესაძლებელი, დამარცხდა. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა, თუ რა უნდა ყოფილიყო NATO-ს განახლებული მიზანი და როგორი თავდაცვითი მექანიზმი უნდა შეეთვისებინა ალიანსს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ კითხვებს ნაწილობრივ უკრაინის ომმა გასცა პასუხი, როდესაც ცხადად გამოიკვეთა, რომ წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების დაცვა კვლავ ისეთივე პრიორიტეტული და რელევანტურია, როგორც არასდროს.

2022 წლის ომამდე ევროკავშირის მრავალი ქვეყანა ეწინააღმდეგებოდა NATO-ს მხარდ როლს ენერგოუსაფრთხოების საკითხებში. სახელმწიფოები თავიანთი

¹² European Commission. 2022. REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy. March 8. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_1511

პოზიციის განსამტკიცებლად იყენებდნენ ეროვნული სუვერენიტეტის არგუმენტს და ხაზს უსვამდნენ, რომ ენერგოსაფრთხოების თემატიკა ადგილობრივ დონეზე უნდა მოგვარებულიყო და არა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამავდროულად, ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან საფრანგეთი და გერმანია, ჰქონდათ ეკონომიკური ინტერესი, შეენარჩუნებინათ ბაზრის ლიბერალიზაცია და დაემყარებუნათ მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან. შესაბამისად, სუვერენიტეტისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თეორია დომინანტურ როლს თამაშობდა მათ ცნობიერებაში. ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა 2022 წლის უკრაინის ომის დროს, რამაც ფუნდამენტურად შეარყია ევროკავშირის ქვეყნების მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება ენერგოსაფრთხოებისადმი. ამ გადმოსახედიდან, ენერჯის წყაროების დივერსიფიცირებას ეგზისტენციალური მნიშვნელობა ენიჭება, რაშიც NATO-ს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. შესაბამისად, მართალია, NATO არ არის ენერგორესურსების ორგანიზაცია და მისი მიზანი კოლექტიური უსაფრთხოების დაცვაა, თუმცა რუსული ჰიბრიდული ომის ფონზე, ალიანსის თითოეულ წევრს კრიტიკული საფრთხე ექმნება, რაც NATO-ს უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შემუშავების იმპერატივს აძლევს¹³.

NATO-ს 2022 წლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, ალიანსი ინვესტირებას აპირებს საკუთარი შესაძლებლობების გასავითარებლად, რათა შეძლოს რუსეთის მიერ ენერჯის, ეკონომიკისა და ინფორმაციის „ვეპონიზაციის“ პრევენცია და ჰიბრიდული ტაქტიკების წინააღმდეგ ბრძოლა¹⁴. იმისათვის, რომ NATO-მ მოახერხოს ცვალებად სამყაროსთან ადაპტირება და წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროა, განხორციელდეს ფუნდამენტური რეფორმები და გაძლიერდეს ალიანსის პოლიტიკური როლი საერთაშორისო ასპარეზზე.

კოლექტიური თავდაცვის პუნქტის ხელახლა განსაზღვრა

NATO-ს 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოების თავდასხმის შემთხვევაში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება ეკისრება, რაც ხელშეკრულების მე-5 პუნქტში არის გაცხადებული. კოლექტიური თავდაცვის პუნქტის მიხედვით, თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე მთელს ალიანსზე თავდასხმად ითვლება. შესაბამისად, მოქმედებს პრინციპი „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის“¹⁵.

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 პუნქტი კონვენციური საფრთხისა და შეიარაღების შემთხვევაში ეფექტიანი შემაკავებელი მექანიზმია, იგი სრულიად უნაროა ჰიბრიდული ომის, კერძოდ, კი ენერგორესურსების „ვეპონიზაციის“ კუთხით. ამიტომ,

¹³ Khamashuridze, Zurab. 2008. "Energy Security and NATO: Any Role for the Alliance?" Connections, Vol. 7, No. 4 43-58

¹⁴ NATO. 2022. Strategic Concept. Madrid: Heads of State and Governments.

¹⁵ NATO. 2014, November 20. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_114965.htm

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აკადემიკოსთა და პოლიტიკოსთა წრეებში სულ უფრო აქტიურად იკვეთება სურვილი, ასიმეტრიული საომარი მოქმედებების კვალდაკვალ გადაიხედოს NATO-ს კოლექტიური თავდაცვის პუნქტი, რათა იგი ადაპტირდეს თანამედროვე სამყაროს მზარდ გამოწვევებთან¹⁶. ინიციატივის მიხედვით, ენერგოსაფრთხოების თემატიკა NATO-ს კოლექტიური თავდაცვის პუნქტში უნდა იყოს ინტეგრირებული, რათა ჰიბრიდული საომარი მოქმედებებიც ჩაითვალოს წევრ სახელმწიფოებზე კონვენციური თავდასხმის ეკვივალენტად.

კოლექტიური თავდაცვის ვალდებულების შესახებ NATO-ს 2022 წლის სტრატეგიულ გეგმაშიც არის საუბარი. სტრატეგიული გეგმის 27-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოწყებულმა ჰიბრიდულმა ომმა, რომელიც ეკონომიკისა და ენერგორესურსების „ვეკონიზაციით“ გამოიხატება, შესაძლოა, NATO-ს მე-5 პუნქტი გაააქტიუროს¹⁷.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგორესურსებით მანიპულაცია NATO-ს მიერ ეგზისტენციალურ საფრთხედ განიხილება, მაინც არსებობს ორაზროვნება მე-5 პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით. მართალია, მე-5 პუნქტის ამოქმედება ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა, თუმცა არსებობს მრავალი ტექნიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური სირთულე, რომლის გადალახვის შეუძლებლობა აფერხებს მსგავსი ინიციატივის წარმატებით რეალიზების პერსპექტივას. მაგალითად, რამდენად თანაბარბოძიერი იქნება თუ დისკრიმინაციული ფასების, მილსადენების საბოტაჟის ან გაზის ექსპორტის შემცირების პრობებში ალიანსი მე-5 პუნქტს აამოქმედებს და კოლექტიური თავდაცვის ზომებს გაააქტიურებს? აქვე თავს იჩენს დამნაშავის იდენტიფიცირების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სადაზვერვო ინფორმაციისა და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია, რუსეთს მივაკუთნოთ ენერჯის იარაღად გამოყენების შემთხვევები, საკმაოდ რთულია ამ მოვლენის ემპირიული ფაქტებით დადასტურება. ეს გამომდინარეობს ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანებიდან, რომლის მეშვეობითაც NATO-ს წინაშე „უსახო მტერი“ ჩნდება და დამნაშავისთვის დანაშაულის მიკუთვნება (Attribution problem) ბევრად უფრო კომპლექსური პროცესი ხდება¹⁸. მაგალითად, დღემდე არ არის ცნობილი, თუ ვინ დგას „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2 მილსადენების“ საბოტაჟის უკან. სწორედ ამიტომ აღნიშნა NATO-ს ყოფილმა სამხედრო კომიტეტის გენერალმა, პიოტრ ჰაველმა, რომ რუსული ჰიბრიდული ომის მთავარი მიზანია, ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ალიანსის ქვეყნებზე, მაგრამ არა იმდენად ცხადი, რომ მე-5 პუნქტის ამოქმედების იმპერატივი წარმოიქმნას. სხვა სიტყვებით, რუსეთი ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით კოლექტიური თავდაცვის პუნქტის ზღურბლს მიღმა არ აბიჯებს. ამ მეთოდით კი კრემლს შეუძლია, ნაცრისფერი ზონები გამოიყენოს და საკუთარ სტრატეგიულ-პოლიტიკურ მიზნებს NATO-ს პროვოცირების გარეშე მიაღწიოს .

¹⁶ NATO Reflection Group. 2020. NATO 2030: United for a New Era. Analysis and recommendations of the Reflection Group appointed by the NATO Secretary General Brussels: Thierry Tardy.

¹⁷ NATO. 2022. Strategic Concept. Madrid: Heads of State and Governments.

¹⁸ States, U.S. Department of. 2020. Secretary Michael R. Pompeo at a Press Availability. July 15. <https://2017-2021.state.gov/secretary-michael-r-pompeo-at-a-press-availability-9/>

შესაბამისად, მე-5 პუნქტის რედეფინიცია საკმაოდ რთული და ამბიციური პროექტია. იგი მოითხოვს კონკრეტული, ხელშესახები საფრთხის იდენტიფიცირებას, ჰიბრიდული ომი კი სწორედ ბუნდოვანებითა და ორაზროვნებით გამოირჩევა, რაც აფერხებს შესაბამისი თავდაცვითი სტრატეგიის შემუშავების პროცესს.

NATO-ს და ევროკავშირის კოოპერაციის მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 პუნქტის ამოქმედება ჰიბრიდული ომის კონტექსტში ამბიციური და ნაკლებად რეალისტური ინიციატივაა, არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც NATO-ს შეუძლია, წინააღმდეგობა გაუწიოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, გაიზარდოს ინსტიტუციური მედეგობა, რისთვისაც NATO-მ უნდა გააღრმავოს კოოპერაცია ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროკავშირი და საერთაშორისო ენერჯის სააგენტო (International Energy Agency). ევროკავშირთან თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ენერგოუსაფრთხოების კუთხით, ვინაიდან NATO-ს 31 ქვეყნიდან 22 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, რომლებიც, როგორც აღინიშნა, რუსული გაზის იმპორტზე არაპროპორციულად არიან დამოკიდებულნი. ეს უკანასკნელი კი ევროკავშირს უფრო მონყვლადს ხდის რუსული მანიპულაციების წინაშე¹⁹.

ამ თვალსაზრისით, პროაქტიული ნაბიჯები გადაიდგა 2017 წელს, როდესაც NATO-ს დახმარებითა და ხელშეწყობით ჰელსინკიში დაფუძნდა ევროკავშირის ცენტრი ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ²⁰, რომლის მთავარი მიზანიც ევროკავშირისა და NATO-ს შორის დიალოგის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაცვლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა. ჰიბრიდული ომის გამოწვევების წინააღმდეგ შესაბამისი თავდაცვითი მექანიზმების შესამუშავებლად NATO და ევროკავშირი მუდმივად ახალ იდეებსა და მიდგომებს იყენებენ, რაც კერძო სექტორის, სახელმწიფოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით ხორციელდება. მსგავსი ცენტრი არსებობს ლიეტუვაშიც, რაც ინფორმაციის სწრაფ გაცვლასა და სიტუაციის მუდმივ მონიტორინგს უწყობს ხელს.

ევროკავშირთან კოოპერაციის გაღრმავების მხრივ აუცილებელია სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებაც. NATO-ს დემოკრატიულ წევრებს აქვთ უპრეცედენტო შესაძლებლობა, სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ერთმანეთს სწრაფად და ეფექტიანად გაუზიარონ. ინფორმაციის სწრაფი გაცვლა უმნიშვნელოვანესია რუსული ჰიბრიდული ომის კონტექსტში, რომელიც ფაქტების დამახინჯებით ცდილობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაბნევასა და

¹⁹ Trenin, Dmitri. 2008. "Energy geopolitics in Russia-EU relations." In *Pipelines, Politics and Power*, by Charles Grant, 15-25. London: Centre For European Reform

²⁰ The European Centre of Excellence for Countering Hybrid Threats Official Website: <https://www.hybridcoe.fi/>

დასუსტებას. ამისათვის, NATO-მ სწორი და ლეგიტიმური ფაქტები, სტატისტიკა და ინფორმაცია უნდა წარადგინოს, რათა, ერთი მხრივ, მოახდინოს ენერგოდამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მიერ წარმოდგენილი მილსადენების ახალი პროექტების ადეკვატურად შეფასება. სწორედ კოოპერაციის ნაკლებობამ და პოტენციური საფრთხეების ვერ აღქმამ განაპირობა „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ მილსადენების მშენებლობაზე ნებართვის გაცემა, რამაც გერმანია, საფრანგეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები რუსული გაზის იმპორტზე დამოკიდებულ სახელმწიფოებად აქცია²¹.

საზღვაო და სახმელეთო კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის გარანტია

ენერგოსაფრთხოებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ორი ფუნდამენტური ასპექტის გათვალისწინება: ენერჯის უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურული მედეგობა. ორივე ერთად კი ენერგოსაფრთხოების ეფექტიან პარადიგმას ქმნის. ინფრასტრუქტურული მედეგობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდში, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მაქსიმალურად ცდილობენ რუსული გაზის იმპორტის შემცირებასა და მწვანე, განახლებად ენერჯიაზე გადასვლას²².

ენერგოპარტნიორების დივერსიფიცირების კონტექსტში იზრდება სამხრეთ კავკასიის რეგიონის, კერძოდ კი კასპიისა და შავ ზღვაზე გამავალი სატრანზიტო გზების მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრო კაბელის ინიციატივის განხილვა, რომლის მთავარი მიზანია “მწვანე ენერჯის” ტრანზიტი აზერბაიჯანიდან საქართველოში, საქართველოდან რუმინეთში, ხოლო რუმინეთიდან კი ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, ევროკავშირის კომისია აქტიურად ცდილობს, რომ ტერმინალებისა და მილსადენების ახალი პროექტები შესთავაზოს პარტნიორებს, რომლებსაც მიმდინარე გეოპოლიტიკური არასტაბილურობის გათვალისწინებით, ეფექტიანი დაცვა სჭირდებათ²³.

განახლებად ენერჯიასთან ერთად გასათვალისწინებელია NATO-ს სახელმწიფოებში თხევად ბუნებრივ გაზზე (LNG) მოთხოვნის ზრდა, რაც დამატებით იმპერატივს ქმნის სატრანზიტო გზების დასაცავად. ვინაიდან თხევადი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ზღვის გავლით ტანკერებითა და სუპერტანკერებით იქნება შესაძლებელი, NATO-ს მიერ საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ამ თვალსაზრისით, NATO-ს საზღვაო ძალებს შავ ზღვაში პოზიციების განმტკიცება შეუძლიათ, რათა უზრუნველყონ ენერგორესურსების

²¹ Michael Ruhle, Julijus Grubliauskas. 2015. "Energy as a Tool of Hybrid Warfare." NATO Defense College 1-7.

²² European Commission. 2022. REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy. March 8. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_1511

²³ Vaclav Bartuska, Petr Lang, Andrej Nosko. 2019. "The Geopolitics of Energy Security in Europe." Carnegie Europe. November 28.

უსაფრთხო ტრანზიტი სამხრეთ კავკასიიდან ევროპისკენ. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვანია NATO-ს და თურქეთის აქტიური თანამშრომლობა²⁴.

საზღვაო ინფრასტრუქტურის გარდა, NATO-ს სპეციალურ ძალებს შეუძლიათ, წევრ სახელმწიფოებს ხმელეთზე განთავსებული ენერგოინფრასტრუქტურის დაცვის გარანტიებიც შესთავაზონ. ამ მიმართულებით ნიშანდობლივია NATO-ს საპასუხო ძალები (NATO Response Force), რომლებიც თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტაციისა და მზადყოფნის ყოვლისმომცველი გეგმის ნაწილია. იგი ვრცელდება როგორც საჰაერო, აგრეთვე სახმელეთო და საზღვაო სივრცეში, რაც კრიტიკული ინფრასტრუქტურის ეფექტიანი დაცვისა და უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა²⁵. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს NATO-ს საპასუხო ძალების ახალი ინიციატივა ჩამოყალიბდა, რომელიც ევროკავშირი- NATO-ს საპასუხო ძალების პროექტის სახელით არის ცნობილი. პროექტის უმთავრესი მიზანია იმ ტრანსპორტის, ენერჯისა და ციფრული ინფრასტრუქტურის დაცვა, რომელიც უკრაინის ომის შემდეგ ახალი რისკების, კიბერთავდასხმებისა და ჰიბრიდული ომის საშიშროების ქვეშ აღმოჩნდა²⁶.

შესაბამისად, NATO-ს საპასუხო ძალებს ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ საზღვაო თუ სახმელეთო ინფრასტრუქტურის დაცვისა და მედეგობის უზრუნველყოფაში, რისი საჭიროებაც უკრაინის ომის შედეგად წარმოიშვა. NATO-ს ოპერაციებისთვის აღნიშნული პროცესი სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან ალიანსის სამხედრო აქტივობები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამოქალაქო ენერგეტიკული ქსელების მედეგობასა და სატრანსპორტო სისტემის გამართულობაზე, რაც კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის აუცილებლობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს²⁷.

დასკვნა

ჰიბრიდული ომი გულისხმობს კონვენციური და არაკონვენციური საშუალებების გამოყენებას სტრატეგიულ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. უკრაინის ომის კონტექსტში, ჰიბრიდული საომარი მოქმედებების გამოყენების კუთხით განსაკუთრებით აქტიურია რუსეთი, რომელიც ენერჯის ინსტრუმენტალიზაციით ცდილობს ევროკავშირისა და NATO-ს წევრი სახელმწიფოების დასუსტებას. აღნიშნული ქმედებების შედეგია ენერჯის მიწოდების სისტემის რღვევა,

²⁴ Ratsiborynska, Vira. 2018. "Russia's hybrid warfare in the form of its energy manoeuvres against Europe" how the EU and NATO can respond together?" NATO Defense College, Research Division

²⁵ NATO. 2022. Strategic Concept. Madrid: Heads of State and Governments.

²⁶ European Commission. 2023. "EU-NATO Task Force on the Resilience of Critical Infrastructure: Final Assessment Report." Brussels.

²⁷ NATO. 2021, January 13. NATO Review. <https://www.nato.int/docu/review/articles/2021/01/13/energy-security-in-the-era-of-hybrid-warfare/index.html>

არასტაბილურობა, ფასების რყევა, კიბერთავდასხმები და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება.

შესაბამისად, მიმდინარე გეოპოლიტიკურ რეალობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება NATO-ს როლი, რომლის თავდაცვითი ფუნქციებიც უნდა ადაპტირდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან.

კვლევამ ცხადყო, რომ ენერჯის იარაღად გამოყენების კონტექსტში, NATO-ს სამი ძირითადი ფუნქციის შესრულება შეუძლია. პირველი მოიცავს ენერგორესურსებთან დაკავშირებით სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების პოტენციური რისკების ანალიზს. მეორე ფუნქცია მოიცავს წევრი ქვეყნების ინფრასტრუქტურული მედეგობის ხელშეწყობას სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და მატერიალური დახმარების მეშვეობით. ხოლო მესამე - ენერჯის სატრანზიტო გზების დაცვას გულისხმობს როგორც საზღვაო, აგრეთვე სახმელეთო სივრცეში. ეს უკანასკნელი სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად ცდილობენ რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირებას და ალტერნატიულ გზებს ეძებენ განახლებადი, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ენერჯის იმპორტირებისთვის. ამ მიმართულებით, სავარაუდოა, რომ გაიზრდება სამხრეთ კავკასიის, კერძოდ, კი შავი ზღვის სატრანზიტო ფუნქცია, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში NATO-ს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. NATO-ს აქვს შესაძლებლობა, სპეციალური ძალებისა და ევროკავშირთან ახლო კოოპერაციის მეშვეობით, სატრანზიტო გზებისა და კრიტიკული ენერგოინფრასტრუქტურის დაცვის ეფექტიანი გარანტიები შესთავაზოს წევრ სახელმწიფოებს.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ენერგოუსაფრთხოების ინტეგრირება კოლექტიური თავდაცვის პუნქტში მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, არსებობს ალტერნატიული გზები, რომლის მეშვეობითაც NATO-ს შეუძლია ენერჯის „ვეკონიზაციის“ წინააღმდეგ ბრძოლა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკრაინის ომის კონტექსტში, რასაც ხაზი გაესვა ვილნიუსის სამიტზე და მკაფიოდაა გაცხადებული NATO-ს 2022 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში. აქედან გამომდინარე, კვლევამ დაადასტურა, რომ მომდევნო წლებში გაიზრდება NATO-ს მნიშვნელობა ენერგოუსაფრთხოებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის კუთხით, რაც ალიანსს ახალ ფუნქციას მიანიჭებს და ჰიბრიდულ გამოწვევებთან ადაპტირების უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Belo, David Carment and Dani. 2018. War's Future: The Risks and Rewards of Grey-Zone Conflicts and Hybrid Warfare. Calgary: Canadian Global Affairs Institute.
- 14 Jun. 2021. "Brussels Summit Communiqué." Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Brussels 14 June 2021. Brussels: NATO.
- Chernyshov, Oleksiy. 2022. Together, we can blunt Russia's energy weapon. December 13. <https://www.politico.eu/article/russia-ukraine-energy-infrastructure-gas-production-naftogaz-moldova/>.
- Clausewitz, Carl Von. 1976. On War. Chichester, West Sussex: Princeton University Press.
- Conley, James Mina, Ruslan Stefanov, Martin Vladimirov. 2016. The Kremlin Playbook: Understanding Russian Influence in Central and Eastern Europe. Washington: Center for Strategic and International Studies (CSIS).
- Dr Arnold C. Dupuy, Dr Dan Nussbaum, Vytautas Butrimas, Alkman Granitsas. 2021. Energy security in the era of hybrid warfare. January 13. <https://www.nato.int/docu/review/articles/2021/01/13/energy-security-in-the-era-of-hybrid-warfare/index.html>.
- . 2021. NATO Review . January 13. <https://www.nato.int/docu/review/articles/2021/01/13/energy-security-in-the-era-of-hybrid-warfare/index.html>.
- European Commission . 2022. REPowerEU: Joint European action for more affordable, secure and sustainable energy. March 8. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1511.
- European Commission. 2023. "EU-NATO Task Force on the Resilience of Critical Infrastructure: Final Assessment Report." Brussels.
- Grubliauskas, Julijus. 2014. NATO's energy security agenda. May 9. <https://www.nato.int/docu/review/articles/2014/05/09/natos-energy-security-agenda/index.html>.
- Hoffman, Frank G. 2009. "Hybrid Warfare and Challenges." Joint Force Quarterly 34-39.
- Iftimie, Marc Ozawa and Ion Alexandru. 2020. "Russia's energy policy as a foreign policy instrument." NATO Defense College 14-20.
- Jopling, Lord. 2018. Committee on the civil dimension of security (CDS), Countering Russia's Hybrid Threats: An Update. United Kingdom: NATO Parliamentary Assembly.
- Khamashuridze, Zurab. 2008. "Energy Security and NATO: Any Role for the Alliance?" Connections, Vol. 7, No. 4 43-58.
- Michael Aaronson, Sverre Diessen, Yves De Kermabon,. 2011. "NATO Countering the Hybrid Threat." PRISM 2, No. 4 111- 124.
- Michael Rühle, Julijus Grubliauskas. 2015. "Energy as a Tool of Hybrid Warfare." NATO Defense College 1-7.
2014. NATO. November 20. https://www.nato.int/cps/en/natohq/news_114965.htm.
- NATO. 2022. Readiness Action Plan. September 01. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_119353.htm#:~:text=The%20RAP%20provides%20the%20Alliance,and%20sea%20lines%20of%20communication.
- NATO Reflection Group. 2020. NATO 2030: United for a New Era. Analysis and recommendations of the Reflection Group appointed by the NATO Secretary General. Brussels: Thierry Tardy.

NATO. 2022. Strategic Concept. Madrid: Heads of State and Governments.

Oğuz, Şafak. 2016. "The new NATO: Prepared for Russian hybrid warfare?" Insight Turkey 165-180.

PJSC Gazprom's Share Capital Structure, %. 2020. Gazprom Group. December 31. <https://sustainability.gazpromreport.ru/en/2020/3-about-the-gazprom-group/appendix/>.

Ratsiborynska, Vira. 2018. "Russia's hybrid warfare in the form of its energy manoeuvres against Europe" how the EU and NATO can respond together?" NATO Defense College, Research Division.

2005. Russia's Energetic Enigma. October 6. <https://www.economist.com/special-report/2005/10/06/russias-energetic-enigma>.

States, U.S. Department of. 2020. Secretary Michael R. Pompeo at a Press Availability. July 15. <https://2017-2021.state.gov/secretary-michael-r-pompeo-at-a-press-availability-9/index.html>.


Trenin, Dmitri. 2008. "Energy geopolitics in Russia-EU relations." In Pipelines, Ppolitics and Power, by Charles Grant, 15-25. London: Centre For European Reform.

Vaclav Bartuska, Petr Lang, Andrej Nosko. 2019. Carnegie Europe. November 28.


президент российской федерации. 2019. "доктрина энергетической безопасности." May 13. <http://static.kremlin.ru/media/events/files/ru/rsskwUHzl25X6lijBy20D0j88faOQLN4.pdf>.

დანართები


Gazprom's shareholder structure as of December 31, 2021



დანართი 1, გაზპრომის კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა



დანართი 2: ვინ ყიდულობს რუსეთის წიაღისეულს 2023 წელს?



დანართი 3



საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ღია კოსმოსი და საერთაშორისო უსაფრთხოება - NATO-ს როლი და მნიშვნელობა

ავტორი: მარიამ კახიძე



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

XX საუკუნის მიწურულამდე კოსმოსში ომების წარმოება მხოლოდ მეცნიერებისა და ფანტასტიკის სფეროსთვის წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს, თუმცა 1990 წლის¹ შემდგომ ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტები შესაძლოა მოიცავდეს კოსმოსური ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას.² ამ კუთხით, სპარსეთის ყურის ომი („Gulf War“)³ შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც პირველი „კოსმოსურ ომი“⁴. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად კოსმოსში არ მიმდინარეობდა, ის გარკვეულწილად ეყრდნობოდა კოსმოსში არსებულ რესურსებს, ხმელეთზე მიმდინარე ომის მხარეების სამხედრო მიზნების განხორციელებისთვის.⁵ აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, სამხედრო დოქტრინა სრულად აღიარებს,⁶ რომ მომავალი ომები იწარმოებს კოსმოსური სივრცის გამოყენებით ან თუნდაც კოსმოსში. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა⁷ წარმოშვა ვარაუდი, რომ შესაძლოა დიდი დრო არ დასჭირდეს იმას, რომ კოსმოსი „კონფლიქტის თეატრად“⁸ გადაიქცეს. ამ მიმართულების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ამოუცნობი კოსმოსური ობიექტის გაშვება, რომელსაც შეეძლო განსაზღვრული მანევრების

¹ ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ცდილობდნენ საკუთარი პოზიციების გაძლიერებას კოსმოსურ სივრცეში (პროგრამა : show the flag). 1990 წლის ბოლოს ჩინეთმა წამოიწყო მასშტაბური პროგრამები კოსმოსური სივრცის ათვისების მიმართულებით, რამაც წარმოაჩინა ახალი შესაძლებლობები ამ სივრცის სახმედრო მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

² Cheng, Bin, The United Nations and Outer Space, 7 United Nations Resolutions on Outer Space: 'Instant' International Customary Law?, Studies in International Space Law, Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 1997, p. 157

³ სპარსეთის ყურის ომი, "Gulf War", 1991: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მიერ კოსმოსური თანამგზავრების ფართო მასშტაბებით გამოყენება

⁴ Maćák, Kubo, Military Space Operations, ECIL Working Paper 2020/2, forthcoming in Sergey Sayapin (ed.), An Introduction to International Conflict and Security Law (T.M.C. Asser Press 2020), Exeter Centre for International Law Working Paper Series, p. 4

⁵ Ramey, Major Robert A, Armed Conflict on the Final Frontier: The Law of War in Space, 2000, 48 The Air Force Law Review 1, p. 4

⁶ Steven, Bruger, Not Ready for the First Space War: What about the Second?, Naval War College Review Vol. 48, No. 1, Winter 1995, pp. 73-83

⁷ იგელისხმება, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი (დაწყების თარიღი: 2022 წელი) და რუსეთის მექარა, რომ თანამგზავრებს, რომლებიც ეხმარებიან კონფლიქტის დროს უკრაინელებს, „ლეგიტიმურ სამიზნედ“ მიიჩნევა და მათ ჩამოაგდებენ. Tepper, Eytan, The First Space-Cyber War and the Need for New Regimes and Policies, OIGI Policy Brief No. 173, May 16, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.cigionline.org/publications/the-first-space-cyber-war-and-the-need-for-new-regimes-and-policies/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023; კენჭელია, ლელა, იქნება თუ არა „ვარსკვლავური ომი“ - რუსეთი ამერიკულ თანამგზავრებს ემეორება, 28 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32105906.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023; "კოსმოსური ომის" დასაწყისი ანუ კრემლს უკრაინასთან ომი დედამიწის ორბიტაზე გადააქვს და იღონ მასკის თანამგზავრების ჩამოყრით იმეორება?!, 27 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://kvispalftra.ge/article/97479-kosmosuri-omis-dasacqisi-anu-kremils-ukrainastan-omi-dedamicis-orbitaze-gadaakvs-da-ilon-maskis-tanamgzavrebis-chamoqrit-imukreba/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023;

⁸ Stephens, Dale, The International Legal Implications of Military Space Operations: Examining the Interplay between International Humanitarian Law and the Outer Space Regime, International Law Studies 94, 2018, p. 7

გაკეთება;⁹ ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების (შემდგომში: აშშ) მიერ კოსმოსური თვითმფრინავის სატესტო ვერსიების გამოყენება, რომელიც ცნობილია, როგორც X-37B, რომელიც ზოგიერთი მოსაზრებით მიჩნეულია კოსმოსურ იარაღად.¹⁰

2023 წლის 11 ივლისს ვილნიუსში გაიმართა NATO-ს წევრ სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრა. საბოლოო შეთანხმების დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კოსმოსის უსაფრთხოებას.

NATO-ს 2022 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში აღიარებულია კოსმოსის მზარდი მნიშვნელობა სახელმწიფოთა უსაფრთხოებისთვის. კოსმოსის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა NATO-ს და მისი წევრების შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრონ ან უპასუხონ საფრთხეებს უფრო მეტი ეფექტურობითა და სიზუსტით. თუმცა, დადებით ფაქტორებს თან ახლავს ახალი გამოწვევები. კოსმოსური სივრცის მრავალ დანიშნულებისამებრ გამოყენებამ, სუბიექტებისა და აქტივების მზარდმა რაოდენობამ, ისევე როგორც ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ, შექმნა ახალი შესაძლებლობები – მაგრამ ასევე ახალი რისკები, დაუცველობა და საფრთხე მოკავშირეთა უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის. აღნიშნული მოცემულობა NATO-ს მხრიდან მოითხოვს, გადახედოს, თუ როგორ შეუძლია შეინარჩუნოს სტრატეგიული უპირატესობა კოსმოსში.

მაშინ, როდესაც ღია კოსმოსი ჯერ კიდევ დაურეგულირებელ სივრცეს წარმოადგენს და არ არსებობს კოსმოსური სივრცის გამოყენების მონესრიგების სრულყოფილი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, ეს მოცემულობა სახელმწიფოებს სთავაზობს მოქმედების ფართო შესაძლებლობებს. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც თეორიულად - სამართლებრივი კუთხით, ისე პრაქტიკული მიმართულებით, მრავალ გამოწვევას ვაწყდებით, საინტერესოა ამ პროცესებში გაანალიზებული იქნას ისეთი მნიშვნელოვანი და ღირებული ორგანიზაციის როლი, როგორცაა NATO. სწორედ ეს საკითხები იქნება განხილული ქვემოთ მოცემულ თავებში.

ღია კოსმოსის დეფინიცია საერთაშორისო სამართალში

ბევრი კითხვა ჩნდება ტერმინ „კოსმოსის“ განსაზღვრის სირთულის გამო.¹¹ საერთაშორისო სამართლის მიზნებისთვის, „ღია კოსმოსი“ განისაზღვრება, როგორც

⁹ Listner, Michael, Johnson-Freese, Joan, Object 2014-28E: Benign or Malignant?, Space News, 8 December 2014, online: Space New, spacenews.com/4289object-2014-28e-benign-or-malignant/, ბოლოს ნანახია: 23/01/2023

¹⁰ Ghoshroy, Subrata, The X-37B: Backdoor weaponization of Space?, 2015, 71:3, Bulletin of the Atomic Scientists 19, online: The Bulletin of Atomic Scientists, thebulletin.org/2015/may/x-37b-backdoor-weaponization-space8292, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

ციური სხეულები და მათ შორის არსებული სიცარიელე.¹² კოსმოსი არ წარმოადგენს სტანდარტულ სახელმწიფო სუვერენულ სივრცულ ერთეულს.¹³ კოსმოსურ სივრცეს აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ღირებულება როგორც სახელმწიფოებისთვის, ასევე არასახელმწიფოებრივი აქტორებისთვის.¹⁴ კოსმოსი არის სივრცე, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთი სახელმწიფოს იურისდიქციას¹⁵ და მასზე სახელმწიფოებს სუვერენული უფლებები ვერ წარმოეშვებათ, თუმცა ბოლო პერიოდში, შეინიშნება განსხვავებული მოსაზრებები.¹⁶ ამასთან, საინტერესო საკითხია, კოსმოსი წარმოადგენს *terra nullius* –ს თუ *terra communis* -ს - აღნიშნული კითხვა იურისტებსა შორის დავის საგნად რჩება.¹⁷ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართლის მიდგომა არის ის, რომ ღია კოსმოსის მიმართ გამოიყენება *res communis* და არა *terra nullius*-ის კონცეფცია. *res communis* პრინციპი გულისხმობს, რომ კოსმოსი კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა.

გარე კოსმოსისა და ციური სხეულების ეს სტატუსი, რომლის მიხედვით, ისინი არ ექვემდებარებიან სახელმწიფოთა ეროვნულ რეგულირებას, აყენებს მათ *erritorium extra commercium*-ის კატეგორიაში.¹⁸

კოსმოსური სივრცის რეგულირება

იმისათვის, რომ შევაფასოთ, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს NATO-მ ღია კოსმოსში შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ, რა სამართლებრივი ნორმები მოქმედებს ამ სივრცეში და რა სამართლებრივი საფუძვლები არსებობს NATO-ს მხრიდან რეგირებისთვის. სამხედრო ოპერაციების თუ საპასუხო შეტევის დაგეგმისა და განხორციელებისას NATO-მ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის წესები და პრინციპები.

¹¹ Stephens, Dale, The International Legal Implications of Military Space Operations: Examining the Interplay between International Humanitarian Law and the Outer Space Regime, *International Law Studies* 94, 2018, p. 3

¹² Kubo, Mačák, Military Space Operations, *EOIL Working Paper 2020/2*, forthcoming in Sergey Sayapin (ed.), *An Introduction to International Conflict and Security Law* (T.M.C. Asser Press 2020), Exeter Centre for International Law Working Paper Series, p. 5-10

¹³ Wolter, Detlev, *Common Security in Outer Space and International Law*, United Nations Institute for Disarmament Research UNIDIR, Geneva, Switzerland, United Nations, 2006, Sales No. GV.E.06.0.3, p. 9

¹⁴ Gutzman, James, State responsibility for non-state actors in times of war: Article VI of the Outer Space Treaty and the law of neutrality, *McGill University, Institute of Air and Space Law*, 2018, p. 8

¹⁵ Wolter, Detlev, *Common Security in Outer Space and International Law*, United Nations Institute for Disarmament Research UNIDIR, Geneva, Switzerland, United Nations, 2006, Sales No. GV.E.06.0.3, p. 9

¹⁶ Collis, Christy, Territories beyond possession? Antarctica and Outer Space, *The Polar Journal* Volume 7, 2017 - Issue 2, p. 287-302

¹⁷ Collis, Christy, Collis, Christy, Territories beyond possession? Antarctica and Outer Space, *The Polar Journal* Volume 7, 2017 - Issue 2, p. 287-302

¹⁸ Gangawat, Amany Shree (2020) Re-exploring Terra Nullius and Property Rights in Space: Could a Lunar Settlement Claim the Lunar Estate? *Advanced Space Law*, Volume 6, 13-22

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის წესები და პრინციპები მოქმედებს ყველა სივრცეში, განურჩევლად გეოგრაფიული საზღვრებისა. ამასთან, NATO-ს აქვს შესაძლებლობა, მოკავშირეთა კოსმოსური აქტივები დაფაროს მე-5 მუხლის ფარგლებში. NATO-ს წესდების მე-5 მუხლი განმარტავს, რომ ალიანსს შეუძლია გამოიყენოს კოლექტიური თავდაცვა გარკვეულ შემთხვევებში. წესდების მე-6 მუხლის მიხედვით კი, „ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიზნებისთვის, მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა ჩაითვლება ასეთად, თუ იგი განხორციელდა: ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, და მონაწილე მხარის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ან კუნძულებზე, რომლებიც არიან ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით; ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განლაგებულია ხსენებულ ტერიტორიებზე ან ევროპის ნებისმიერ სხვა ნაწილში, სადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს რომელიმე მხარის საოკუპაციო ძალები იმყოფებოდნენ, ან ხმელთაშუა ზღვის, ან ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში კირჩხიბის ტროპიკის ჩრდილოეთით ტერიტორიებზე.“¹⁹ როგორც ვხედავთ, ხელშეკრულებით დაწესებული გეოგრაფიული საზღვრების ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული ღია კოსმოსი. თუმცა, ამ შემთხვევაში, სიტყვასიტყვითი განმარტების გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი, ვინაიდან თანამედროვე საფრთხეების, NATO-ს მიზნებისა და ხელშეკრულების ამოცანების გათვალისწინებით, ნათელია, რომ ალიანსის მიზნი არ არის რომელიმე გეოგრაფიული არეალის საბრძოლო სივრცედ გადაქცევა და ის ემსახურება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ნებისმიერი საფრთხე, არ აქვს მნიშვნელობა რომელ გარემოში წარმოიშვება ის, რომელიც არღვევს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას, ეწინააღმდეგება NATO-ს მიზნებს და კონკრეტულ შემთხვევებში იძლევა რეაგირების საშუალებას. ხელშეკრულების მე-5 მუხლში არის მითითება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების სამართლის წესები გამოიყენება ამ შემთხვევაშიც.

იმისათვის, რომ ზემოთ აღნიშნული შემთხვევები არ დარჩეს რეგულირების გარეშე, და სამართლებრივი ნორმები არ გახდეს უმოქმედო, უმჯობესი იქნება, თუკი ჩანანერი პირდაპირ მიუთითებს, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების გეოგრაფიული საზღვრები არ გამოორიცხავს ღია კოსმოსს. თავდასხმებმა, ჩარევამ ან კოსმოსურ ობიექტებზე ზემოქმედებამ ორბიტაზე ნებისმიერ ადგილას შეიძლება გააუარესოს NATO-ს შესაძლებლობები. ამიტომ, მე-6 მუხლის ფარგლების გაფართოება მიანიშნებს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომ კოსმოსში წარმოებული სამხედრო თუ არასამხედრო მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევენ საფრთხეს ჩრდილო-

¹⁹ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 4 აპრილი, 1949, მუხლი 6

ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებისთვის, არ იქნება მისაღები და მასზე მოხდება რეაგირება.²⁰

ღია კოსმოსის ხელშეკრულების III მუხლი ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართალი მოქმედებს კოსმოსურ სივრცეში განხორციელებულ ქმედებებზე. ვინაიდან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილი, მისი წესები გამოიყენება ღია კოსმოსში და ამგვარად, III მუხლი მოიცავს ამ წესებსაც: *a maiori ad minus*.²¹

ჟენევის 1949 წლის კონვენციები არის იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციებში ცალსახად არ არის მოხსენიებული კოსმოსში მიმდინარე ომები, 1949 წლის ჟენევის საერთო კონვენციების 1-ლი მუხლის მიხედვით, „მაღალი ხელშეკრული მხარეები იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის პატივისცემა ყველა ვითარებაში“.²² ასეთი ჩანაწერი საშუალებას იძლევა კონვენციები გავრცელდეს მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შეიარაღებული კონფლიქტების ფართო მასშტაბებზე. ეს მიდგომა ასევე ასახავს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს.²³ ფრაზა „ყველა ვითარებაში“ ყოვლისმომცველია და ვრცელდება ნებისმიერ ადგილზე, სადაც შეიძლება მოხდეს შეიარაღებული კონფლიქტი, მათ შორის კოსმოსში, მას არ აქვს გეოგრაფიული საზღვრები.²⁴

იმისათვის, რომ გარკვეული საფრთხეები და შემთხვევები არ დარჩეს უპასუხოდ, სამართალი არ იყოს ჩუმი და უმოქმედო, შესაძლებელია ამ შემთხვევების მონესრიგება სამართლის მთელი სისტემის და ზოგადი პრინციპების საფუძველზე. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილულ პირველ, კორფუს არხის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ალბანეთის ვალდებულება, გაეფრთხილებინა სახელმწიფოები თავის ტერიტორიულ წყლებში განთავსებული საზღვაო ნაღმების შესახებ, წარმოიშვა არა სახელშეკრულებო ნორმიდან, რომელიც გათვალისწინებული იყო სიტყვიერად რომელიმე დოკუმენტში („black letter rules“)

²⁰ NATO, "Press conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg ahead of the meetings of NATO Ministers of Foreign Affairs," 19 November 2019, ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_170972.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

²¹ Stephens, Dale, *The International Legal Implications of Military Space Operations: Examining the Interplay between International Humanitarian Law and the Outer Space Regime*, *International Law Studies* 94, 2018, pp. 75-101; Stephens, Dale, Steer, Cassandra, *Conflicts in Space: International Humanitarian Law and its Application to Space Warfare*, *Annals of Air and Space Law* 40, 2015, p. 11

²² GC I – IV, *supra* note 31, art 1

²³ Henckaerts, , Jean-Marie, Louise, Doswald-Beck, *Customary International Humanitarian Law*, Volumes I, II(1), and II(2), Cambridge University Press, Cambridge, 2005, Volume I, rule 139; *The Republic of Nicaragua v. The United States of America, Case Concerning Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Merits)*, Judgment, 1986, ICJ Rep 14, para. 220

²⁴ Hathaway, Oona, *Ensuring Responsibility: Common Article 1 and State Responsibility for Non-State Actors*, *Texas Law Review* 95, 2017, p 576 (interpreting the phrase as meaning that the obligations to which it applies 'do not have a geographic or temporal threshold').

არამედ ის გამომდინარეობდა სამართლის ზოგადი და ფართოდ აღიარებული პრინციპიდან, კერძოდ: ჰუმანურობის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებიდან.²⁵²⁶²⁷

კოსმოსური სივრცე და მისი სამართლებრივი რეჟიმი

უნდა ითქვას, რომ არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა ეხება მხოლოდ კოსმოსის კონკრეტულ ასპექტებს. ამ დრომდე არ არსებობს საყოველთაო დოკუმენტი, რომელსაც ექნებოდა ფართო იურისდიქცია კოსმოსში და შესაბამისად, დიდწილად გაურკვეველია, ვინ აღასრულებს კოსმოსური სივრცის შესახებ წესებს. ამჟამად არსებობს შემდეგი ხელშეკრულებები კოსმოსურ სამართალთან დაკავშირებით: 1967 წლის ხელშეკრულება პრინციპების შესახებ, რომლებიც არეგულირებს სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსის გამოკვლევისა და გამოყენებისას, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით (ღია კოსმოსის შესახებ ხელშეკრულება); 1968 წლის შეთანხმება ასტრონავტების გადარჩენის, ასტრონავტების დაბრუნებისა და კოსმოსში გაშვებული ობიექტების დაბრუნების შესახებ;²⁸ 1972 წლის კონვენცია კოსმოსური ობიექტებით მიყენებული ზიანისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ;²⁹ 1976 წლის კონვენცია კოსმოსში გაშვებული ობიექტების რეგისტრაციის შესახებ;³⁰ 1979 წლის შეთანხმება, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა საქმიანობას მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე.³¹ მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანის სფეროციფიკა.

ამ ხელშეკრულებებიდან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის „ხელშეკრულება პრინციპების შესახებ, რომლებიც არეგულირებს სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსის გამოკვლევისა და გამოყენებისას, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით“. OST-ის მთავარი სისუსტე არის ის, რომ ის ეხება მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის და არა ჩვეულებრივი იარაღის განთავსების

²⁵ Corfu Channel Case (United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v. Albania), April 9, 1949, ICJ Reports 4, General List No. 1, p. 22

²⁶ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), 1986, ICJ Rep 14 [Nicaragua] at 112, para 215.

²⁷ Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, ICJ Reports 226 [Nuclear Weapons], 1996

²⁸ The Agreement on the Rescue of Astronauts, the Return of Astronauts and the Return of Objects Launched into Outer Space, (შემდგომში: Rescue Agreement), UN General Assembly, 19 December, 1967

²⁹ The Convention on International Liability for Damage Caused by Space Objects, (შემდგომში: the Space Liability Convention), United Nations Office for Outer Space Affairs, March 29, 1972

³⁰ The Convention on Registration of Objects Launched into Outer Space (შემდგომში: the Registration Convention), UN, November 12, 1974

³¹ The Agreement Governing the Activities of States on the Moon and Other Celestial Bodies, (შემდგომში: the Moon Treaty or Moon Agreement), New York, UN, December 18, 1979

აკრძალვას კოსმოსურ სივრცეში. OST-ის მოქმედების ნაკლებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე კონტექსტში, სადაც სახმელეთო იარაღი, როგორცაა ანტისატელიტური (ASAT)³² იარაღი³³ არსებობს კოსმოსური აქტივების დასამიზნებლად. გარდა ამისა, OST-ის ბუნდოვანი ენა იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ სახელმწიფოები თავიანთ კოსმოსურ რესურსებს, აჩენს დამატებით კითხვებს, რადგან სახელმწიფოებმა საკუთარ თავზე აიღეს ტერმინების განსაზღვრის უფლება საკუთარი ეროვნული პრიორიტეტებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, ტერმინების: "კოსმოსური იარაღი", ღია კოსმოსის "დაცვის" ან "მშვიდობიანი" მიზნებისთვის გამოყენება და "ასტრონავტის" განმარტებები განვითარდა, დროთა განმავლობაში შეიცვალა და იმის გამო, რომ ერთიანი სტანდარტი არ არსებობს, წარმოშობს მრავალ პრობლემას.³⁴

ამ ხარვეზების შესავსებად, შეიქმნა ოთხი დამატებითი ხელშეკრულება, მაგრამ საკმარისი მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოხერხდა და წინა ხელშეკრულებების ხარვეზების გამოსწორებაც ნაკლებად მოხდა. სპეციალური ნორმები, რომლებიც დეტალურად დაარეგულირებს ღია კოსმოსში შეიარაღებული კონფლიქტისას გამოსაყენებლ სამართალს, არ არსებობს.

NATO-ს კოსმოსური ოპერაციები: ისტორიული ექსკურსი

2018 წლის ივლისის ბრიუსელის სამიტზე³⁵ NATO-ს ლიდერებმა აღიარეს, რომ კოსმოსი არის უაღრესად დინამიური და სწრაფად განვითარებადი სფერო, რომელიც არსებითია ალიანსის უსაფრთხოებისთვის და შეთანხმდნენ NATO-ს ყოვლისმომცველი კოსმოსური პოლიტიკის შემუშავებაზე.³⁶

2019 წლის ივნისის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე მოკავშირეებმა მიიღეს NATO-ს კოსმოსური პოლიტიკა.³⁷

³² Anti-satellite weapons (ანტისატელიტური იარაღი),

³³ Weeden, Brian, 2007 Chinese Anti-Satellite Test: Fact Sheet, 2012, ხელმისაწვდომია:

https://swfound.org/media/205391/chinese_asat_fact_sheet_updated_2012.pdf, ბოლოს ნანახია: 23/01/2023

³⁴ Vermeer, Arjen, A Legal Exploration of Force Application in Outer Space, Military Law and Law of War Review, 2007, 46, 299-340

³⁵ NATO, "Brussels Summit Communiqué," Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Brussels, 14 June 2021, ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

³⁶ Giudice, Flavio. Patrick, John, Kroeger, Robert, Vrac, Stephanie, "The Continued Evolution Of Space Effects And Capabilities Within Nato Trident Exercises," The Three Swords Magazine, Issue No. 32, 2019, ხელმისაწვდომია:

https://www.iwc.nato.int/images/stories/news_items/2019/three-swords/NATOSpaceSupport2019.pdf, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

³⁷ Silverstein, Benjamin, "NATO's Return To Space," War On The Rocks, 3 August 2020, ხელმისაწვდომია:

<https://warontherocks.com/2020/08/natos-return-to-space/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

2019 წლის დეკემბერში ლიდერთა შეხვედრაზე ლონდონში, მოკავშირეებმა გამოაცხადეს კოსმოსი მეხუთე ოპერაციულ დომენად, საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და კიბერსივრცის გვერდით.

2020 წლის 22 ოქტომბერს თავდაცვის მინისტრებმა გადაწყვიტეს NATO-ს კოსმოსური ცენტრის შექმნა რამშტეინში, რომლის მიზანი იყო მოკავშირეთა ძალისხმევის კოორდინაცია, NATO-ს მისიებისა და ოპერაციების მხარდაჭერა და ინფორმაციის გაზიარება.³⁸ ის მიზნად ისახავს, NATO-ს საშუალება მისცეს, გაამარტივოს მოთხოვნები ეროვნული კოსმოსური ერთეულებისთვის, რათა ალიანსის მეთაურებს ჰქონდეთ სწრაფი წვდომა კოსმოსურ სერვისებსა და მონაცემებზე საჭიროების შემთხვევაში.

2021 წლის ივნისის ბრიუსელის სამიტზე NATO-ს ლიდერებმა განაცხადეს, რომ შეტევები კოსმოსურ სივრცეზე ან მის შიგნით წარმოადგენს აშკარა გამოწვევას ალიანსის უსაფრთხოებისთვის, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოთა ეროვნულ და ევროატლანტიკურ კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას. ეს შეიძლება ისეთივე საზიანო იყოს თანამედროვე საზოგადოებებისთვის, როგორც ჩვეულებრივი თავდასხმა. ასეთმა თავდასხმებმა შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როდის გამოიწვევს ასეთი თავდასხმები მე-5 მუხლის გამოყენებას, ჩრდილო ატლანტიკური საბჭო მიიღებს თითოეულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

2021 წლის ნოემბერში NATO-ს მოკავშირეებმა დაგმეს 2021 წლის 15 ნოემბერს რუსეთის დაუფიქრებელი და უპასუხისმგებლო სატელიტური სარაკეტო გამოცდა. ამ ტესტმა გამოიწვია ორბიტალური ნამსხვრევების ველის წარმოქმნა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანთა სიცოცხლის საფრთხის რისკები. კოსმოსი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის. NATO-ს მოკავშირეები რჩებიან ამ მიდგომის ერთგულები, რათა დაიცვან და შეინარჩუნონ კოსმოსზე მშვიდობიანი წვდომა და გამოიკვლიონ კოსმოსური სივრცე მთელი კაცობრიობისთვის სასარგებლო მიზნებისთვის.

2022 წლის ივნისის მადრიდის სამიტზე NATO-ს ლიდერებმა მიიღეს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია, სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ალიანსის წინაშე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს და ასახავს პოლიტიკურ და სამხედრო ამოცანებს, რომლებსაც ალიანსი შეასრულებს მათ გადასაჭრელად. კოსმოსში მზარდი საფრთხეების აღწერის გარდა, სტრატეგიული კონცეფცია ასევე შეიცავს მოკავშირეების ვალდებულებას, გააძლიერონ კოსმოსსა და კიბერსივრცეში ეფექტურად რეაგირების უნარი, რათა თავიდან აიცილონ სამომავლო საფრთხეები.

NATO კოსმოსურ სივრცეში ამჟამად არ მართავს არცერთ საკუთარ თანამგზავრს, არამედ ის მისი წევრი ქვეყნების შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. კოსმოსური

ეპოქის ადრეულ პერიოდში ის მართავდა ზოგიერთ თანამგზავრს, რათა ჰქონოდა საკუთარი უსაფრთხო და სწრაფი სტრატეგიული საკომუნიკაციო ქსელი. NATO-მ პირველი თანამგზავრი გაუშვა 1970 წლის მარტში კვიპ კენედიდან; მას მოჰყვა კიდევ 7 თანამგზავრი, ყველა კოდური სახელწოდებით "NATO".³⁹ მაგრამ 2000-იანი წლების დასაწყისისთვის NATO-მ გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, უბრალოდ ჰქონოდა პირდაპირი წვდომა გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და იტალიის საკომუნიკაციო თანამგზავრებზე პროგრამის საშუალებით, სახელწოდებით SATCOM 2000 და შეწყვიტა საკუთარი თანამგზავრებზე მუშაობა.⁴⁰

ღია კოსმოსი და NATO-ს პოლიტიკა

მას შემდეგ რაც განხილული იქნა, NATO-ს მხრიდან ღია კოსმოსში კონფლიქტის შემთხვევაში ჩარევის შესაძლებლობა, უნდა შეფასდეს ალიანსის პოლიტიკა ამ მიმართულებით. NATO-სთვის მნიშვნელოვანია ისეთი აქტივების შემუშავება, რომლებიც დედამიწის კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს ათვალთვლებენ და მკაფიო სურათს იძლევიან იმის შესახებ, თუ რა ხდება ადგილზე. ამ მიზნით, 2023 წლის თებერვალში სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, NATO-ს მოკავშირეების ჯგუფი ფინეთთან და შვედეთთან ერთად შეთანხმდა, რომ განავითარონ ალიანსის მუდმივი მეთვალყურეობა კოსმოსიდან (APSS). APSS გააძლიერებს თანამშრომლობას NATO-ს ყოვლისმომცველი კოსმოსური პოლიტიკის განხორციელების მხარდასაჭერად. კოსმოსურ აქტივებს, როგორცაა თანამგზავრები, შეუძლიათ რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდება მტრის ძალების გადაადგილების, ამინდის პირობებისა და რელიეფის შესახებ, რაც აუცილებელი ინფორმაციაა ბრძოლის ველის გასაგებად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.⁴¹

ალიანსი განსაზღვრავს ხუთ ძირითად სფეროს, სადაც ის დამოკიდებულია კოსმოსურ აქტივებზე. ეს არის: (1) პოზიციონირება და ნავიგაცია: ზუსტი დარტყმების განხორციელება, ნავიგაცია ან საძიებო-სამაშველო (CSAR) მისიები; (2) ტაქტიკური გაფრთხილება და საფრთხის შეფასება: ძალების დაცვის უზრუნველყოფა, რაკეტების გაშვების შესახებ გადამწყვეტი ინფორმაციის მიწოდება; (3) გარემოსდაცვითი მონიტორინგი: მეტეოროლოგიური პროგნოზირებისა და მისიის დაგეგმვის შესაძლებლობა; (4) კომუნიკაციები სარდლობისა და კონტროლის მიზნებისთვის და (5) სათვალთვალო და სადაზვერვო (ISR) შესაძლებლობები: დაზვერვის უზრუნველყოფა

³⁹ Paulauskas, Kestutis, "Space: NATO's latest frontier," NATO Review, 13 March 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2020/03/13/space-natos-latest-frontier/index.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁴⁰ "The Cold War: Defence and Deterrence," NATO, ხელმისაწვდომია: 2021, https://www.nato.int/cps/us/nato/hq/declassified_138278.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁴¹ Paulauskas, Kestutis, "Space: NATO's latest frontier," NATO Review, 13 March 2020, <https://www.nato.int/docu/review/articles/2020/03/13/space-natos-latest-frontier/index.html>

ბრძოლის არეალზე და მის ფარგლებს გარეთ და სამიზის იდენტიფიცირება. კოსმოზე ნვდომის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ზრდის ალიანსის უნარს, მოახდინოს სწრაფი რეაგირება საფრთხეზე, რასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საფრთხის შეკავებისთვის.

NATO-ს სამხედრო მოქმედებები ღია კოსმოსში: თანამედროვე გამოწვევები და სამომავლო რეკომენდაციები

კოსმოსში განხორციელებულმა ქმედებებმა და ზემოაღნიშნული საშუალებების გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ან დესტაბილიზაცია მოახდინოს ხმელეთზე განლაგებულ ატომურ ელექტრო სადგურებზე, წყალსაცავებზე, სეისმოლოგიურ ცენტრებზე; აგრეთვე გამოიწვიოს მიწისძვრები, წყალდიდობები თუ სხვა ბუნებრივი კატასტროფები, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს მოსახლეობას, ასევე გადამეტებული ზიანი ან არასაჭირო ტანჯვა მიაყენოს კომბატანტებს. ამ მასშტაბის შემთხვევებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ან სულაც, გაანადგუროს არა მხოლოდ გარემო, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, არამედ საფრთხის ქვეშ დააყენოს ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. შესაბამისად, NATO-მ საპასუხო ქმედებების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის ყველა წესი, რათა თავიდან აირიდოს ეს პრობლემები.

კოსმოსში სამხედრო ოპერაციების წარმოებისას "ორმაგი დანიშნულების" (dual-use) თანამგზავრების დიდი რაოდენობა განსაკუთრებულ პრობლემებს წარმოქმნის "გამოყენების" და "დანიშნულების" ცნებების კუთხით. როგორც ჩანს, დღეს სატელიტების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მიზნებისთვის მომსახურების განვას, მზარდია.⁴² გარდა ამისა, არსებობს ისეთი ტიპის თანამგზავრები, რომელთაც სამხედრო მიზანი და დანიშნულება აქვთ, მაგრამ ამასთანვე, მხარეებს სთავაზობენ ისეთ არასამხედრო სერვისებს, როგორიცაა ტელევიზია და ინტერნეტი სამხედრო პერსონალის პირადი სარგებლობისთვის. ასეთ შემთხვევაში, მარტივი არ არის იმის დასაბუთება, რომ ასეთი თანამგზავრის სრული ან ნაწილობრივი განადგურება, დაკავება ან განეიტრალება გარკვეულ სამხედრო უპირატესობას იძლევა. ასეთი საშუალებებით შესაძლებელი იქნება მოწინააღმდეგე მხარის კავშირგაბმულობების და საინფორმაციო საშუალებების იმგვარი დაზიანება, რომ ისინი გამოყენებული იქნას დეზინფორმაციისთვის, მოსახლეობაში ტერორისა და

⁴² Pellon, Johsep, Satellite Security and Performance in an Era of Dual Use, 2004, 6 Online Journal of Space Communication, ხელმისაწვდომია: spacejournal.ohio.edu/issue6/perspectives.html#top, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

შიშის გასაღვივებლად. თანამედროვე სამყაროში, ინფორმაციულ ომს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, შესაბამისად ამგვარი არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს. სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, როგორცაა ენერჯო სადგურები, სატელეკომუნიკაციო ცენტრები, რკინიგზა, გაზის ან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ტრანსპორტის სახეობებიც კი, შეიძლება იყოს ორმაგი დანიშნულების და ემსახურებოდეს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო საჭიროებებს.⁴³ გარდა ამისა, ქარხნებს და კომპანიებს შეუძლიათ აწარმოონ შეიარაღებული ძალებისთვის საჭირო და განსაზღვრული ხელსაწყოები, რაც ასევე გამოიყენებულ შეიძლება იქნას სამოქალაქო პირების მიერ, თუმცა განმარტების მიხედვით, სადავოა, უნდა დაექვემდებაროს თუ არა ასეთი ობიექტი თავდასხმას.⁴⁴ პროპროციულობისა და სამხედრო აუცილებლობის პრინციპები განსაკუთრებით პრობლემურია კოსმოსურ სივრცეში. გარდა იმისა, რომ ზოგადად რთულია განსაზღვრო, თუ რა შეიძლება იყოს ქმედების გრძელვადიანი ეფექტი, კოსმოსურ სივრცეში ორმაგი დანიშნულების თანამგზავრებზე თავდასხმის შემთხვევაში, ეს საკითხი კიდევ უფრო რთული გადასაწყვეტი ხდება, ვინაიდან არსებობს მრავალი პოტენციური მნიშვნელოვანი არაპირდაპირი ზიანი, რაც ასეთ თავდასხმას შესაძლოა მოყვეს: მაგალითად, GPS-ის შეფერხება, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო ავიაციისთვის; ფინანსური ოპერაციები; ტელეკომუნიკაციები, რომლებიც დიდწილად არის დამოკიდებული თანამგზავრის სიგნალებზე; კაშხლები და სხვა ძირითადი წყალსატევები, რომლებიც ავტომატიზირებულია და ა.შ.⁴⁵ სწორედ ასეთ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 52-ე მუხლით გათვალისწინებული კუმულაციური ტესტის მეორე ნაწილი, რადგან ამ ობიექტებზე დამიზნებამ, პეტერბურგის დეკლარაციის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს „მტრის სამხედრო ძალების შესუსტებას“ და წარმოაჩინოს აშკარა სამხედრო უპირატესობა.⁴⁶

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც კოსმოსურ სივრცეს, როგორც კონფლიქტის არეალს, ასე განსხვავებულს ხდის არის ის, რომ ფიზიკური პირები (პილოტები, ოპერატორები და სხვა) ფიზიკურად ძალიან შორდებიან თავიანთ იარაღს და იარაღის ზემოქმედებას - დაახლოებით 100-დან 22,500 მილამდე მანძილით.⁴⁷ განსხვავებითობის პრინციპის დაცვა ასეთ დროს საკმაოდ რთული ხდება. მაგალითად, კინეტიკური იარაღი, რომელიც გამოიყენება კოსმოსური რესურსების განადგურებისთვის, ან არაკინეტიკური იარაღი, რომელიც გამოიყენება კოსმოსური აქტივების კომუნიკაციის შესაფერხებლად ან დროებით გასათიშად, არ ეყრდნობა ოპერატორის პირდაპირ ვიზუალურ იდენტიფიკაციას. ეს ნიშნავს, რომ კოსმოსური ობიექტის ლეგიტიმურ სამხედრო

⁴³ Shue, Henry, Wippman, David, Limiting attacks on dual-use facilities performing indispensable civilian functions, Cornell Int'l LJ, 2001, 35, p. 562

⁴⁴ Rogers, Anthony Peter Vernon, Law on the Battlefield, Manchester: Manchester University Press, 2004, p. 67

⁴⁵ Fasola, Nicolò, Giancarlo La Rocca, Lucarelli, Sonia, Niccolò Moro, Francesco, Space – Exploring NATO's Final Frontier, Document IAI, 2023, ISSN 2280-6164, pp. 3-7, ხელმისაწვდომია: <https://www.iai.it/sites/default/files/iai2304.pdf>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁴⁶ იქვე., p. 62

⁴⁷ Ramey, Major Robert A, Armed Conflict on the Final Frontier: The Law of War in Space, 2000, 48 The Air Force Law Review 1, p. 2

ობიექტად იდენტიფიცირება ძალიან რთულია. ორმაგი დანიშნულების თანამგზავრების შემთხვევაში, რომელიც შედგება რამდენიმე ტრანსპონდერისგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება განკუთვნილი იყოს ერთზე მეტი სუბიექტის საჭიროებებისთვის ან ერთზე მეტ სუბიექტთან საკომუნიკაციოდ, სამხედრო მიზნით განხორციელებული შეტევა პოტენციურად გაანადგურებს ან შეაფერხებს ამ ობიექტის სამოქალაქო მიზნებისთვის ან ნეიტრალური ქვეყნების მიერ გამოყენებას. ნებისმიერი ასეთი თავდასხმა საჭიროებს წინასწარ, დეტალურ შეფასებას პროპორციულობის წესების დაცვით.⁴⁸

საჭიროა NATO მზად იყოს ასეთი საფრთხეებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო NATO-ს მიზნების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება.

ამ ეტაპზე, არ არსებობს საფრთხის კოლექტიური შეფასების პროცესის ამსახველი დეტალური სახელმძღვანელო, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ალიანსის შესაძლებლობას, მიაღწიოს კონსენსუსს საფრთხის ბუნებაზე და, შესაბამისად, მისი გადაჭრის გზებზე. ამას კიდევ უფრო ართულებს ფაქტი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ჯერ არ აქვს ზუსტად გადანყვეტილი, როგორ უნდა უპასუხოს პროპორციულად კოსმოსური შესაძლებლობებით გამონვეულ საფრთხეებს. კოსმოსური სივრცეში არსებული შეიარაღებული კონფლიქტის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ჯერ არ არის შემუშავებული იმ დონემდე, რომ ერთიანი და საყოველთაო სტანდარტი და მითითებები განსაზღვროს. ამ კუთხით, ამჟამად არსებობს ორი დოკუმენტი, რომლებიც ავსებს ერთმანეთს: MILAMOS (საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება კოსმოსის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებისას) და Woomera-ს სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელოები ცდილობენ დაადგინონ, თუ როგორ ვრცელდება არსებული საერთაშორისო სამართალი ღია კოსმოსზე, აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევებში ძალის გამოყენების (jus ad bellum) და შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის გამოყენება (jus in bello). თუმცა მანამდე, NATO-მ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ უპასუხოს, მსგავს ქმედებებს როგორც ალიანსმა. საჭიროა კოსმოსში გაშვებული ობიექტების რეგისტრაცია მოხდეს სწორად, რათა თავიდან იქნას აცილებული სამიზნის განსაზღვრისას შეცდომის დაშვება.

როგორც აღინიშნა, NATO-ს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ კოსმოსში განხორციელებულმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება. ეს არის მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი შემაკავებელი პოლიტიკის გასატარებლად, მაგრამ საკმარისი არ არის. NATO-ს წევრმა ქვეყნებმა უნდა დაადგინონ, რას შეიძლება მოიცავდეს კოსმოსში აკრძალული სამხედრო ოპერაციები, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს მათი ხასიათი, საფრთხე, იმწუთიერი და მოსალოდნელი ზიანი და მასშტაბები, პროპორციული საპასუხო ძალა და

⁴⁸ Boothby, Benjamin, Aspects of the Distinction Principle under the US DoD Law of War Manual. In Newton MN (ed) The United States Department of Defense Law of War Manual: Commentary and Critique, Cambridge University Press, Cambridge, 2014, p. 370

ა.შ. უნდა განისაზღვროს, თუ რა შემთხვევებში იწვევს ძალის გამოყენება ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებას. ბუნებრივია, „ნებისმიერ“ კოსმოსურ აქტივში „ნებისმიერი“ ჩარევა და ქმედება ვერ წარმოშობს საპასუხო ძალის გამოყენების შესაძლებლობას - ეს ძალიან ფართო აღწერაა და ბუნდოვანი ჩანაწერი იქნება

ამასთან, წარმოიშვება კითხვა, თუ სად უნდა უპასუხოს NATO-მ ღია კოსმოსში განხორციელებულ თავდასხმებს. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა აირჩია, თავდასხმებს მის მიერ არჩეულ დროსა და ადგილას უპასუხოს, მაგრამ არა აუცილებლად ღია კოსმოსში. აშშ-ის 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მიუთითებს, რომ ნებისმიერ მავნე ჩარევას ან თავდასხმას აშშ-ის კოსმოსური აქტივზე, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს აშშ-ს ამ სასიცოცხლო ინტერესზე, მოყვება აშშ-ის მხრიდან რეაგირება.⁴⁹ არის თუ არა ეს მოდელი იმისა, თუ როგორ უპასუხებს NATO მის კოსმოსურ სივრცეში ჩარევას? ამაზე პასუხი ჯერ-ჯერობით ნათელი არ არის.

ამასთან, საჭიროა მოხდეს ხელშეკრულების მე-6 მუხლის რედაქტირება და მან ასევე დაფაროს ღია კოსმოსით გათვალისწინებული სივრცე სამომავლო გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით.⁵⁰

2020 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 75/36“, რომელიც მოუწოდებდა ქვეყნებს წარმოედგინათ ის ღონისძიებები, რაც მიაჩნდათ საფრთხედ კოსმოსისთვის,⁵¹ ამ დოკუმენტის წაკითხვისას იკვეთება რამდენიმე პუნქტი ორბიტაზე ნამსხვრევების განზრახ არ შექმნის შესახებ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, არსებობს საერთაშორისო კონსენსუსის პოტენციალი ამ საკითხთან დაკავშირებით.⁵² თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და NATO-ს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ამ დისკუსიაში. ფრენკ როუზის აზრით, NATO-მ უნდა დაავალოს შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების კომიტეტს, გამოიკვლიოს, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს ალიანსმა იმ წესების შემუშავებაში, რომელიც გამოიყენება ღია კოსმოსში შეიარაღებული თავდასხმების განხორციელებისას.⁵³

მიუხედავად იმისა, შემუშავებულია თუ არა NATO-ს ყოვლისმომცველი კოსმოსური პოლიტიკა, უნდა შეიქმნას ოპერატიული ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს ევროპის მოკავშირეთა უმაღლეს სარდალს (SACEUR) და მის დაქვემდებარებულ

⁴⁹ National Security Strategy of the United States of America, December 2017, p. 31, ხელმისაწვდომია: <https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵⁰ Silverstein, Benjamin, "NATO's Return To Space," War On The Rocks, 3 August 2020, ხელმისაწვდომია: <https://warontherocks.com/2020/08/natos-return-to-space/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵¹ UN, "UNGA Res. 75/36, Reducing Space Threats Through Norms, Rules And Principles Of Responsible Behaviours," 7 December 2020, ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/75/36>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵² UN "Report of the Secretary-General On Reducing Space Threats Through Norms, Rules And Principles Of Responsible Behaviors (2021), United Nations Office for Disarmament Affairs", ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/disarmament/topics/outerspace-sg-report-outer-space-2021/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵³ Rose, Frank, "NATO and Outer Space: Now What?" Brookings Institute, April 22, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2020/04/22/nato-and-outer-space-now-what/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

მეთაურებს, გამოიყენონ ალიანსის არსებული კოსმოსური აქტივები და მოხდინონ მათი სინქრონიზაცია. ეს ჩარჩო უნდა შეიცავდეს საერთო კოსმოსური ოპერაციების დოქტრინას, კარგად განსაზღვრული კოსმოსური მართვისა და კონტროლის მექანიზმებს და კოსმოსური ოპერაციებისთვის გაწვრთნილ პროფესიონალებს.

ავღანეთში NATO-ს ხელმძღვანელობით საერთაშორისო უსაფრთხოების დამხმარე ძალების მისიის 12-წლიანი მუშაობისას ბევრი რეალური გაკვეთილი იქნა მიღებული. მათ შორის, გამოიკვეთა სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებისას წარმოშობილი დაბრკოლებები; NATO-ს კოსმოსური შესაძლებლობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებისა და პროცედურების სიზუსტის ნაკლებობა; NATO-ს სტრუქტურებში კოსმოსური ექსპერტიზის ნაკლებობა; და კოსმოსური ოპერაციების ოპერატიული და დოქტრინული ხელმძღვანელობის ნაკლებობა.⁵⁴ ეს გაკვეთილები მიუთითებს ალიანსის გადაუდებელ აუცილებლობაზე, შეიმუშაოს კოსმოსური ოპერაციების ზუსტი დოქტრინა და NATO-ს ოპერაციებში წევრი ქვეყნის კოსმოსური შესაძლებლობების ინტეგრაციის პროცესები და პროცედურები, მონაცემთა გაზიარების ჩათვლით; ასევე მომავალ წვრთნებში გაითვალისწინოს და კოსმოსის თავისებურებები.

ამჟამად არსებობს NATO-ს სამი დოკუმენტი, რომელიც ეხება კოსმოსური ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას. პირველი არის მოკავშირეთა ერთობლივი გამოცემა (AJP) 3.3, საჰაერო და კოსმოსური ოპერაციების შესახებ, რომელიც კოსმოსურ ოპერაციებთან დაკავშირებით მხოლოდ კოსმოსური მისიების ტერიტორიების მიმოხილვით შემოიფარგლება; მეორე არის ბი-სტრატეგიული სარდლობის (Bi-SC) ფუნქციური დაგეგმვის გზამკვლევი კოსმოსური ოპერაციებისთვის, რომელიც შეეხება დაგეგმვის ინსტრუქციებს ოპერაციებში კოსმოსური სივრცის ჩართვის მიზნით; ხოლო მესამე დოკუმენტი არის ACT DIR 75-2-N, კოსმოსური ოპერაციების სახელმძღვანელო (JFATG).⁵⁵ მიუხედავად ამისა, საჭიროა ყოვლისმომცველი და ამომწურავი დოკუმენტის შემუშავება.

ამასთან, ღია კოსმოსში ოპერაციების განხორციელებისას, საჭიროა გამოყენებულ იქნას როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული კონტროლი: ცენტრალიზებული კონტროლი მაქსიმალურად ზრდის საბრძოლო პოტენციალს, ის ასევე ამცირებს ძალების ფრაგმენტაციას. ამასთან, იმის გამო, რომ ერთი მეთაურისთვის ძალიან რთულია მრავალი ოპერაციის ერთდროული მართვა, დეცენტრალიზებული კონტროლი, როგორც წესი, აუცილებელია. ის უზრუნველყოფს

⁵⁴ Single, Thomas G., Lt Col, USAF, "New Horizons: Coalition Space Operations," Air and Space Power Journal, Summer 2010, ხელმისაწვდომია: <http://www.airpower.maxwell.af.mil/airchronicles/apj/apj10/sum10/10Single.html>, and Remuss, "NATO and Space: Why is Space Relevant for NATO?," 5, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵⁵ NATO Space Operations Assessment, Joint Air Power Competency Center, revised January 2009, para 3.3

შეზღუდული აქტივების ეფექტურ გამოყენებას და იძლევა ტაქტიკური ოპერაციების მოკლე დროში შემუშავების შესაძლებლობას.⁵⁶

NATO-ს უნდა ჰყავდეს გამოცდილი პერსონალი, რომელთაც ექნებათ კვალიფიციური ცოდნა კოსმოსური ოპერაციების დაგეგმვის მიზნით, რათა ისინი დაეხმარონ მეთაურებს საჭირო ინფორმაციის შეგროვებასა და პრიორიტეტიზაციაში.⁵⁷

დაგეგმვა, შესრულება და შეფასება:

NATO-ს მიერ კოსმოსური ოპერაციების განხორციელება უნდა მოხდეს შემდგნაირად: დაგეგმვა, შესრულება და შეფასება. დაგეგმვის ეტაპზე NATO-ს მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ კოსმოსური შესაძლებლობები მისიის საჭიროებების შესაბამისად და მოახდინონ მათი კლსიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის პოზიციების გათვალისწინებით, უნდა დაასაბუთონ თავიანთი არჩევანის მართებულობა.⁵⁸ ოპერაცია უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული და ზუსტი გეგმის მიხედვით. მეთაურებმა მუდმივად უნდა შეაფასონ ეს ღონისძიებები. შეფასება უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელიც ორიენტირებულია იმის დადგენაზე, არის თუ არა სწორი ღია კოსმოსის შესაძლებლობების გამოყენება. კონკრეტულად, განხორციელდა თუ არა გეგმით გათვალისწინებული ქმედება, გამოიღო თუ არა მან სასურველი შედეგი და საჭიროა თუ არა ღონისძიების თავიდან განხორციელება?⁵⁹

მისასაღმებელია, რომ NATO მუშაობს ალიანსის მონაცემთა გაზიარების (CSD) სერვერის პროექტზე, რომელიც სამხედრო მეთაურებს საშუალებას მისცემს, მყისიერად გამოიყენონ მონაცემები სახელმწიფოთა ეროვნული და საერთო სისტემებიდან, მიუხედავად იმისა, თუ სად ინახება ისინი. ამ კონცეფციის ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა არა მხოლოდ NATO-ს ფარგლებში, არამედ გერმანიის ბუნდესვერის ექსპერიმენტის Common Shield 2008 დროს და მისი გამოყენება სამომავლოდ ეფექტური და მიზანშეწონილი იქნება.⁶⁰

დასკვნა

NATO-ს შესაძლებლობა, გამოიყენოს კოსმოსური რესურსები კონფლიქტის დროს და თავიდან აიცილოს მოწინააღმდეგის მიერ ამ სივრცის იმგვარი გამოყენება, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრინციპს და საფრთხეს შეუქმნის

⁵⁶ Lt. Col. Thomas G. Single, USAF, "New Horizons: Coalition Space Operations," Air and Space Power Journal, Summer 2010, ხელმისაწვდომია: <http://www.airpower.maxwell.af.mil/airchronicles/api/api10/sum10/10Single.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁵⁷ Joint Publication 3-14, Space Operations, p. xii

⁵⁸ Ibid, pp. V-1

⁵⁹ Air Force Doctrine Document 3-14, p. 57

⁶⁰ Essendorfer, Barbara, Mueller, Willmuth, "Interoperable Sharing of Data With the Coalition Shared Data (CSD) Server," p. 1, ხელმისაწვდომია: <http://ftp.rta.nato.int/public/pubfulltext/rto/mp/rto-mp-ist-086/mp-ist-086-07.pdf>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

ჩრდილოატლანტიკურ უსაფრთხოებას, გადამწყვეტია სამხედრო ოპერაციების წარმატებისთვის. ბოლო 25 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება მიუთითებს NATO-ს წინაშე მდგარ აუცილებლობაზე, შეიმუშაოს სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს SACEUR-ს და მის დაქვემდებარებულ მეთაურებს მოახდინონ ალიანსის ხელმისაწვდომი კოსმოსური აქტივების გამოყენება და სინქრონიზაცია. ეს მოიცავს: პოლიტიკის შემუშავებას; ამომწურავი და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, თუ რა შემთხვევებში და რა ფორმით აქვს ალიანსს შესაძლებლობა, ჩაერიოს ღია კოსმოსის გამოყენებით წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტში; რა შემთხვევებში შესაძლოა ამოქმედდეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი; რის საფუძველზე უნდა შეფასდეს საპასუხო ძალის გამოყენების პროპორციულობა; როგორ უნდა მოემზადოს NATO ღია კოსმოსში სამხედრო მოქმედებების განხორციელებისთვის - იქნება ეს სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სხვა საჭიროებები, რაც მოიცავს მათ შორის ასეთი ღონისძიებების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, ტექნიკურ მომზადებას, პერსონალის გადამზადებას, კოსმოსური სივრცისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. საჭიროა ყველა პოტენციური გამონვევისთვის წინასწარ განსაზღვრული გეგმის შემუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული სამხედრო მოქმედებების განხორციელებისას შეცდომების დაშვება.⁶¹ როგორც ვხედავთ, საჭიროა ამომწურავი დოკუმენტის შემუშავება და არა ზოგადი დებულებების მითითება.

გამოიკვეთა კოსმოსურ სივრცეში ობიექტის ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნედ იდენტიფიცირების სირთულე, განსაკუთრებით ორმაგი დანიშნულების ობიექტებთან მიმართებით. ასევე, შეფასების და დისკრეციის ფართო ფარგლები, „მოსალოდნელი სამხედრო უპირატესობის“ ბუნდოვანი ცნება, და ამ დისკრეციის ფარგლებში შეცდომის დაშვების რისკი მნიშვნელოვან საფრთხეებს უქმნის არა მხოლოდ სამართლებრივი სისტემის განვითარებას, არამედ კაცობრიობის მომავალს.

იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც კოსმოსს ახასიათებს, აღნიშნული სივრცე სახელმწიფოებს სამხედრო უპირატესობების მოპოვების საშუალებას აძლევს. დღეს არსებული სამართლებრივი თუ პრაქტიკული ხარვეზები ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენონ კოსმოსური სივრცე, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა არ არღვევდეს არსებული სამართლებრივი ნორმების სიტყვასიტყვით განმარტებას, თუმცა არღვევდეს წესრიგს და მშვიდობას, საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა როგორც საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილი დოკუმენტის შემუშავება, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობა ერთიანი პოლიტიკის და პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად.

⁶¹ Maj, Chris Roszak, USAF, "Red Flag space operations: Not just a flyer's exercise," ხელმისაწვდომია: <http://www.afspc.af.mil/news/story.asp?id=123252927>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

მიუხედავად იმისა, რომ NATO კოსმოსურ ოპერაციებს გარკვეულ ყურადღებას უთმობს, რაც ასახულია სხვადასხვა დოკუმენტში, აქცენტის ეს დონე არასაკმარისია და სასურველია შემუშავდეს NATO-ს უფრო ყოვლისმომცველი კოსმოსური დოქტრინის დოკუმენტი.⁶²

NATO-ს არ აქვს იარაღის კოსმოსში განთავსების განზარხვა და ემხრობა კოსმოსის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენებას, რაც მისასაღმებელია, მაგრამ თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ალიანსის ხელმძღვანელობამ არ გამოორიცხა ხმელეთის კონტრსივრცის შესაძლებლობების ინტეგრირება NATO-ს ოპერაციების კონცეფციაში. შესაძლოა, ალიანსი საფუძველს აყალიბებს მომავალი კოსმოსური საქმიანობისთვის, ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების განხორციელება მოკავშირეების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.⁶³

ოპერატიულ დონეზე, NATO-ს შეუძლია კოსმოსური ტექნოლოგიების უკეთ ინტეგრირება უსაფრთხოების მისიებში. ალიანსის ამჟამინდელი დოქტრინა და სტრატეგია ასახავს იმას, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მოკავშირეთა მეთაურებმა კოსმოსური სისტემები საბრძოლო მოქმედებების დროს. ეს პოლიტიკა ფოკუსირებულია კოსმოსური სივრცის გამოყენებაზე სხვა დომენების მხარდასაჭერად და არ იძლევა მითითებებს, თუ როგორ განახორციელებს ალიანსი ოპერაციებს თავად ამ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ NATO არ განათავსებს იარაღს კოსმოსში, სასურველია, ალიანსმა ჩამოაყალიბოს საგანგებო სიტუაციებისთვის წინასწარ მომზადებული სახელმძღვანელო. უმჯობესია, NATO არ დაელოდოს ასეთი სიტუაციებით გამომწვეულ ზეწოლას, რაც გადაწყვეტილებების მყისიერად მიღებას აიძულებს.

შეიარაღებული კონფლიქტი კოსმოსში - თუნდაც უნებლიე - განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას ნებისმიერ სივრცეში, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ყველა ამ გამომწვევას NATO მომზადებული შეხვდეს.

⁶² NATO Bi-Strategic Command Space Working Group Progress Report, 23 May 2013, para 15, ხელმისაწვდომია: http://www.act.nato.int/images/stories/events/2012/nato_space/progress_report.pdf, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

⁶³ Al Burke, "Air Force Space Command Supports NATO Ballistic Missile Defense Declaration at NATO Summit," ხელმისაწვდომია: <http://www.afspc.af.mil/news/story.asp?id=123306388>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

გამოყენებული ლიტერატურა

- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 4 აპრილი, 1949
- Geneva Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, 12 August 1949, 75 UNTS 31, [1958] ATS No 21(entered into force 21 October 1950) [Geneva Convention I]
- Geneva Convention for the Amelioration of the Condition of Wounded, Sick and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, 12 August 1949, 75 UNTS 85, [1958] ATS No 21 (entered into force 21 October 1950) [[Geneva Convention II]
- Geneva Convention relative to the Treatment of Prisoners of War, 12 August 1949, 75 UNTS 135, [1958] ATS No 21 (entered into force 21 October 1950) [Geneva Convention III]
- Geneva Convention relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, 12 August 1949, 75 UNTS 287, [1958] ATS No 21 (entered into force 21 October 1950) [Geneva Convention IV]
- Hague Convention Respecting the Laws and Customs of War on Land, 18 October 1907, 205 CTS 305, (entered into force 26 January 1910)
- Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), 8 June 1977, 1125 UNTS 3, 1991 ATS No 29/ 16 ILM 1391 (1977) (entered into force 7 December 1978) [Additional Protocol I or API]
- Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, 8 June 1977, 1125 UNTS 609 [1991] ATS 30/16 ILM 1442 (1977) (entered into force 7 December 1978) [Additional Protocol II or APII]
- The Treaty on Principles Governing the Activities of States in the Exploration and Use of Outer Space, including the Moon and Other Celestial Bodies, 27 January 1967
- The Convention on International Liability for Damage Caused by Space Objects, United Nations Office for Outer Space Affairs, March 29, 1972
- The Convention on Registration of Objects Launched into Outer Space, UN, November 12, 1974
- The Agreement Governing the Activities of States on the Moon and Other Celestial Bodies, New York, UN, December 18, 1979
- Resolution, 1721 (XVI). International co-operation in the peaceful uses of outer space, United Nations Office for Outer Space Affairs, 20 December 1961
- UN, "UNGA Res. 75/36, Reducing Space Threats Through Norms, Rules And Principles Of Responsible Behaviours," 7 December 2020, ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/RES/75/36>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023
- UN "Report of the Secretary-General On Reducing Space Threats Through Norms, Rules And Principles Of Responsible Behaviours (2021), United Nations Office for Disarmament

Affairs", ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/disarmament/topics/outerspace-sg-report-outer-space-2021/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

NATO, NATO's approach to space, 23 May, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_175419.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

NATO, "Brussels Summit Communiqué, "Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Brussels," 14 June 2021, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Statute of the International Court of Justice, 26 June 1945, 3 Bevans 1179, 59 Stat 1031, IS, 993, 39 AJIL. Supp 215 (entered into force 24 October 1945)

Merriam-Webster Dictionary, ხელმისაწვდომია: <https://www.merriam-webster.com/dictionary/space#:~:text=%3A%20the%20region%20beyond%20the%20earth's%20atmosphere%20or%20beyond%20the%20solar%20system>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Boothby, Benjamin, Aspects of the Distinction Principle under the US DoD Law of War Manual. In Newton MN (ed) The United States Department of Defense Law of War Manual: Commentary and Critique, Cambridge University Press, Cambridge, 2014

Bruger, Steven, Not Ready for the First Space War: What about the Second?, Naval War College Review Vol. 48, No. 1, Winter 1995

Cheng, Bin, Outer Space: The International Legal Framework—The International Legal Status of Outer Space, Space Objects and Spacemen, 10 Thesaurus Acroasium, 1981

Cheng, Bin, The United Nations and Outer Space, 7 United Nations Resolutions on Outer Space: 'Instant' International Customary Law?, Studies in International Space Law, Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 1997

Cheng, Bin, The Extraterrestrial Application of International Law, 18 CLP, 1965

Collis, Christy, Territories beyond possession? Antarctica and Outer Space, The Polar Journal Volume 7, 2017 - Issue 2

Dale, Stephens, The International Legal Implications of Military Space Operations: Examining the Interplay between International Humanitarian Law and the Outer Space Regime, International Law Studies 94, 2018

Dale, Stephens, Steer, Cassandra, Conflicts in Space: International Humanitarian Law and its Application to Space Warfare, Annals of Air and Space Law 40, 2015

Detlev, Wolter, Common Security in Outer Space and International Law, United Nations Institute for Disarmament Research UNIDIR, Geneva, Switzerland, United Nations, 2006, Sales No. GV.E.06.0.3

Essendorfer, Barbara, Mueller, Willmuth, "Interoperable Sharing of Data With the Coalition Shared Data (CSD) Server," 2013, ხელმისაწვდომია: <http://ftp.rta.nato.int/public/pubfulltext/rto/mp/rto-mp-ist-086/mp-ist-086-07.pdf>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Fasola, Nicolò, Giancarlo La Rocca, Lucarelli, Sonia, Niccolò Moro, Francesco, Space – Exploring NATO's Final Frontier, Document IAI, 2023, ISSN 2280-6164, ხელმისაწვდომია: <https://www.iai.it/sites/default/files/iai2304.pdf>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Gangawat, Amanya Shree (2020) Re-exploring Terra Nullius and Property Rights in Space: Could a Lunar Settlement Claim the Lunar Estate? *Advanced Space Law*, Volume 6

Ghoshroy, Subrata, The X-37B: Backdoor weaponization of Space?, 2015, 71:3, *Bulletin of the Atomic Scientists* 19, online: *The Bulletin of Atomic Scientists*, thebulletin.org/2015/may/x-37b-backdoor-weaponization-space8292, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Giudice, Flavio. Patrick, John , Kroeger, Robert , Vrac, Stephanie, "The Continued Evolution Of Space Effects And Capabilities Within Nato Trident Exercises," *The Three Swords Magazine*, Issue No. 32, 2019, ხელმისაწვდომია: https://www.jwc.nato.int/images/stories/news_items/2019/three-swords/NATOSpaceSupport2019.pdf, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Gutzman, James, State responsibility for non-state actors in times of war: Article VI of the Outer Space Treaty and the law of neutrality, *McGill University, Institute of Air and Space Law*, 2018

Hathaway, Oona, *Ensuring Responsibility: Common Article 1 and State Responsibility for Non-State Actors*, *Texas Law Review* 95, 2017

Louise, Jean-Marie, Henckaerts, Doswald-Beck, *Customary International Humanitarian Law*, Volumes I, II(1), and II(2), Cambridge University Press, Cambridge, 2005, Volume I

Mačák, Kubo, *Military Space Operations*, ECIL Working Paper 2020/2, forthcoming in Sergey Sayapin (ed.), *An Introduction to International Conflict and Security Law* (T.M.C. Asser Press 2020), Exeter Centre for International Law Working Paper Series

Lachs, Manfred, *The Law of Outer Space: An Experience in Contemporary Law-Making*, Reissued on the Occasion of the 50th Anniversary of the International Institute of Space Law, Leiden: Brill, 2010

Listner, Michael, Johnson-Freese, Joan, Object 2014-28E: Benign or Malignant?, *Space News*, 8 December 2014, online: *Space New*, spacenews.com/4289object-2014-28e-benign-or-malignant/, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Maj, Chris Roszak, USAF, "Red Flag space operations: Not just a flyer's exercise," 2013, ხელმისაწვდომია: <http://www.afspc.af.mil/news/story.asp?id=123252927>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Paulauskas, Kestutis, "Space: NATO's latest frontier," *NATO Review*, 13 March 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.nato.int/docu/review/articles/2020/03/13/space-natos-latest-frontier/index.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Pellon, Johsep, *Satellite Security and Performance in an Era of Dual Use*, 2004, 6 *Online Journal of Space Communication*, ხელმისაწვდომია: spacejournal.ohio.edu/issue6/perspectives.html#top, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Ramey, Major Robert A, *Armed Conflict on the Final Frontier: The Law of War in Space*, 2000, 48 *The Air Force Law Review* 1

Rogers, Anthony Peter Vernon, *Law on the Battlefield*, Manchester: Manchester University Press, 2004

Rose, Frank, "NATO and Outer Space: Now What?" Brookings Institute, April 22, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2020/04/22/nato-and-outer-space-now-what/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Silverstein, Benjamin , "NATO's Return To Space," *War On The Rocks*, 3 August 2020, ხელმისაწვდომია: <https://warontherocks.com/2020/08/natos-return-to-space/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Single, Thomas G., Lt Col, USAF, "New Horizons: Coalition Space Operations," *Air and Space Power Journal*, Summer 2010, ხელმისაწვდომია: <http://www.airpower.maxwell.af.mil/airchronicles/apj/apj10/sum10/10Single.html>, and Remuss, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Shue, Henrey, Wippman, David, *Limiting attacks on dual-use facilities performing indispensable civilian functions*, *Cornell Int'ILJ*, 2001

Tepper, Eytan, *The First Space-Cyber War and the Need for New Regimes and Policies*, CIGI Policy Brief No. 173, May 16, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.cigionline.org/publications/the-first-space-cyber-war-and-the-need-for-new-regimes-and-policies/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023; კუნჭულია, ლელა, იქნება თუ არა „ვარსკვლავური ომი“ - რუსეთი ამერიკულ თანამგზავრებს ემუქრება, 28 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32105906.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023; "კოსმოსური ომის" დასაწყისი ანუ კრემლს უკრაინასთან ომი დედამიწის ორბიტაზე გადააქვს და ილონ მასკის თანამგზავრების ჩამოყრით იმუქრება?!, 27 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://kvirispalitra.ge/article/97479-kosmosuri-omis-dasacqisi-anu-kremls-ukrainastan-omi-dedamicis-orbitaze-gadaakvs-da-ilon-maskis-tanamgzavrebis-chamoqrit-imukreba/>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

Vermeer, Arjen, *A Legal Exploration of Force Application in Outer Space*, *Military Law and Law of War Review*, 2007

Weeden, Brian, 2007 *Chinese Anti-Satellite Test: Fact Sheet*, 2012, ხელმისაწვდომია: https://swfound.org/media/205391/chinese_asat_fact_sheet_updated_2012.pdf, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

US China Economic and Security Review Commission, 2015 Annual Report, ch 2, sect 2, online: www.uscc.gov/Annual_Reports/2015-annual-report-congress, ბოლოს ნანახია: 23/01/2023

The Republic of Nicaragua v. The United States of America, Case Concerning Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Merits), Judgment, 1986, ICJ Rep 14

Corfu Channel Case (United Kingdom of Great Britain and Northern Ireland v. Albania), April 9, 1949, ICJ Reports 4, General List No. 1

Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), 1986, ICJ Rep 14 [Nicaragua]

Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, ICJ Reports 226 [Nuclear Weapons], 1996

Al Burke, "Air Force Space Command Supports NATO Ballistic Missile Defense Declaration at NATO Summit", ხელმისაწვდომია:

<http://www.afspc.af.mil/news/story.asp?id=123306388>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

"The Cold War: Defence and Deterrence," NATO,

ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/us/natohq/declassified_138278.htm, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

National Security Strategy of the United States of America, December 2017,

31, ხელმისაწვდომია: [https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-](https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf)

[content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf](https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf), ბოლოს ნანახია: 26/08/2023

NATO Space Operations Assessment, Joint Air Power Competency Center, revised January 2009

Lt. Col. Thomas G. Single, USAF, "New Horizons: Coalition Space Operations," Air and Space Power Journal, Summer 2010, ხელმისაწვდომია:

<http://www.airpower.maxwell.af.mil/airchronicles/apj/apj10/sum10/10Single.html>, ბოლოს ნანახია: 26/08/2023

NATO Bi-Strategic Command Space Working Group Progress Report, 23 May 2013, para 15, 2013, ხელმისაწვდომია:

http://www.act.nato.int/images/stories/events/2012/nato_space/progress_report.pdf,

ბოლოს ნანახია: 26/08/2023



საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

აღმოსავლეთ ევროპა, როგორც NATO-ს გაბმუვი ძალა: ახალი გეოპოლიტიკური მოთაბაბა?

ავტორი: დავით ბერიბ



This project is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

2003 წლის 24 იანვარს, პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე, აშშ-ს თავდაცვის მდივანმა, დონალდ რამსფელდმა, NATO-ს ერაყში ინტერვენციის კონტექსტში გამოიყენა ტერმინი "Old Europe"¹. ამით მან მიანიშნა ბერლინ-პარიზის ღერძზე, რომელიც ჯორჯ ბუშის იდეებთან დაკავშირებით სკეპტიციზმს ავლენდა. ბერლინ-პარიზის ღერძის საპირისპიროდ, რამსფელდმა მიანიშნა ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე და ახსენა, რომ NATO-ს ევროპულ მიმართულებაში გრავიტაციის ცენტრი აღმოსავლეთით იხრებოდა. თავდაცვის მდივანმა ამ ორი წინადადებით გამოყო ალიანსში არსებული სახელმწიფოთა ორი ბლოკი, საგარეო პოლიტიკის განსხვავებული აღქმებით: ერთ მხარეს „ძველი ევროპა“ ბერლინ-პარიზის ღერძით, მეორე მხარეს კი „ახალი ევროპა“ ყოფილი ვარშავის პაქტის სახელმწიფოებით.

20 წლის შემდეგ, რამსფელდისეული კონცეფცია „ახალი“ და „ძველი“ ევროპის განსხვავებული ფილოსოფიური ხედვების შესახებ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბლოკი მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას, მაინც შეიმჩნევა განსხვავებული მოლოდინები ომის დასრულების სცენართან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ბლოკის პერსპექტივით, აუცილებელია უკრაინის 1991 წლის საზღვრების აღდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენების შემდგომი ესკალაციაა მოსალოდნელი. ბერლინ-პარიზის ღერძი კი მიიჩნევს, რომ პუტინის სრული მარცხი და მისი „დამცირება“ რუსეთის შემდგომი აგრესიის მაპროგნოზირებელი იქნება².

განსხვავებული ხედვების მიუხედავად, აშკარაა, რომ რუსეთთან მიმართებაში ალიანსის დასავლური ბლოკის მიდგომამ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მოშლა გამოიწვია. ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ბერლინ-პარიზის ღერძის კრახი აღმოსავლეთ ბლოკს საშუალებას აძლევს, ალიანსის ძალის ახალ ცენტრად იქცეს. მიუხედავად აღმოსავლეთევროპული ამბიციებისა, ლეგიტიმურია, დასვათ შეკითხვა: აქვს თუ არა აღმოსავლეთ ფლანგს საკმარისი ძალა, ჩამოყალიბდეს გეოპოლიტიკურ მოთამაშედ, რომელიც NATO-ს ახალ გამწვან ძალად იქცევა.

“We Told You So-ს” ქრონოლოგია

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, დასავლეთევროპელი პოლიტიკოსების მიერ პერიოდულად კეთდება განცხადებები იმის შესახებ, რომ „ძველ ევროპას“ უნდა გაეთვალისწინებინა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მოწოდებები რუსეთთან მიმართებაში³. ემანუელ მაკრონის ამ გამოსვლას მალვე მოჰყვა ანნა-

¹ AP Archive (01/23/2003). Defence Secy comments on Europe, France, Germany. Last seen 8/25/2023 retrieved from: <https://www.youtube.com/watch?v=E0GnRJEPXn4&t=7s>

² AFP, (02,28/23) Macron Says Russia Should Be Defeated But Not 'Crushed'. Last seen 8/25/23 retrieved from: <https://www.rferl.org/amp/macron-wants-russia-defeated-not-crushed/32277526.html>

³ Michel Rose (05/31/2023). Macron tells Eastern Europe - we should have listened to you over Russia. Last seen: 8/25/23 retrieved from: <https://www.reuters.com/world/europe/frances-macron-offers-mea-culpa-eastern-eu-nations-russia-2023-05-31/>

ლენა ბერბოკის ანალოგიური შინაარსის განცხადება⁴. ბერლინ-პარიზის მიერ შეცდომის აღიარება და CEE-ის (Central and Eastern Europe) „We told you so-ს“ ნარატივი ვარშავას და ბალტიისპირეთს მომგებიან პოზიციაში აყენებს. მიუხედავად ამისა, რუსეთთან მიმართებაში მათ მოწოდებებს ევროპაში სრულმამულებიანი ომი დაწყებაზე ბევრად უფრო ხანგრძლივი ქრონოლოგია აქვს.

2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა უარყოფითად შეაფასა NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოება, რითაც დასავლეთს მიაჩნდა, რომ რუსეთი ამ მიმართულებით უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა. პუტინმა დაიწყო ექსპანსიონისტური და რევიზიონისტული პოლიტიკის გატარება. CEE-ის ქვეყნები NATO-სგან უფრო აგრესიული პასუხის გაცემას ითხოვდნენ, მაგრამ ევროპის დასავლეთ ნაწილში სჯეროდათ, რომ კრემლთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოება შეიძლებოდა.

რუსეთის „ჰიბრიდული ომის“ პირველი მსხვერპლი ესტონეთი იყო. 2007 წელს ტალინიდან საბჭოთა მემორიალის გატანას რუსეთმა კიბერ თავდასხმით უპასუხა. ამას მოჰყვა პრო-პუტინისტური ახალგაზრდული ძალების მონყობილი აქცია ესტონეთის საელჩოსთან, სადაც პოსტერებზე რუსეთში ესტონეთის ელჩი ჰიტლერის ულვაშებით იყო გამოსახული. მიუხედავად ამისა, როცა ესტონეთის წარმომადგენლები რუსული ჰიბრიდული ომის ამ შემთხვევას განიხილავდნენ, NATO-ს ზოგიერთი წევრი ქვეყნის წარმომადგენლები ესტონელთა ამ განცხადებებს „რუსოფობულს“ უწოდებდნენ⁵.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მოსკოვის მიერ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების სრული დარღვევის შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვა დაანონსა, ხოლო 2010 წელს NATO-რუსეთის საბჭოზე მხარეები „true strategic“ პარტნიორობის განვითარებაზე შეთანხმდნენ. ამ ფაქტმა აღმოსავლეთევროპელი პარტნიორების აღშფოთება გამოიწვია. მათი შეფასებით, ევროკავშირისა და NATO-ს მხრიდან სწრაფი და ეფექტური პასუხის არარსებობამ ვერ შეაკავა კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რადგან ყველაფერი არა უკრაინით, არამედ საქართველოთი დაიწყო.

NATO-ს რამდენიმე წევრისთვის მკაფიო სიგნალი ვერც ყირიმის 2014 წლის ანექსია გახდა. 2014 წლის „ევრომაიდანის“ შემდეგ, ევროპის ზოგიერთ დედაქალაქში კვლავ მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი ყირიმში მხოლოდ მსუბუქ შეტევით ოპერაციას წარმართავდა. ანდრეს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ 2014 წელს რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არსებობდა⁶.

2014 წლის მარტში, რუსეთის აგრესიის შემდეგ, აშშ-მა და ევროკავშირმა სანქციების პაკეტი ამოქმედეს, რომელიც ენერგეტიკის და თავდაცვის სფეროებს შეეხო.

⁴ Patrick Wintour (06/07/23). Germany did not listen to warnings about Russia, says Annalena Baerbock. Last seen: 8/25/23 retrieved from <https://www.theguardian.com/world/2023/jul/06/germany-did-not-listen-to-warnings-about-russia-says-annalena-baerbock>

⁵ STUART LAU (03/09/23). 'We told you so!' How the West didn't listen to the countries that know Russia best. Last seen: 08/25/23 retrieved from: <https://www.politico.eu/article/western-europe-listen-to-the-baltic-countries-that-know-russia-best-ukraine-poland/>

⁶ Ibid.

აღმოსავლეთ ევროპა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულ დაპაუზებას მოითხოვდა, თუმცა დასავლეთისთვის მოსკოვი საკუთარი ეკონომიკის მნიშვნელოვან შემავსებლად განიხილებოდა.

უკრაინაში „მწვანე კაცუნების“ გამოჩენას გერმანიამ ერთი წლის შემდეგ „გაბპრომთან“ დადებული ახალი კონტრაქტით უპასუხა. „Nord Stream 2-ის“ გაზსადენს რუსული გაზის მოხმარება უნდა გაეორმაგებინა⁷, რასაც ვარშავასა და ტალინში მკაცრად აკრიტიკებდნენ, აცნობიერებდნენ რა მილსადენის პოლიტიკურ მნიშვნელობას. გარდა ამისა, ღონბასსა და ლუგანსკში განვითარებული მოვლენების შემდეგ, 2014 წელს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვდა პოლონეთის ტერიტორიაზე ალიანსის სამხედრო წარმომადგენლობის გაძლიერებას და დაახლოებით, 10,000 სამხედროს განთავსებას⁸, თუმცა დასავლელი პარტნიორები და განსაკუთრებით, გერმანია ამ იდეის წინააღმდეგი იყო.

2021 წელს, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, აშშ-ის დიპლომატები ევროპელ პარტნიორებს პუტინის გეგმებთან დაკავშირებით აფრთხილებდნენ. ამ ეპიზოდშიც კიდევ ერთხელ გაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ხედვები. მაშინ, როცა ემანუელ მაკრონს სჯეროდა, რომ მოსკოვთან მოლაპარაკებებით ესკალაციას თავიდან აიცილებდა, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები უკრაინას ომისათვის საჭირო ამუნიციას, უპილოტო საფრენ აპარატებს, პორტაბელურ საზენიტო სისტემებსა და საარტილერიო ქურვებს აწვდიდნენ.

რუსეთის შეჭრა უკრაინაში - შესაძლებლობის ფანჯარა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის

ზოგიერთი ანალიტიკოსის შეფასებით⁹, ვლადიმერ პუტინი თვლიდა, რომ 2022 წლის თებერვალი ომის დასაწყებად იდეალური მომენტი იყო. ეს გახლდათ პოსტ-მერკელისეული პერიოდი დასუსტებული გერმანულ-ფრანგული ალიანსით, ბრიტანეთი, რომელიც ბრეჯსიტის შედეგებს ებრძოდა, გერმანიის ახალი ფედერალური კანცლერი და

⁷ Polish PM scolds Germany on Nord Stream 2 as Warsaw 'defends EU border' (11/18/2021). last seen 08/25/23 retrieved from: <https://www.euractiv.com/section/global-europe/news/polish-pm-scolds-germany-on-nord-stream-2-as-warsaw-defends-eu-border/>

⁸ Bruno Waterfield (04/04/2014). <https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/ukraine/10737838/Ukraine-crisis-Poland-asks-Nato-to-station-10000-troops-on-its-territory.html> last seen 08/25/23 retrieved from: <https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/ukraine/10737838/Ukraine-crisis-Poland-asks-Nato-to-station-10000-troops-on-its-territory.html>

⁹ ROBERT VASS (04/03/2023). Eastern promise: The power shifts in EU politics. Last seen : 8/26/23. Retrieved from: <https://www.orfonline.org/expert-speak/eastern-promise/>

აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც ომს დიალოგს ამჯობინებდა და ჩინეთის საკითხებით იყო დაკავებული.

ერთ-ერთი რასაც ვლადიმერ პუტინი არ მოელოდა¹⁰, იყო CEE-ის ქვეყნების მზარდი გავლენა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, რამაც რამდენიმე სფერო მოიცვა. რუსეთის პერიოდული მუქარის მიუხედავად, პირველი, ვინც უკრაინას ომის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწიეს სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იყვნენ. მათმა ამ ნაბიჯმა ერთგვარი პრევენდენტი შექმნა, რამაც ალიანსის სხვა წევრები აიძულა, ანალოგიურად მოქცეულიყვნენ. ჩიხეთმა და პოლონეთმა ჯერ კიდევ კიევისთვის ბრძოლის ეპიზოდში უკრაინას საბჭოთა წარმოების შეიარაღება გადასცა¹¹, რასაც მხოლოდ შემდგომ მოჰყვა საფრანგეთის ნაბიჯები. ლიეტუვამ, თავდაცვის ბიუჯეტთან მიმართებაში, უკრაინისთვის ყველაზე დიდი სამხედრო დამხმარება გასწია¹². ამასთან ერთად, პოლონეთი და ბალტიისპირეთი მნიშვნელოვან დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამდნენ გერმანიის დასარწმუნებლად ლეოპარდის ტანკებისა და საჰაერო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით.

საწყის ეტაპზე, შეერთებული შტატები მხოლოდ Bradley-ის ტიპის ქსმ-ის გადაცემით შემოიფარგლა და უკრაინისთვის Abrams-ის ტანკების ტრანსფერი სამომავლოდ დაანონსა¹³. ამას მოყვა ოლაფ შოლცის განცხადება, რომ გერმანული Leopard-ები მხოლოდ Abrams-ების გადაცემის დაანონსების შემდეგ მიენოდებოდათ უკრაინელ პარტნიორებს. ამ ყველაფრის ფონზე, 2023 წლის იანვრის ბოლოს NATO-ს აღმოსავლეთის ფლანგმა, რამდენიმე დასავლელ პარტნიორთან ერთად, დიპლომატიური და პოლიტიკური ზეწოლა მოახდინა ვაშინგტონსა და ბერლინზე. თავდაპირველად, CEE-ის რამდენიმე სახელმწიფომ, სკანდინავიასთან, ნიდერლანდებთან, დიდ ბრიტანეთთან ერთად გააფორმა ე.წ Tallinn Pledge¹⁴, რომლის ფარგლებშიც კონკრეტულად გაინერა უკრაინისათვის გადასაცემი შეიარაღება, დაიგმო რუსეთის აგრესია და გამოვლინდა პოლიტიკური ნება, უკრაინის მთელი ტერიტორიიდან რუსეთის გაძევების შესახებ. მეორე დღეს, ამას მოჰყვა პოლონეთის განცხადება, რომლითაც ვარშავა ბერლინისგან გერმანული Leopard-ის ტანკების უკრაინისთვის გადაცემის ნებართვას ითხოვდა¹⁵.

ორდღიანი ზეწოლის ფონზე, გერმანიამ და აშშ-მა მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები მიიღეს. ბერლინმა არამხოლოდ ნება დართო პოლონეთს, არამედ უკვე საკუთარი

¹⁰ იგივე

¹¹ Drew Hinshaw (04/29/2022). Poland Supplies Ukraine With Hundreds of Soviet-Style Tanks last seen 08/25/2023. retrieved from <https://www.wsi.com/articles/poland-supplies-ukraine-with-hundreds-of-soviet-style-tanks-11651240293>

¹² Karl Altai (11/02/2022) Arm the Baltics and Keep Malign Neighbors at Bay Last seen 08/25/23. Retrieved from: <https://cepa.org/article/arm-the-baltics-and-keep-malign-neighbors-at-bay/>

¹³ LARA SELIGMAN and PAUL MCLEARY (01/05/2023). Biden will send Bradley Fighting Vehicles to Ukraine. And tanks could be next. Last seen 08/25/2023/ Retrieved from: <https://www.politico.com/news/2023/01/05/biden-ukraine-bradley-vehicles-tanks-00076549>

¹⁴ Ministry of Defence (01/19/2023). Joint Statement – The Tallinn Pledge Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://archive.vn/U5oV>

¹⁵ FRANK JORDANS, KIRSTEN GRIESHABER, SAMYA KULLAB (01/26/2023). US, Germany to send advanced tanks to aid Ukraine war effort Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://apnews.com/article/russia-ukraine-war-german-tanks-435da2221bf452a8aae9d2e58d23acae>

Leopard-ის ტანკების ტრანსფერის დაგეგმვა დაიწყო, ხოლო ვაშინგტონმა საჯაროდ შესთავაზა უკრაინას Abrams-ების გადაცემა. ამას მოჰყვა ესპანეთის და პორტუგალიის ანალოგიური გადაწყვეტილებები დასავლური შეიარაღების ტრანსფერთან დაკავშირებით.

NATO-ს პატარა ძალებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს და გარკვეულწილად, აიძულეს ბერლინ-ვაშინგტონი, უფრო ხისტი ნაბიჯები გადაედგათ. CEE-ის ქვეყნებმა უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში Driver-ის როლი შეასრულეს. უკრაინისთვის სანცის ეტაპზე გადაცემულმა სამხედრო დახმარებამ, ხოლო შემდეგ დასავლელ პარტნიორებთან აქტიურმა დიალოგმა, გაზარდა მათი პრესტიჟი და NATO-ს სამხედრო დახმარების პაკეტი.

სამხედრო დახმარებასთან ერთად, აღმოსავლეთევროპელი ლიდერები პირველები ჩავიდნენ კიევში და უკრაინას მორალური მხარდაჭერა გამოუცხადეს¹⁶. ამ ნაბიჯით მათ პოზიტიური პრეცედენტი შექმნეს. თუ სანცის ეტაპზე რამდენიმე დასავლეთევროპელი პოლიტიკოსი მათ ამ მოქმედებას ირაციონალურად აფასებდა, 2022 წლის 15 მარტის შემდეგ მსოფლიო ლიდერების უკრაინაში ვიზიტი დიპლომატიურ პრაქტიკად იქცა.

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ სხვა პრობლემებთან ერთად ლტოლვილთა კრიზისიც გამოიწვია. ამ შემთხვევაშიც, უკრაინელ ხალხს ყველაზე ოპერატიულად ვიზგარდის ჭგუფის ქვეყნები დაეხმარნენ¹⁷. ომის დაწყებიდან დღიდან, დაახლოებით რვა მილიონამდე უკრაინელმა დატოვა ქვეყანა¹⁸. ლტოლვილთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი პოლონეთში, ჩეხეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში განთავსდა. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ამ ქვეყნების წამყვან როლს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპაში NATO-ს სამხედრო წარმომადგენლობას, რუსეთის აგრესიის შემდეგ ალიანსმა გააძლიერა სწრაფი რეაქციის ძალები, სამხედრო აღჭურვილობა, ამუნიცია და ინფრასტრუქტურა. აღმოსავლეთ ევროპაში განთავსებული აშშ-ის სამხედროთა რაონდენობა გაორმაგდა და 14,000-მდე გაიზარდა. კონკრეტულად პოლონეთში, წარმომადგენლობა 10,000 სამხედრომდე გაიზარდა. აქ აშშ-მა მუდმივმოქმედი სამხედრო ბაზა განათავსა.

¹⁶ Polish, Czech and Slovenian PMs visit Kyiv in EU show of support (03/15/2023) Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.aljazeera.com/news/2022/3/15/polish-czech-slovenian-pms-visit-kyiv-eu-show-support>

¹⁷Kiara Alfonseca and Zoe Magee (03/30/2022). Map: Where Ukraine refugees are heading. Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://abcnews.go.com/International/map-ukrainian-refugees-heading/story?id=83178031>

¹⁸Nicolo Bird, Neree Noumon (03/15/23) Europe Could Do Even More to Support Ukrainian Refugees . Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2022/12/15/europe-could-do-even-more-to-support-ukrainian-refugees>

პოლონეთის განსაკუთრებული როლი

უკრაინის სამხედრო დახმარების

უზრუნველყოფაში

კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ, 1989 წლიდან, პოლონეთის რესპუბლიკა ხასიათდებოდა მუდმივი და მაღალი ეკონომიკური ზრდით. NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ პოლონეთი იქცა რუსეთის რეკანშიზმის წინააღმდეგ აშშ-ის წამყვან მოკავშირედ. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რუსეთის უკრაინაში შეჭრას პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად ითვლება.

ალიანსის ფარგლებში, პოლონეთს რუსეთის საკითხის გარშემო მუდმივი უთანხმოება აქვს გერმანია-საფრანგეთის ალიანსთან. პოლონეთი დადებითად აფასებს გერმანიის მხრიდან შეცდომის აღიარებას, თუმცა რუსეთთან ურთიერთობაში კორექტივების შეტანისკენ ბერლინს მაინც მოუწოდებს. პირველ რიგში, აქ იგულისხმება გერმანიის მხარდაჭერა 1997 წლის NATO-რუსეთის დამფუძნებელი აქტის გაუქმებაზე. პოლონეთის აზრით, ეს აქტი მოძველებული და არარელევანტურია ევროპის თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურასთან მიმართებაში. რაც შეეხება საფრანგეთს, პარიზისა და პოლონეთის ხედვები მეტად წინააღმდეგობრივია. ვარშავა სკეპტიკურად უყურებს ევროპის „სტრატეგიული ავტონომიის“ საფრანგეთისეულ იდეებს. პოლონეთისთვის შეერთებული შტატები და NATO უსაფრთხოების ყველაზე ხელსაყრელი მექანიზმია, რომელიც ევროკავშირისგან განსხვავებით, ნაკლებად კრიტიკულია პოლონეთის შიდა საკითხების მიმართ.

ბერლინ-პარიზის ღერძთან უთანხმოების ფონზე, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ვარშავას გაუჩინა შესაძლებლობა, რომ ევროკავშირსა და NATO-ში მნიშვნელოვანი და სამომავლო პერსპექტივაში, ლიდერის როლიც მოიხრგოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე ფართომასშტაბიანი ომის წამოწყების ფონზე, პოლონეთი იქცა აქტორად, რომელმაც უკრაინასთან თანამშრომლობის უმაღლესი სტანდარტი აჩვენა. ევროპის კონტინენტზე უკრაინის ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად სწორედ პოლონეთი ჩამოყალიბდა.

პოლონეთის სტრატეგიულ როლს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მისი ზომა და გეოგრაფიული მდებარეობა. პოლონეთს უკრაინისგან 529 კილომეტრიანი საზღვარი გამოყოფს. აქედან გამომდინარე, ვარშავა კიევისთვის დასავლეთის მთავარი კარიბჭესა და დასავლური ლოჯისტიკის მთავარ კვანძს წარმოადგენს.

პოლონეთის წამყვანი როლი რამდენიმე სფეროში იკვეთება. პირველ რიგში, ეს არის სამხედრო სფერო. პოლონური დახმარება უკრაინისთვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი იყო ომის საწყის ეტაპზე. ამ პერიოდში უკრაინას არ ქონდა შესაბამისი დრო დასავლური ტექნიკის ასათვისებლად. შესაბამისად, ერთადერთ ვარიანტს საბჭოთა წარმოების შეიარაღება წარმოადგენდა. 2022 წლის აპრილიდან დღემდე¹⁹ პოლონეთმა უკრაინას საბჭოთა წარმოების 300-მდე ტანკი, 140-მდე ქვეითთა საბრძოლო მანქანა, პორტაბელური საზენიტო სისტემები, ამუნიცია, საარტილერიო ჭურვები, დრონები, პოლონური წარმოების თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ხოლო 2023 წლის აპრილი-მაისის თვეში, Mig-29-ის ტიპის გამანადგურებლები გადასცა. GDP-სთან მიმართებით, პოლონეთის მიერ უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარება მხოლოდ ესტონეთის და ლატვიის დახმარებას ჩამოუვარდება²⁰.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, გერმანიამ უკრაინისთვის დასავლური წარმოების იარაღის (Leopard-ის ტანკები) გადაცემა დაანონსა, სწორედ პოლონეთმა დაარწმუნა და გარკვეულწილად უბიძგა ბერლინს ამ გადაწყვეტილების მიღებისკენ. ოლაფ შოლცის ყოყმანის შემდეგ, პოლონეთის პრემიერმა - მატეუმ მორავეცკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი თავად უზრუნველყოფდა გერმანული Leopard-ების რეექსპორტს უკრაინაში²¹. პრემიერის მწვავე განცხადებისა და გერმანიისადმი ისტორიის არასწორ მხარეზე დგომის ბრალდების შემდეგ, ბერლინი უკვე მორალურად გახდა იძულებული, გადაეცა ტანკები უკრაინისთვის. ტანკებთან ერთად პოლონეთმა ავიაგამანადგურებლების საკითხზეც შექმნა პოზიტიური პრეცედენტი. პოლონეთი NATO-ს პირველი წევრი ქვეყანაა²², რომელმაც უკრაინისთვის ავიაგამანადგურებლების ტრანსფერი დაანონსა. ამასთან, მნიშვნელოვანია პოლონეთის როლი ალიანსის ლიდერი სახელმწიფოების - აშშ-ისა და გერმანიის - დარწმუნებაში უკრაინისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჰაერო თავდაცვის სისტემების გადაცემის თაობაზე. მატეუმ მორავეცკიმ Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემების ტრანსფერი პოლონეთის დიპლომატიურ წარმატებად მონათლა და განაცხადა, რომ პოლონელმა დიპლომატებმა დაახლოებით 100-მდე მოლაპარაკება გამართეს ფრანგ, გერმანულ და ამერიკელ კოლეგებთან.

¹⁹The Kielbasa Connection: Polish Military Aid To Ukraine (08/18/2022). Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.orysploenkop.com/2022/08/the-kielbasa-connection-polish-military.html>

²⁰ Infographic: Who provides the most aid to Ukraine? (12/09/2022). Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.aljazeera.com/news/2022/12/9/infographic-who-provides-the-most-aid-to-ukraine>

²¹ CARLO MARTUSCELLI (01/22/2023). Poland ready to build 'smaller coalition' to send tanks to Ukraine without Germany. Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.politico.eu/article/poland-ready-to-build-smaller-coalition-to-send-tanks-to-ukraine-without-germany-war-russia/>

²²By Antonia Mortensen, Duarte Mendonca, Luke McGee and Kevin Lipta (03/16/2023). Poland becomes first to pledge fighter jets to Ukraine. Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://edition.cnn.com/2023/03/16/europe/poland-fighter-jets-ukraine-intl/index.html>

სამხედრო ფაქტორი - პოლონეთის წამყვანი როლის ერთ-ერთი გარანტი

პოლონეთის მთავრობა არმიის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების რამდენიმე პროგრამას ახორციელებს, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია 2017-2026 წლებში პოლონეთის არმიის მოდერნიზების პროგრამა²³. ეს პროგრამა პოლონეთის არმიის სრულ გადაიარაღებას ითვალისწინებს, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც, ქვეყანას ევროპის წამყვანი არმია ეყოლება. მოდერნიზაცია ეხება რამდენიმე სფეროს. ავიაციამ უნდა მოიცვას: ამერიკული წარმოების F35-ის ტიპის გამანადგურებელი, 100-მდე AH64-ის ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენი, 50-მდე იტალიურ-ბრიტანული Augusta Westland-ის წარმოებული შვეულმფრენი, Bayraktar-ის TB-2-ის და აშშ-ის MQ-9 Reaper-ის ტიპის დრონები.

მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში პოლონეთმა უნდა შექმნას ევროპის ყველაზე ძლიერი საარტილერიო და რეაქტიული არტილერიის მქონე არმია. ვარშავა აპირებს შეიძინოს დაახლოებით 500-მდე HIMARS-ის სისტემა, სამხრეთ კორეული წარმოების 300-მდე K234 Chunmoo-ს სისტემა, კორეული K9A1-ის და პოლონური წარმოების AHS Krab-ის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები.

მიუხედავად ამ მაშტაბისა, პოლონეთის მომავალი არმიის ბირთვი ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები უნდა იყვნენ. პოლონეთი გეგმავს დაახლოებით 350-მდე აშშ-ის წარმოების Abrams-ის ტიპის, 1000-მდე კორეული წარმოების K2 Black Panther-ის ტიპის ტანკების, 1600 სამამულო წარმოების Borsuk-ის და Rosomak-ის ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანების შესყიდვას.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრი იმედოვნებს, რომ თავდაცვის ძალებში შემავალი სამხედროთა რაოდენობა 150,000-დან 300,000-მდე გაიზარდება, რითაც ქვეყანას ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი სახმელეთო ჯარები ეყოლება²⁴. ამ რესურსებითა და ზემოთ ჩამოთვლილი, მსოფლიოში წამყვანი სამხედრო აღჭურვილობის კომბინაციით, სამომავლოდ, პოლონეთმა NATO-ს აღმოსავლეთის ფლანგის უსაფრთხოების მთავარი საყრდენი ძალის როლი უნდა შეასრულოს. ამ გზით პოლონეთი ცდილობს, გერმანიისგან სამხედრო ლიდერის როლი გადაიბაროს. ამასთან ერთად, ვარშავას მიერ აშშ-ში წარმოებული შეიარაღების იმპორტი ხაზს უსვამს პოლონეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაშინგტონისთვის. ერთ-ერთ ინტერვიუში, ევროპაში აშშ-ის ოფიციალურმა სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონტინენტურ ევროპაში, თეთრი სახლისთვის, პოლონეთი ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა.

²³ ROBERT CZULDA (03/06/2023). POLAND'S MILITARY MODERNISATION – STILL MANY CHALLENGES AHEAD Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://pulaski.pl/en/pulaski-policy-paper-polands-military-modernisation-still-many-challenges-ahead-robert-czulda-2/>

²⁴ Loveday Morris (02/23/2023). Poland is on a quest to have Europe's strongest military — with U.S. arms Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.washingtonpost.com/world/2023/02/22/poland-us-weapons-ukraine-russia/>

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია კვლავ წამყვან მოკავშირედ ითვლება, ბერლინის სამხედრო შეზღუდვები და პოლონეთის სტრატეგიული მდებარეობა ამ უკანასკნელის როლს უფრო მნიშვნელოვანს ხდის²⁵.

ფაქტორები, რომლებიც ალიანსში

აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური გავლენის

ზრდას ზღუდავენ

მიუხედავად ამბიციური გეგმებისა, არმიის მოდერნიზების პროგრამას რამდენიმე ფაქტორის გამო აკრიტიკებენ. გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება: ფინანსები, მასშტაბი და დემოგრაფია. მოდერნიზაციის პროგრამა გრძელვადიან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. 2023 წლის დასაწყისში ვარშავამ თავდაცვის ბიუჯეტი რეკორდულ, მშპ-ს 4%-მდე გაზარდა. ამასთან ერთად, 2024-2028 წლებში დაგეგმილია თავდაცვის სფეროში 135.8 მილიარდი დოლარის დახარჯვა²⁶. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო სახსრები გაუმჭვირვალეა. თანხების დაახლოებით 1/3 ბიუჯეტის გარეთაა, ანუ მთავრობას არ აქვს მკაფიოდ განწერილი გეგმა, თუ რომელი სფეროს დაფინანსების შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს არმიის მოდერნიზების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო თანხების მოძიება²⁷.

ხარჯებთან ერთად კითხვებს ბადებს მოდერნიზაციის მასშტაბები. ყოფილი გენერლის, ბოგუსლავ პაცეკის შეფასებით, სამხედრო შესყიდვების დღევანდელი რაოდენობა არარელევანტურია, რადგან მართალია, პოლონეთის წინაშე დგას HIMARS-ის სისტემების შექენის აუცილებლობა, მაგრამ არა ამ რაოდენობით. მისი აზრით, სამხედრო შესყიდვების მასშტაბებზე საარჩევნო ფაქტორი ახდენს გავლენას²⁸. ეს, უფრო მეტად, ელექტორულ სტრატეგიას წარმოადგენს, ვიდრე პოლონეთის თავდაცვის აუცილებლობას.

პრობლემურია არმიის პერსონალის რიცხოვნების საკითხიც. როგორც უკვე ვახსენეთ, 2035 წლისთვის იგეგმება აქტიური სამხედროების რიცხვის 300,000-მდე ზრდა, რაც ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. დემოგრაფიული ფაქტორი აშკარა პრობლემას უქმნის პოლონეთის სამხედრო ამბიციებს. იმის გათვალისწინებით, რომ პოლონეთის

²⁵MATTHEW KARNITSCHNIG AND WOJCIECH KOŚC (11/21/2022). Meet Europe's coming military superpower: Poland .Last seen 08/25/2023 retrieved from: <https://www.politico.eu/article/europe-military-superpower-poland-army/>

²⁶ Richard Thomas, (24 august, 2023). Polish defence announcements in August amount to 50% of planned 2023 spend, Retrieved from: <https://www.army-technology.com/news/polish-defence-announcements-in-august-amount-to-50-of-planned-2023-spend/?cf-view&cf-closed> last seen: 10/01/2023

²⁷ Marek Strzelecki and Justyna Pawlak, (12 July, 2023). Scope of Poland's spending spree in focus as NATO ups defence goal, last seen: 10/01/2023

²⁸ Raphael Minder (23 april, 2023) 'Who will pay the bill?': Poland's defence spending spree raises questions over funding, retrieved from: <https://www.ft.com/content/91590a6d-2739-42c6-bb29-4d2aeac21bf7> last seen: 10/01/2023

მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, მაღალია ემიგრაციის ხარისხი და ქვეყანა არ გამოირჩევა შობადობის მაღალი კოეფიციენტით, უკიდურესად რთული იქნება 2035 წლისთვის არმიის 300,000 სამხედრომდე გაზრდა.

პოლონეთის მილიტარიზაციის პრობლემურობასთან ერთად, იკვეთება რამდენიმე დამატებითი ფაქტორი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის, როგორც NATO-ს გამწვევი ძალის პოტენციალს ეჭვქვეშ აყენებს.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შედარებით დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდებიან. „ბუქარესტის ცხრიანის“ შიდა პროდუქტი ევროკავშირის შიდა პროდუქტის მხოლოდ მეთედს შეადგენს, ხოლო მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე მონაცემებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ამკარა უპირატესობა აქვთ. ამასთან ერთად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და დანია ბიუჯეტის მთავარ კონტრიბუტორებს წარმოადგენენ, მაშინ, როცა პოლონეთი ევროკავშირის მთავარ ბენეფიციარად ითვლება, რაც მას ბრიუსელზე გარკვეულწილად დამოკიდებულს ხდის. ევროკავშირი გრანტების სახით გავლენას ახდენს პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე. ევროკომისიის მიერ 36 მილიარდიანი ფულადი დახმარების დაბლოკვის შემდეგ, პოლონეთის მმართველი პარტია იძულებული გახდა დროებით შეეჩერებინა სასამართლო რეფორმის გატარება²⁹, რაც პოლონეთის გეოპოლიტიკურ სტატუსს ასუსტებს.

ეკონომიკურ მახასიათებელთან ერთად, ხაზგასასმელია აღმოსავლეთ ევროპის პასიური როლი ევროპის პოლიტიკურ საკითხებში. გარდა უკრაინის ომისა, მათი სტატუსი საერთო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ძირითადად პერიფერიულია³⁰. ამჟამად, მათი დიპლომატია მხოლოდ უკრაინის საკითხითაა დაკავებული და ინერტულია სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების მიმართულებით (ბრექსიტი, მიგრაცია, ევროზონა, Green Deal, მეტი ინტეგრაცია). ეს კი ბრიუსელში ამ ქვეყნების იმიჯზე უარყოფითად აისახება.

ასევე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით, პოლონეთის დამოკიდებულება აშშ-ზე. პოლონეთის არმიის მოდერნიზაციის პროგრამაში წამყვანი როლი სწორედ ვაშინგტონს უჭირავს - შეიარაღების თითქმის ყველა კომპონენტის იმპორტი პოლონეთმა აშშ-დან უნდა მოახდინოს. ამასთან ერთად, აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ცენტრალურ როლს ასრულებს პოლონეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე, ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის 10,000-მდე სამხედრო განთავსდა³¹. შესაბამისად, აქტორი, რომელიც ზოგჯერ ძალის ახალ პოლუსად მიიჩნევა, უსაფრთხოების მიზნებისთვის საკუთარ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის დივიზიას ათავსებს.

²⁹ Jan Cienski (11 februar, 2023). Duda throws Poland's EU cash plans into turmoil, retrieved from: <https://www.politico.eu/article/poland-andrzej-duda-eu-recovery-fund-throws-polands-eu-cash-plans-into-turmoil/> last seen: 10/01/2023

³⁰ Piotr Buras (16 February, 2023). East side story: Poland's new role in the European Union, retrieved from: <https://ecfr.eu/article/east-side-story-polands-new-role-in-the-european-union/> last seen: 10/01/2023

³¹ 1st US Army garrison on NATO's east flank formed in Poland, retrieved from: <https://apnews.com/article/poland-us-security-military-nato-garrison-base-57a3db8e7e9073ed8fe7eb5b67e5f115>, last seen: 10/02/2023

დასკვნა

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ აღმოსავლეთ ევროპას შესაძლებლობის ფანჯარა გაუხსნა. თუ წარსულში, ბრიუსელი მათ ხშირად საყვედურობდა დემოკრატიული უკუსვლის, მიგრაციის და სხვა საკითხების გამო, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპელი მმართველები მორალურად უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რუსეთთან დაკავშირებით მათი მოწოდებები უგულებელყოფილ იქნა ბერლინ-პარიზის ლერძის მიერ. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, შესაბამისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდნენ. განსხვავებით დასავლელი პარტნიორებისგან, მათ უკრაინას ოპერატიული დახმარება აღმოუჩინეს: მიიღეს მიგრანტები და მაღალ ტემპში უზრუნველყვეს კიევისთვის საბჭოთა წარმოების შეიარაღების გადაცემა.

ომის სანყის ეტაპზე აქტიურობასთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სათავეში ჩაუდგნენ ევროპაში პრო-უკრაინულ კოალიციას. მათმა დიპლომატიურმა ზეწოლამ გავლენა იქონია წამყვანი ძალების - გერმანიის და აშშ-ის გადანვეტილებებზე. ამ ყველაფერს კი მოჰყვა პოლონეთის ამბიციური გეგმა, რომელიც 2035 წლისთვის ევროპის ყველაზე ძლიერი სახმელეთო არმიის შექმნას ითავლისწინებს.

აშკარაა, რომ უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად გაზარდა ალიანსში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გავლენა. ხშირია მოსაზრებები ევროპაში ახალი გეოპოლიტიკური აქტორის ჩამოყალიბების შესახებ. მიუხედავად ამისა, წყაროების ანალიზისას გამოკვეთა, რომ ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ ევროპას ძალის ახალ პოლუსად ჩამოყალიბების ნაკლები შესაძლებლობა აქვს. მისი ეკონომიკური პოტენციალი აშკარად ჩამორჩება დასავლეთისას. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ითვლებიან ევროკავშირის ძირითად ბენეფიციარებად. ასევე პრობლემურია ამ ქვეყნების პრესტიჟი ევროკავშირის შიგნით, რადგან მათი დიპლომატია ინერტიულია ევროპის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში (გარდა უკრაინისა). რაც შეეხება პოლონეთის სამხედრო ამბიციებს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მთავრობას არ აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ გეგმის რეალიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

Boyes, Roger (15/02/23). Gung-ho Poland is becoming a military leader in Europe. Last seen: 8/26/23. Retrieved from: https://www.thetimes.co.uk/article/poland-nato-europe-military-power-president-visit-uk-79h52k5zw?fbclid=IwAR2x4R0iocgF63W_dCRTXpimeaX3JGwl04V-vs76cMr825BlX_TKjFs-o

Chang, Felix K. (01/13/2022). Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.fpri.org/article/2022/01/at-the-double-polands-military-expansion/>

Day, Matthew (03/01/2023). Poland builds Europe's largest land force to counter Russian threat. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.telegraph.co.uk/world-news/2023/03/11/revolution-polish-army-builds-europes-largest-land-force/>

Eyal, Jonathan (01/29/23). Amid the smoke of war, power in Europe is shifting decisively to the east. Last seen: 8/26/23. Retrieved from: https://amp.theguardian.com/commentisfree/2023/jan/29/amid-the-smoke-of-war-power-in-europe-is-shifting-decisively-to-the-east?fbclid=IwAR2EwwCILJCKKA43ltp1XYgSlhCZGPI8m9j5u-CiAteU6qaPq_Kz67qH39Y

Francis, Diane (01/28/23). Poland is leading Europe's response to the Russian invasion of Ukraine. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/poland-is-leading-europes-response-to-the-russian-invasion-of-ukraine/?fbclid=IwAR3cJNij-H8BnaNj1rSWTotWihaXTVeBtjZrrBNWQEIfE8VqRnVnKmAFeg>

Fried, Daniel and Aaron Korewa (05/05/23). Poland makes its case for European leadership, Last seen : 8/26/23. Retrieved from: <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/poland-makes-its-case-for-european-leadership/?fbclid=IwAR3TG2D8G6nl7YlkyycCZRuPQDOXjqSj2r9X1rzCQQI4W9OjqBC-zErL7Gc>

Gramer, Robbie (03/24/2022). NATO to Deploy Four New Battle Groups to Eastern Flank

Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://foreignpolicy.com/2022/03/24/nato-russia-war-deploy-new-battle-groups-eastern-europe/?fbclid=IwAR3LLahMSpD01iUefp0vu-lqkB4H89nr0GXpxV3K6kbbm2TWijXRuH0ue8>

Karnitschnig, Matthew, and Wojciech Kosc (11/12/2023). Meet Europe's coming military superpower: Poland. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.politico.eu/article/europe-military-superpower-poland-army/>

Kranz, Michal (02/23/23). How the Russia-Ukraine Crisis Is Turning Poland Into a Strategic Player. Last seen: 8/26/23. Retrieved from: https://foreignpolicy.com/2022/02/23/poland-ukraine-russia-crisis-nato-strategic-role-military-diplomacy-war/#cookie_message_anchor

Kuzio, Taras (04/12/2023). Poland and Ukraine: The emerging alliance that could reshape Europe. Last seen: 8/26/23. Retrieved from: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/poland-and-ukraine-the-emerging-alliance-that-could-reshape-europe/?fbclid=IwAR1KhgzGCYZV_6NYq83_NTuulNngyck6YtZqh7qBGo9HZ8UtircQ9EVxdrc

O'Brien, Phillips (27/01/23). Tanks for Ukraine Have Shifted the Balance of Power in Europe. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2023/01/us-germany-ukraine-tanks-russia-nato/672859/?fbclid=IwAR23K-YiJlua9K1hvuKdXry2e0O808XNADpskKOywW0MS1EPSTyFFhA2me0>

Prochwicz-Jazowska, (04/04/23). Europe's Center of Gravity Has Not (Yet) Shifted East. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://ip-quarterly.com/en/europes-center-gravity-has-not-yet-shifted-east?fbclid=IwAR1N1KVONhL0Q0UpG108JkIEIGwRsUyMGLy0fpKjMeCeBFqutTiOgr9J95Y>

Vass, Robert, (04/03/2023). Eastern promise: The power shifts in EU politics. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.orfonline.org/expert-speak/eastern-promise/>

The war in Ukraine has made eastern Europe stronger, But will the EU's new balance of influence endure? (02/23/23). Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.economist.com/europe/2023/02/27/the-war-in-ukraine-has-made-eastern-europe-stronger>

The Ukraine war is forcing eastern Europe to build more links (01/19/23). <https://www.economist.com/europe/2023/01/19/the-ukraine-war-is-forcing-eastern-europe-to-build-more-links?fbclid=IwAR3iBVPQk-k1soN0EROJB7bGkzpTz3qMeokW7twZBit-WQsA95c8FlnPghk>

Why Poland has become NATO's linchpin in the war in Ukraine, The West no longer dismisses its warnings about Russia. Last seen: 8/26/23. Retrieved from: <https://www.economist.com/europe/poland-will-play-an-outsized-role-in-western-efforts-to-assist-ukraine/21808064>

ნატო უსაფრთხოების ახალ გარემოში